# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 ნოემბერი 2000 №215 (1237) | ფასი 50 თეთრი



ემზარ ზენაიშვილი

სტამბოლიდან




## ნუ ბუტბუტებ, თამაშ!

ერთ-ერთ რეპორტაჟში ვწერდით, რომ სტამბოლში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში ჩვენი ქვეყნის ვაჟი მოჭადრაკეები უკვე შეხვდნენ მსოფლიოს ნაკრებს.

4 ნოემბერს ქალების რიგიც მოვიდა. აბა, რა ვუწოდოთ ჰოლანდიის ნაკრებს, რომელშიც გამოდის ჩინელი, ვიეტნამელი, უნგრელი და ქართველი! დღემდე მხოლოდ ამ გუნდმა შეძლო ჩინელებთან ყაიმის მიღწევა. ობიექტურად ასეთ მაღალ შედეგს პირველ ექვს ტურში, ისევე როგორც მოლდაველებისგან, მათგან არავინ ელოდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ტორპედო გაზავდა

*ათი წაუგებელი მატჩის შემდეგ საქართველოს ჩემპიონმა ზედიზედ ორი 1:1 გამოურია. შინ ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიასთან“ დაზავების შემდეგ „ტორპედომ“ ბოლნისში „სიონთან“ დაკარგა მორიგი ორი ქულა და მდევარი, „იბერიას“ 3:1 მძლეველი „ლოკომოტივი“ ორ ქულამდე მიიახლოვა*

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 12 ტური

3 ნოემბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| დინამო | 4 |
| თსუ | 1 |

4 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| დილა | 0 |
| კოლხეთი | 0 |
| მერანი | 0 |
| ბათუმი | 1 |
| გორდა | 0 |
| სიონი | 1 |
| ტორპედო | 1 |
| ლოკომოტივი | 3 |
| იბერია | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 10 | 2 | 0 | 20:4 | 32 |
| ლოკომოტივი | 12 | 10 | 0 | 2 | 27:7 | 30 |
| დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 25:13 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 3 | 2 | 19:6 | 24 |
| ბათუმი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:14 | 16 |
| კოლხეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:13 | 16 |
| სიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 10:11 | 14 |
| მერანი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | 14 |
| თსუ | 12 | 4 | 1 | 7 | 14:23 | 13 |
| გორდა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:19 | 11 |
| დილა | 12 | 2 | 2 | 8 | 8:22 | 8 |
| იბერია | 12 | 0 | 1 | 11 | 2:26 | 1 |

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები



შაბათს ბოლნისში: „სიონი“ — „ტორპედო“ 1:1.
ტორპედოელ კახა ჩხეტიანს (№17) სიონელი შალვა ისიანი ეღობება




...სოლომონ გულისაშვილი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების შესახებ.

...ვიქტორია ადამსი, ავლაბარი და დევიდ ბექემის პლაკატი.

...ცოტაც ვიმხიარულოთ.

...პროფესიული კრივის ყველა ჩემპიონი.

...მერაბ რატიშვილი — მეორე ოცნების გუნდის თვითმხილველი.

...ავთანდილ გურასაშვილი სიდნეის იგონებს.


ორშაბათიდან ჟურნალი

სარბიელი

ფასი 2 ლარი




აზოტი — ბასკო. ვახტანგ ნაცვლიშვილით (ბურთით) გაძლიერებულ ბათუმელებს რუსთაველთა ძლევა არ გასჭირვებიათ

## შესვენებაზე გავიდა და აღარ დაბრუნებულა...

### თამაშის მიტოვება „შევარდენს“ 800 ლარი დაუჯდება. შესაძლოა, ესეც არ აკმარონ...

„შევარდენის“ მწვრთნელისა და კალათბურთელების დაპირისპირებას საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში აქამდე გაუგონარი ამბავი მოჰყვა — პირველი ტაიმის შემდეგ შესვენებაზე წასულმა შევარდნებმა თამაშის გაგრძელება იუარეს...

„ვითა“ ცოცხალია! პირტიტველა ყმაწვილკაცებით დაკომპლექტებულმა საქართველოს შვიდგზის ჩემპიონმა ყველასთვის მოულოდნელად მოუგო შემადგენლობის მხრივ გაცილებით ძლიერ და გამოცდილ „დინამოს“...

კლასიკური სტუდენტური დერბი: ამჯერად თსუ-მ აჯობა სტუ-ს...

პირველი წრის მთავარი მოვლენა გაფერმკრთალდა, ბრძოლა არ შედგა: ჩემპიონმა „ბასკომ“ იოლად დაამარცხა ვიცე-ჩემპიონი „აზოტი“...

ეს ყველაფერი ამ უქმეებზე ვერის ბაღში, საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეხუთე და მეექვსე ტურებში მოხდა...

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · მეორე წრე

**12 ტური**

# რას ფიქრობენ ფედერაციაში?

**ბოლნისი**
4 ნოემბერი
15 საათი
თეიმურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:1 ტორპედო**

0:1 იმედაძე (18პ), 1:1 ისიანი (62პ)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ძაპინძლაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (მ. გოგოლაძე 46), მინდიაშვილი, ჯაბუარიძე (კ. მეტრეველი 46), ბარნოვი, მოსეშვილი, ისიანი, წივწივაძე
სათადარიგონი: ფალავიშვილი, სვანიძე, ჩაგელიშვილი, დემურიშვილი
**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, მახვილაძე, ზ. არჩვაძე, ჩიქტიანი, კ. კვეტენაძე, ხვადაგიანი, ძათიანი, იმედაძე, კვერნაძე (ჩხაიძე 73), იონანიძე
სათადარიგონი: ქანთურია, შეყრილაძე, მ. ბობოხიძე, ვაჩიბერაძე, თურმანიძე, გაბიდაური
**გაფრთხილება:** კვერნაძე (45), წივწივაძე (55), ზ. არჩვაძე (80)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩოგოვაძე (ორივე სამტრედია), ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**ექვსეულისთვის** მებრძოლი და წინა ტურში თსუ-სთან მარცხნაწვნევი „სიონი" გამძვინვარებული დაუხვდა ჩემპიონ „ტორპედოს" და დაძაბულ ბრძოლაში ორი ქულა დაატოვებინა.

ტურის უმთავრესი დაპირისპირების სანახავად ათას ხუთასამდე ქომაგმა მოიცალა და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ამაღლდნენ მასპინძლები საკუთარი გულშემატკივრის თვალში, ბევრმა მაინც უშვერი ლანძღვა-გინებით დატოვა ტრიბუნები. მათი აღშფოთების მიზეზი ზუგდიდელი არბიტრი კახა მესხი გახლდათ. პოლიციელებმა მატჩის შემდეგ ოპერატიულად ჩახერგეს სამსაჯო ოთახის მისასვლელი, თორემ უსიამოვნება არ ასცდებოდათ შავოსნებს.

უკმაყოფილო იყო „სიონის" ხელმძღვანელობაც და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მსაჯებისადმი რისხვა სტუმრებსაც არ დაუმალავთ. რას ფიქრობენ ფედერაციაში, ამგვარ თამაშზე ასეთ მსაჯებს რომ უშვებენ? — კითხულობდა ნამატჩევს სტუმარ-მასპინძელი.

მესხი, რაღა თქმა უნდა, წინა კვირის ანტიგმირი იყო, სადისციპლინო კომიტეტის ბოლო სხდომაზე მის მიმართ აგორებული სკანდალი ჯერაც არ ჩამცხრალა და ბუნებრივია, შაბათის მატჩშიც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ. მასთან ინტერვიუს მკითხველი ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში" იხილავს, რაც შეეხება ბოლნისურ მატჩში მის შეფასებას, მოკლედ ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ იგი ცოტ-ცოტას სცოდავდა, ობიექტურობა არ დაუკარგავს, ორივე თერთმეტმეტრიანი სამართლიანად დანიშნა და რაც მთავარია, საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. და მაინც, მატჩის მსვლელობისას ბოთლებისა და ბელტების სეტყვა, ნამატჩევს კი ლანძღვა-გინება არ დაჰკლებია სკანდალურ შავოსანს.

„ტორპედო" ტრავმირებული დავით ჯანაშიასა და დისკვალიფიცირებული ვალტერ გუჩუას გარეშე ესტუმრა ბოლნისს. პირველ ნახევარში ჩემპიონურად თუ არა, შემართებით და გააზრებულად იმოქმედეს ქუთაისელებმა, ბურთიც დიდხანს ეჭირათ, ფლანგებსაც აქტიურად იყენებდნენ, დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდნენ (გარკვეულწილად სფფ-სგან შეწყალებული ზურაბ არჩვაძის დამსახურებაცაა), მწვავედ ჩხვლეტდნენ მეტოქეს და რაც მთავარია, დაწინაურდნენ. გოლი იონანიძის გონივრულ თამაშს მოჰყვა, მან კახა გოდერძიშვილი გამოიჭირა შეცდომაზე. ეს უკანასკნელი იმდენად შეავიწროვა მეტოქემ, რომ თავით დაუგდო ბურთი ვოლკოვს, ამ გადაცემას იონანიძემ სწორი პოზიცია შეურჩია, ბურთთან პირველი გაჩნდა და ვოლკოვსაც საჯარიმოში მისი წაქცევის გარდა აღარაფერი დარჩენოდა, პენალტი კი უნაკლოდ შეასრულა გია იმედაძემ.

გოლმა „სიონი" გამოაფხიზლა და ერთი-ორჯერ სახიფათოდ დაემუქრა სტუმართა კარს. მასპინძლებს საგოლედ ხელსაყრელი მომენტი 32-ე წუთზე შეექმნათ, მაგრამ ნუკრი მინდიაშვილის პასით ირაკლი ზოიძესთან პირისპირ დარჩენილ შალვა ისიანს ბადრი ახვლედიანი წამოეპარა და თავისიანებს საფრთხე აარიდა. ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი მესხს რისხვა (ბოთლები, ბელტები) დაატყდა თავს ტრიბუნიდან — არბიტრი თანამსაჯ მიქელაძის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა (მიქელაძემ კუთხური დანიშნა მასპინძელთა სასარგებლოდ) და თამაშის გაგრძელება ბრძანა.

მეორე ნახევარი ყინჩად დაიწყეს მასპინძლებმა. ჯერ წივწივაძის თავურის აღება მოუხდა ზოიძეს, შემდეგ მინდიაშვილს მცირედით აუცდა 20 ოციოდე მეტრიდან და „სიონი" მეტოქის ნახევარზე დასახლდა. ბოლნისელთა გააქტიურებაში ლომის წილი დაიდეს შეცვლაზე შესულებმა. ჯერაც ტრავმამოუშუშებელი მურმან გოგოლაძე ვეფხვივით იბრძოდა მოედნის შუაგულში, თითქმის ყველა ორთაბრძოლაში მარჯვობდა და ზუსტად ანაწილებდა პასებს. სწორედ ამ ფეხბურთელის მოედანზე შესვლის შემდეგ დაეტყოთ ქუთაისელებს გუჩუას არყოფნა — ცენტრი „სიონმა" ჩაიბარა. თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე კონსტანტინე მეტრეველის გამოჩენა კი უფრო და უფრო მეტ პრობლემებს უქმნიდა „ტორპედოს" მცველებს. პენალტიც მეტრეველმა მოინადირა — საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შესული მცველებმა მოცელეს და თერთმეტი მეტრიდან ისიანს სამიზნემ არ უმტყუნა. ანგარიში გათანაბრდა და დაძაბულობამაც იმატა. წარმატებით აღფრთოვანებული ბოლნისელები ჩემპიონის კარს ეკვეთნენ და ლამის დაისაჯნენ. 68-ე წუთზე კარიდან სამ მეტრში მყოფი იმედაძე იონანიძის მზაკვრულ პასს დაუხვდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ვოლკოვმა ბოლო წამს ფეხის გაშლა მოახერხა და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

შემდეგ კი იონანიძემ ერთხელაც აიძულა მოწინააღმდეგე, შეცდომა დაეშვა — ბარნოვმა მეტოქეს ზედ საჯარიმოს ხაზთან ჩააბარა ბურთი, მაგრამ ქუთაისელი მეგოლის ყუმბარისებულ გასროლილს ვოლკოვმა სწორი პოზიცია შეურჩია.

მატჩის ბოლო ათი წუთი კი ისევ მასპინძლებისა იყო. ისიანს და მეტრეველს ორჯერ ჰქონდათ თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ორივე შემთხვევაში მათი მონდომება ირაკლი ზოიძის მოქმედებამ დაჩრდილა.

ტრადიციული პრესკონფერენციის მთავარი გმირი კი ისევ და ისევ მესხი იყო. „ტორპედოს" მწვრთნელის თანაშემწე გელა კიკალიშვილმა და „სიონის" თავკაცმა სპარტაკ არჩვაძემ ეჭვი გამოთქვეს მათ კარში დანიშნული პენალტების სამართლიანობაში და საბოლოო შედეგით უკმაყოფილოებმა მომხდარში ზუგდიდელი არბიტრი დაადანაშაულეს.


სიონელი პაატა ბარნოვი და ტორპედოელი ზურაბ იონანიძე

# ხომ არ გავარდება დილა?

**მცხეთა**
4 ნოემბერი
15 საათი
„არმაზი"
400 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:0 დილა**

1:0 დილმელაშვილი (5), 2:0 ნოზაძე (15), 3:0 მელქაძე (47)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ქანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე (იმნაკოლელი 72), დილმელაშვილი, თაყაძე, დეკანოსიძე, სულთანიშვილი (ც. გოჩაშვილი 57), მელქაძე (ცაგარეიშვილი 64)
სათადარიგო: სტურუა;
**დილა:** სოლოლაშვილი (თ. ილურიძე 46), ლომიძე, გაგნიძე, ხოხობაშვილი, გრიგალაშვილი, ფეხუაშვილი, რევაზიშვილი, დ. მაისურაძე, ციცქიშვილი (უჯომვილი 46), კოტორაშვილი (ა. ხმალაძე 41), ხორგუაშვილი
სათადარიგონი: გ. ტულუში, ოლგაქაშვილი, გ. გოჩაშვილი, გოგინაშვილი
**გაფრთხილება:** დილმელაშვილი (35), გაგნიძე (38)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

**თამაშის** შემდეგ მატჩის სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლე თვალი. იქ ვერსად იპოვიდით მასპინძელთა სამბურთიან უპირატესობას. „დილა" მეტოქეზე ნაკლებად დაჯარიმდა, გაცილებით მეტი კუთხური ჩააწოდა, მეტჯერ დაარტყა კარის მიმართულებით და თითქმის იმდენჯერ კარში, რამდენჯერაც ეს „ვიტ ჯორჯიამ" მოახერხა. ორჯერ და უფრო ნაკლებად მოხვდნენ სტუმრები თამაშგარე მდგომარეობაში, მაგრამ მაინც დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

გორელთა მეკარისა და უკანა ხაზის სუსტი თამაში, სწორედ ეს იყო მასპინძელთა გამარჯვების საიდუმლო. შაბათს რამაზ სოლოლაშვილი თავის თავს არ ჰგავდა, აკი თავადვე ითხოვა შეცვლა, მაგრამ მხოლოდ პირველი ტაიმის შემდეგ, მაშინ, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

სტუმართა დაცვა მომენტებში უხეშად ცდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ვეტერინართა სამივე გოლი თავად გორელებმა გამოიგონეს საკუთარ კარში.

ასეთი სურათის ფონზე სტუმართა შექმნილი ოთხი საგოლე მომენტი თითქოს უსუსურად გამოიყურებოდა და მათი გამოუყენებლობაც. უფრო გლობალურად წარმოაჩენს „დილას" პრობლემებს.


ვიტელი გიორგი დეკანოსიძე და გორელი მიხეილ გრიგალაშვილი

სათამაშო მინდორზეც ვთქვათ ორი სიტყვა. მცხეთის „არმაზი" შაბათს ახალდამშრალ ჭაობს მოგაგონებდათ. მართალია, ამჯერად სტადიონზე წყალი არ იდგა, მაგრამ ატალახებულიყო და ფეხბურთელებს გადაადგილება უჭირდათ, ხშირად ბურთიც არ ხტოდა, „არმაზისთვის" თავისი დალი დაუჩნევია ერთი კვირის წინანდელ სტიქიას.

თამაში მძიმედ, მაგრამ მშვიდად დაიწყო. მეხუთე წუთამდე ბურთმა მოედნის ცენტრში იტრიალა, მეექვსეზე „ვიტ ჯორჯიამ" კუთხური მიაწოდა. მეკარე გამოსვლისას შეცდა, მცველებმა ბურთი ვერ მოიგერიეს, ხოლო დილმელაშვილმა ახლოდან საგოლედ დაარტყა.

რამდენიმე წუთში ნოზაძემ გაისეირნა „დილას" საჯარიმოში და ანგარიშიც გაორდა. თამაშის დაწყებიდან თხუთმეტი წუთი იყო გასული.

„დილამ" თამაში 25 წუთის შემდეგ გამოასწორა. ლომიძეს მერლანმა აუღო ძნელადმოსაგერიებელი ბურთი, კოტორაშვილმა ძელს გაარტყა ხელსაყრელი პოზიციიდან და შესვენებამაც მოაწია.

მატჩი ხეირიანად არ განახლებულიყო, რომ დეკანოსიძემ მელქაძეს საგოლე გადაცემა გამოუზომა და თავდამსხმელმაც ჯერაც გაუხურებელი გორელთა სათადარიგო მეკარე დაამწუხრა.

ამის შემდეგ თამაში მოვალეობის მოხდის მიზნით გაგრძელდა. მართალია, იმ ბურთაობისას ხმალაძემ გორელებს კიდევ ორი საგოლე შანსი გაუცუდა, მაგრამ არც ვეტერინარებს დაუკლიათ ამ საქმისთვის ხელი. გასაკვირიც არა იყო, ისინი დიდი ანგარიშით, თითქმის უბრძოლველად იგებდნენ თამაშს.

წაგების შემდეგ სტუმრებს შეშფოთება ემჩნეოდათ, მათი გამომეტყველება მხოლოდ ერთ კითხვაზე მიგვანიშნებდა, ხომ არ გავარდება დილა?

დღეს გადარჩენის შანსი საკმაოზე მეტია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა...

# არსენალი იგვიანებს

**საქართველოს** ეროვნული გუნდისა და თბილისის „ლოკომოტივის" 19 წლის მცველის ზურაბ ხიზანიშვილის ლონდონის „არსენალში" შესაძლო ტრანსფერი ერთ-ერთი უაქტუალურესი თემაა ქართულ საფეხბურთო სამყაროში.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი უფრო აქ გადაწყდება, ვიდრე ლონდონში. „არსენალის" მთავარი სკაუტი სტივ როული რომ საგანგებოდ ჩამოვა ჩვენთან და ხიზანიშვილის თამაშსაც იხილავს ეროვნულ ჩემპიონატში, უკვე გაუწყეთ, მაგრამ მეცამეტე ტურის „გორდა" — „ლოკომოტივის" მატჩისას ეს, ალბათ, არ მოხერხდება.

ნაკრების ერთ-ერთი და „ლოკომოტივის" დამრიგებელ რევაზ ძოძუაშვილის თქმით, როულის ვიზიტი კვირით გადაიდება — 18 ნოემბერს, „ლოკომოტივი" — თსუ-ს მატჩისას გაცილებით უკეთესი და ნორმალური სიტუაცია იქნება იმისთვის, რომ ტრანსფერი ყველასათვის სასურველად განხორციელდეს და საპატიო სტუმარსაც სათანადოდ ვუმასპინძლოთო.

მაშ ასე, „მეთოფეთა" სკაუტი ზურაბ ხიზანიშვილს კიდევ ერთხელ, უკვე ჩვენს ეროვნულ სტადიონზე დააკვირდება.

**დავით თავართქილაძე**

**ინგლისი**
XII ტური
დერბი ქაუნთი 0:0 ვესტ ჰემი

**გერმანია**
მეორე ბუნდესლიგა
XI ტური
ზაარბრიუკენი 2:2 ნიურნბერგი

**იტალია**
სერია B. X ტური
სამპდორია — ჯენოა გადაიდო

# ტაში დევაძეს, რისხვა ორდინიძეს, საყვედური პრესას

ფოთი
4 ნოემბერი
15 საათი
„ფაზისი“
1 000 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 0:0 მერანი**

**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუნთელია (კრასოვსკი 71), ფანჩულიძე, ახალკაცი, ლაღანიძე, კუკლიაშვილი, გოგიაშვილი, კვირკველია, ხუჭუა
სათადარიგონი: ჩემია; პაპავა, გ. ჩიტაია, ქანტურიძე, შავგულიძე, თედეევი
**მერანი:** დევაძე, გ. ილურიძე, ცქიფურიშვილი, გ. კვეტენაძე, დევიძე, პოდლესნი (ბოლქვაძე 70), კობესაშვილი (ქინქარაული 71), მუხინი, ფოცხვერია (ბაჯელიძე 58), როსტიაშვილი, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; თოლორდავა, კაკუბავა, მინაშვილი
**გაფრთხილება:** ილურიძე (6), როსტიაშვილი (7), დევიძე (23), ახალკაცი (35), კვეტენაძე (75), ქინქარაული (80)
**გაძევება:** დევიძე (84)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

**ამ** მატჩს ინტრიგა ახლდა, მეტი რომ არ შეიძლება. სტუმარ-მასპინძელი სანუკვარ ექვსეულში მოსახვედრად მებრძოლი გუნდები იყვნენ. მეორე წრე დაიწყო, ახლა მათთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი ედება და რაიმე შეღავათზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ესეც რომ არა, მოგეხსენებათ, როგორ დაიძაბა ზღვისპირელთა და ავჭალელთა ურთიერთობა. „მერანის“ მესვეურთა, კერძოდ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტის ანზორ მამალაძის გამონათქვამის გამომზეურება ხომ ცეცხლზე ნავთის გადასხმად აღიქვეს მისმა კოლხმა კოლეგებმა.

„სარბიელში“ მეთორმეტე ტურის საანონსო გვერდში დასტამბულ წერილს აღუშფოთებია ფოთელები. რომელი ჩვენი მსაჯია კახა მესხი, ცილი რად დაგვწამა, მამალაძემ ეს ამბავი დაამტკიცოსო, ჟურნალისტებსაც მეტი დაკვირვება გმართებთ, ცალმხრივად წერა არ შეიძლებაო — ასეთი იყო პრეტენზიები მრავლად რომ გვესმოდა მატჩის წინ.

მატჩი კი მასპინძელთა მძლავრი იერიშებით დაიწყო. კოლხებმა უმალ იგდეს ხელთ ინიციატივა და „მერანის“ ნახევარზე დასახლდნენ. რაც შეეხება პირველ ხიფათს, სტუმრები მას მეათე წუთზე გადაურჩნენ.

ხუჭუას მიერ 16 მეტრიდან ძლიერად დარტყმული ოდნავ გადაცდა ხარიხას. ერთ წუთში „მერანი“ გოლისგან მეკარემ იხსნა. ფანჩულიძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან ცხრიანისკენ უთავაზა ბურთს და აქ დევაძემ გაიბრწყინა, მარჯვენა კუთხისკენ გაფრინდა და მასპინძლებიც მხოლოდ კუთხურს გამორჩნენ.

ხუთ წუთშიც იმარჯვა „მერანის“ კარის დარაჯმა. მარჯვენა ფლანგზე გაჭრილმა რომან ახალკაცმა ზუსტი გადაცემა გაუკეთა საჯარიმოში მყოფ პარტნიორს, მაგრამ დევაძემ ხეირიანად დარტყმა არ აცალა დავით ხუჭუას.

და ისევ დევაძე. შუა ტაიმში აკაკი კინალამ გამტანის ასისტენტად მოგვევლინა. გოლკიპერმა ძლიერი დარტყმით შეიყვანა თამაშში ბურთი, რომელიც კოლხთა ნახევარზე დავით გოდერძიშვილს მიუვიდა. სტუმართა ეს შეტევა (ამ მატჩში ერთადერთი) შედეგიანიც უნდა გამომდგარიყო, მამუკა გვასალია მერანელთა გოლეადორის დარტყმულს დროულად რომ არ გადალობვოდა.

შემდგომშიც უპირატესობას ზღვისპირელები ფლობდნენ, ეგ იყო მათ შედარებით უკლეს ტემპს და ისე მწვავედ ველარ უტევდნენ, როგორც მატჩის დებიუტში. ამისი მიზეზი შეიძლება ისიც გახლდათ, რომ „მერანმა“ დაცვიდან ამოსვლა მოახერხა, ბურთის დაჭერას შეეცადა და მოედნის ცენტრში მეტი სამუშაო გაუჩინა მეტოქეს.

შესვენებამდე კოლხებმა ერთხელლა დააფრთხეს სტუმრები. 44-ე წუთზე იყო ლაღანიძის მიერ შორიდან დარტყმული საჯარიმო მცირედით აცდა ძელს.

ახლა მეორე ტაიმის ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდებზე.

52-ე წუთი. ახალკაცმა მარჯვნიდან ჩაუწოდა კვირკველიას და ამან ათიოდე მეტრიდან უკუვარდნაში ეფექტურად შეასრულა მაკრატელა, ყველას გოლი ეგონა, მაგრამ დევაძემ ითამაშა ჩინებულად, სასწაულებრივ მოიგერია კოლხის დარტყმული.

58-ე წუთი. „მერანს“ ფოცხვერია დაუშავდა. მიშა უხერხულად დაეცა და მარცხენა ფეხის მუხლი ამოიგდო.

68-ე წუთი. დიდი ვნებათაღელვის წუთი. კოლხებმა „მერანის“ საჯარიმოს წინა ხაზთან ჩაჰკიდეს ბურთი. კობესაშვილს მოგერიებისას ფეხი აუცდა და ხელზე მოხვდა. არბიტრი წამიერად შეყოვნდა, თუმც ჯარიმა მაინც დააფიქსირა. კობესაშვილი საჯარიმოს შიგნით იმყოფებოდაო, უმტკიცებდნენ ორდინიძეს მასპინძლები და თამაშზე შეკრებილი მაყურებელი (სიმართლე გითხრათ, მეც მომეჩვენა მერანელი საჯარიმოს შიგნით იდგა) და პენალტს მოითხოვდნენ. ორდინიძემ საჯარიმოს გარეთ, წინა ხაზიდან ნახევარი მეტრის მოშორებით გამოიტანა ბურთი. მართალია, ჯარიმა ამ ადგილიდანაც სახიფათო იყო, ოღონდ 11-მეტრიანს ვერ შეედრებოდა. მასპინძლებმა ეს დარტყმა გააცუდეს.

75-ე წუთი. ისევ იფრინა დევაძემ, უზადო რეაქცია გამოავლინა კრასოვსკის თავურზე.

78-ე წუთი. კრასოვსკის დარად კვირკველიამაც თითქოს აუღებელი დარტყა თავით დევაძეს. იყოჩაღა მეკარემ, უძნელესი ბურთი მოიგერია.

87-ე წუთი. გოგიაშვილის ჩაწოდება, კვირკველია ამჯერად ფეხით ურტყამს კარისკენ, თანაც ახლოდან. შეუდარებელია დევაძე, ისევ იგერიებს.

აბა, რა გითხრათ. აპლოდისმენტებითა და შეძახილებით „დევაძე, დევაძე“ გააცილეს მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მერანელთა მეკარე კოლხთა ქომაგებმა. მერე, აკაკი დევაძე თვალს რომ მოეფარა იმავე ქომაგებმა ორდინიძეც მოიკითხეს და, ვაი, ასეთ მოკითხვას. გინება რაა, ზოგიერთმა მოედანზეც შეაღწია და არბიტრს ფიზიკური ანგარიშსწორება დაუპირა. ვერ გეტყვით, მოხვდა თუ არა ამ აყალმაყალში მსაჯს.

ამაზე, ალბათ, მატჩის ინსპექტორს მოეხსენება, ორდინიძეს ხომ მან, კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ და წესრიგის დამცავებმა გააღწევინეს სამშვიდობოს.

***სერგო გაბელაია, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:***

კარგი თამაში და ბრძოლა იყო. „კოლხეთი“ უკეთესად გამოიყურებოდა, გამარჯვებასაც იმსახურებდა, მაგრამ ჩვენ მეკარემ გადაგვარჩინა, ფოთიდან ქულა რომ მიგვაქვს, მისი დამსახურებაა, თუმც თავი არც სხვა მოთამაშეებს დაუზოგავთ. შედეგით კმაყოფილი ვარ, აშკარად გაგვიმართლა. სადავო ეპიზოდზე იმის თქმა შემიძლია, რომ კობესაშვილს შეგნებულად არ უთამაშია ხელით, ბურთზე ფეხი აუცდა და ამის შემდეგ მოხვდა ხელზე. კობესაშვილი ამ მომენტში საჯარიმოს შიგნით იმყოფებოდა თუ გარეთ, სათადარიგოთა სკამიდან ძნელი გასარჩევი იყო. მიხეილ ფოცხვერია მეორე ტაიმში დაგვიშავდა. მას არავინ შეხებია, არადა დანაშავები მუხლი ამოუვარდა. რა დასამალია, ფოცხვერია სათანადო ფორმაში არ არის, მაგრამ დღესდღეობით როგორიც არ უნდა იყოს, იგი ფოცხვერიაა და ჩვენი ოქროა. ჩვენი ამოცანაა ბიჭი ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოვიყვანოთ. მან ბევრი უნდა ითამაშოს და, ნახავთ, ჩვეულ ფორმაში ჩადგება. „კოლხეთს“ მინდა წარმატებები ვუსურვო. დარწმუნებული ვარ ფოთელები ექვსეულს მიღმა არ დარჩებიან.

***სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:***

ჯერ მინდა ჟურნალისტების წინაშე განვაცხადო. ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა, თითქოს „კოლხეთს“ თავისი მსაჯები ჰყავდეს, რაც აბსოლუტური სიცრუეა, თემიდის მსახურნი დააშინა. რომელი ჩვენი მსაჯია კახა მესხი? მან ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ გვიმსაჯა, ისიც „მერანთან“ და ის მატჩი „კოლხეთმა“ წააგო, თანაც მესხმა ფეხბურთელი გაგვიძევა. ჟურნალისტის მოვალეობაა ყველაფერი დაწეროს, ოღონდ ობიექტურად და პროვოკაციებს არ უნდა აყვეს. ჩვენთან თამაშის წინ გაზეთში გამოქვეყნებული „მერანის“ მესვეურთა გამონათქვამები სწორედ დაგეგმილი პროვოკაციაა მსაჯებზე ზეგავლენის მიზნით.

მე არ ვამბობ, რომ დღეს არბიტრი არაობიექტური იყო ან მიკერძოებით მსაჯობდა, მაგრამ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ნამდვილად იმყოფებოდა. ხაზს ვუსვამ, მსაჯის მოქმედება არ იყო ანგარებითი, ის უფრო შიშით იყო შეპყრობილი. კრასოვსკი რომ საჯარიმოში წააქციეს, შევნიშნე, მსაჯმა სტუმართა დაჯარიმება დააპირა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, ვერ გარისკა. ან კიდევ რაღაც-რაღაცეების აგორება, თითქოს ტყებუჩავას დროს ასე იყო, ფილიას ხელში კი ასეო. რა უდევს ამას სარჩულად, ვერ გამიგია. ძალიან ცუდი სამსახური გაგვიწია ჩვენც და მსაჯებსაც პრესამ.

მართალია, თამაში ვერ მოვიგეთ, ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ბიჭებს მადლობა ვუთხარი. ეს „კოლხეთის“ საუკეთესო მატჩი იყო სეზონში. სათამაშო დისციპლინის, ტაქტიკის მხრივ ბიჭებმა ყველაფერი შეასრულეს, აშკარა უპირატესობა გვქონდა მეტოქეზე, ეგ იყო შეტევების დაბოლოვება ვერ მოვახერხეთ. შეუდარებელი იყო აკაკი დევაძე. მან პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა. მიმაჩნია, რომ დღესდღეობით დევაძე საუკეთესო ქართველი მეკარეა და ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებას უნდა იმსახურებდეს.

პირველად ითამაშა „კოლხეთის“ შემადგენლობაში გიორგი გოგიაშვილმა. ისრაელიდან ჩამოსვლის შემდეგ მან სულ ოთხჯერ ივარჯიშა გუნდთან ერთად. სიმართლე გითხრათ, მისი ფიზიკური კონდიციები მაეჭვებდა. გოგიაშვილმა თავად მთხოვა, მათამაშეთო. ვფიქრობ, ფეხბურთელმა თავისი მისია შეასრულა და იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ მას მეტი შეუძლია. ჩემი გუნდიდან არავის გამოყოფა არ მინდა, მაგრამ კვირკველიაზე გეტყვით. უდავოდ ნიჭიერი ბიჭია და ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს გამოადგება.

# უმეხტოდ

თბილისი
4 ნოემბერი
15 საათი
„ეროვნული“
300 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 3:1 იბერია**

1:0, 2:0 შენგელია (23, 48), 3:0 რუსია (73), 3:1 მუმლაძე (76)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე (ბარამიძე 57), თოდუა, კვარაცხელია, ქიქვიშვილი, ხიზანიშვილი, გ. შენგელია, ძოძუაშვილი (რუსია 46), გონჩაროვი (დავითაშვილი 64)
სათადარიგონი: ივარდავა; გილაური, აფციაური, დ. არჩვაძე
**იბერია:** ჩომახიძე, ცანია, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე (ბანძელაძე 63), ონიანი, ყურაშვილი, ოდიკაძე, გიგიაძე, ბიწაძე, მუმლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე, ქოლაძე
**გაფრთხილება:** მიქელთაძე (23), გიგიაძე (36)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ო. ხეცაძე, ა. შალამბერიძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ციციანი

**დავით თავართქილაძე**

**შემოდგომის** მზიანი დღე იყო „ეროვნულზე“. ალბათ, ამიტომაც არ დაიზარა სამასიოდე კაცმა იქ მისვლა, სიგარეტის ხარბად ქაჩვა და მზესუმზირის კნატუნი. ასეა, ავდარსა თუ დარში, მთასა თუ ბარში, ლიხს იქით თუ აქეთ მაინც შეიქცევს ხოლმე ერთი-ორი ქომაგი თავს ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ისეთი მატჩითაც კი, რომლის შედეგიც იოლზე იოლი გამოსაცნობია.

არა და არ დაადგა საშველი სამტრედიის „იბერიას“. გუნდი კვლავაც მშობლიურ კერასაა მოცილებული და არც რაიმე პერსპექტივა უჩანს. ვერ არის საფეხბურთო საქმეები სამტრედიაში კარგად — სავალალო სინამდვილეა. „ლოკომოტივთან“ მატჩისთვის სოსო ფრუიძის გუნდმა ოთხი ტრავმირებული მოთამაშეც მოისაკლისა, აუტსაიდერი თოთხმეტი ფეხბურთელით ეწვია თასის მფლობელსა და მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერის უახლოეს მდევარს.

შეიძლება ითქვას, რომ [illegible] გუნდი გამარჯვებისთვის აუცილებელი ემოციური მუხტის გარეშე ით[illegible]ლად გაუსწორდა მეტოქეს. დინჯად და მშვიდად აგორებდნენ ბურთს რევაზ ძოძუაშვილის შეგირდები, ოღონდ ეგ იყო, წინა ტურში „მერანის“ კარში ოცდაათიოდე მეტრიდან ულამაზესი გოლის გამტანი დავით ჭიჭველიშვილი განსაკუთრებულ იშტაზე გახლდათ მოსული მცირე შანსისთანავე, კვლავაც შორი მანძილიდან ლამობდა ახლა უკვე სამტრედიელთა კარის დალაშქვრას. „ლოკომოტივი“ არითმიულად, პატარ-პატარა აფეთქებებით ამწვავებდა თამაშს, ანგარიში კი სტანდარტული სიტუაციიდან გახსნა: ბალაშვილის ფლანგურ ჯარიმას კვარაცხელიამ თავი შეაგება და ბურთი მშვერიერ პოზიციაში მყოფ შენგელიას დაუგდო, რომელსაც ახლოდან ფაქტობრივად ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში მინდორზე მამუკა რუსიას გამოჩენამ მასპინძელთა შეტევები უფრო სწრაფი და აგრესიული გახადა. რუსია ჯერ შენგელიას დაეხმარა დუბლის შესრულებაში, მერე თავადაც იხეირა. შეცვლაზე შესულ ლოკომოტიველს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ჩომახიძემ არ დაანება. ანგარიშის კიდევ უფრო გაზრდის კარგი შესაძლებლობა მიეცა დავითაშვილსაც და კვლავ სტუმართა მეკარემ იმარჯვა.

ბოლოს პრესტიჟის გოლზეც ვთქვათ. შალვა მუმლაძემ სისწრაფის ხარჯზე „ლოკომოტივის“ ორ მოდუნებულ მცველს აჯობა, მოედნის ცენტრიდან მეტოქის საჯარიმომდე გაიჭრა და ლომაიასთან პირისპირ გასულმა „იბერია“ დიდი ანგარიშით მარცხს გადაარჩინა.



გიორგი შენგელიამ (№14) პირველი გოლი სწორედ ამ თავურით გაიტანა

# საქართველოს თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები. საპასუხო მატჩები 21 ნოემბერს**

თბილისი. „ეროვნული“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**დინამო — სიონი**
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ქუთაისი. „ტორპედო“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**ტორპედო — ბათუმი**
მსაჯები: ა. შილაკაძე, ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გორი. „ცენტრალური“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**დილა — გორდა**
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**ვიტ ჯორჯია — ზუგდიდი**
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); კ. თბილელი, ო. ხეცაძე (ორივე თბილისი); ლ. რაზმაძე (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**გურია — ლოკომოტივი**
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მუნთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ფოთი. „ფაზისი“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**კოლხეთი — მეტალურგი**
მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუხიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი

თბილისი. „მუშტაიდი“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**თბილისი — მერანი**
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი, ზ. ელისაბედაშვილი, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: პ. ქარქაშაძე

წყალტუბო. „26 მაისი“. 7 ნოემბერი. 15 საათი
**სამგურალი — თსუ**
მსაჯები: [illegible]; სფფ-ის ინსპექტორი: [illegible]



ბექაურს, მიშველიძეს და ლაშა სილაგაძეს მეორე სართულზე თედორაძემ აჯობა

# ერთი თავური არტილერიის აკომპანიმენტით

**ბათუმი**
4 ნოემბერი
15 საათი
დინამო
800 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 1:0 გორდა**

1:0 პაპიძე (81)
ბათუმი: ბედიაშვილი, ჩიჩუა, მინდაძე, მჟავანაძე, პაპიძე, თედორაძე (ყულეჯიშვილი 46), ლლონტი, დარჩიძე, რომანაძე, აფხაზავა (სიხარულიძე 88), ა. მუჯირი (გველესიანი 89)
სათადარიგონი: ჯაში; ბეჟანიძე, კაკაბაძე, ქაცარავა
გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ბექაური, ლაშა სილაგაძე, მჭედლიძე (ბერიძე 68), ბაჩილავა (კიტიაშვილი 67), ლაბაძე, კ. ალადაშვილი, მელაძე, იჯ ქიიანი (ბუკია 72), მიშველიძე
სათადარიგონი: გონგაძე, მ. სახვაძე, პატარიძე, ცოჩუა
გაფრთხილება: მჭედლიძე (15), აფხაზავა (23), ნიკურაძე (75)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

...81-ე წუთი იდგა, ლევან ფანიაშვილმა სტუმარი გაბელაია ფლანგზე, პირით ხაზთან რომ დააჯარიმა. ლლონტმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, ბურთი რომელსაც ყველაზე მაღლა პაპიძე აუხტა და უზადო თავურით ნიკურაძე ადგილზე გააშეშა. ამ დაძაბული მატჩის კვანძიც სწორედ აქ გაიხსნა. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, მეტოქენი უგოლოდ გაიყრებიანო, მაგრამ...

უნდა გენახათ რუსთაველთა სასოწარკვეთა. მთელი თამაში ღირსეულად იბრძოლეს, მეტოქეს ტოლიც არაფერში დაუდეს. ცხრა წუთიც რომ გაეძლოთ...

და მაინც, პაპიძის თავური ლოგიკური იყო. „ბათუმი" ხომ გაცილებით უკეთ გაისარჯა, საგოლე მომენტებიც მეტოქეზე მეტი შექმნა და თამაშიც მისი კარნახით მიდიოდა.

გოლი რომ უფრო ადრე არ გავიდა, ეს უდავოდ „გორდას" უკანა ხაზის დამსახურებაა. ტრავმირებული ალექსანდრე ბურნაძის გარეშე მოთამაშე რუსთაველელებს სწორედ დაცვაში უნდა გასჩენოდათ პრობლემა, მაგრამ ლიბეროდ განმწესებულმა ბექაურმა ყველაფერი გააკეთა რათა ბურნაძის არყოფნა გუნდს არ დასტყობოდა და სილაგაძესთან ერთად უნარიანად უთავკაცა კიდეც დაცვას. ჯაბანნი არც სხვები დარჩნენ და საჯარიმოში მომხდურ მეტოქეს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს.

„ბათუმი" მოედნის ცენტრში თავიდანვე დომინირებდა, ბურთსაც ხშირად აკონტროლებდა და შეტევაშიც სწრაფად გადადიოდა, მაგრამ სწორედ სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან ვერაფერს ხეირობდა. უჩვეულოდ ინერტულნი ჩანდნენ აფხაზავა და რომანაძე, რომელთაც რუსთაველთა დაცვის გარღვევა უჭირდათ. სტუმართა კართან ხიფათი უმეტესწილად შორეულ დარტყმებს მოჰქონდა და ძელ-ხარიხაც სამჯერ შეზანზარდა.

პირველად ეს 27-ე წუთზე მოხდა, როცა ლლონტმა 20 მეტრიდან ისეთი დააქუხა, ძელები ლამის უხარიხოდ დატოვა, დანარჩენი ორი კი თამაშის განახლებიდან იმ ოცწუთიან შუალედში, ზღვისპირელებმა განსაკუთრებით მწვავედ რომ შეუტიეს მეტოქეს.

ჯერ იყო და საჯარიმოს გარედან დარჩიძის გასროლილი ძელმა აისხლიტა, ხოლო ათიოდ წუთში თამაში კარგად ჩართული ყულეჯიშვილის ეფექტურ აბრაგანს კვლავ ხარიხა შეეგება.

ამასობაში დრო ილეოდა, გოლი კი არ ჩანდა და „ბათუმიც" თანდათან ვაბანკზე მიდიოდა. რუსთველებს კონტრშეტევების განსახორციელებლად თავისუფალი არეც ხშირად უჩნდებოდათ, მაგრამ მათი ქმედება არც დროული იყო და არც ზუსტი. არადა, იასონ ალადაშვილის შეცვლებმა სტუმართა გააქტიურებას დაუდო სათავე და ერთხანს „ბათუმს" გარკვეული სიძნელეებიც შეექმნა.

ასე იყო თუ ისე, ზღვისპირელებს სულზე მოუსწრო პაპიძის თავურმა და დარჩენილ დროში აღარაფერი შეცვლილა, თუმც მამუკა მელაძეს ჯეროვნად რომ გამოეყენებინა ბოძებული შანსი, შეიძლებოდა, სხვაგვარადაც ყოფილიყო საქმე.

„გორდას" თამაშის გადარჩენა გოლიდან ხუთიოდ წუთში შეეძლო, როცა ლაბაძემ ჩინებული პასით მასპინძელთა დაცვა გაარღვია და მელაძე ბედიაშვილს დაუპირისპირა, თუმც მისი დარტყმული უხეირო გამოდგა და მეკარის იოლი ლუკმაც გახდა.

მოკლედ, „ბათუმმა" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღო და ცხრილში „ვიტ ჯორჯიას" კვალში ამოუდგა. აი, რუსთაველებს კი ცუდად აქვთ. საქმე თუ ექვსეული სწყურიათ, შეუძლებელი უნდა შეძლონ. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სწორედ ამ წაგებამ შეჰმატა მათ რწმენა და მომავალს მაინც ოპტიმიზმით უყურებენ.

დაბოლოს, მსაჯობაზეც ვთქვათ. რუსთაველები ნაწყენნი დარჩნენ ფანიაშვილის განსჯით, აქაოდა, „ტექნიკურად" მიუდგა „ბათუმსო". შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ჩვენში მასპინძლისადმი სიმპათია ხომ ყველგან არსებობს? თუმც არა. როგორც იასონ ალადაშვილმა გვითხრა, ასეა რუსთავის გარდა ყველგანო.

„სარბიელში" სამუშაოდ ვიწვევთ გამოცდილ მბეჭდავს. ცნობებისთვის დარეკეთ
TEL: 39 48 29. 13-დან 18 საათამდე

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა პირველი წრე

## 13 ტური

# გოლია, გაასწორეთ საათი!

**სათქმელად** ცოტა უხერხულია, პირველი ლიგის ჩემპიონატი უმაღლესისას სჯობს, მაგრამ ფაქტები სწორედ რომ ამაზე ღაღადებს. სატურნირო ვითარების დაძაბულობას მკითხველი თავადაც შენიშნავდა. ტურიდან ტურამდე იმგვარად იცვლება მოვლენები და ისეთი შედეგები ფიქსირდება, რომ კაცი ვერ განსაზღვრავს, ბოლოს ვინ შერჩება ექვსეულს. პირველი ლიგის თამაშების ხარისხზე გადამეტებული შთაბეჭდილების შექმნა არ ღირს (ამ მხრივ უმაღლესი ლიგაც ვერ დაიკვეხნის), მაგრამ თითოეულ მატჩს იმდენი ენერგია ახლავს (არადა, უფროს ძმებთან შედარებით პირველლიგელებს მოტივაცია ნაკლები აქვთ) მნახველი გულგრილად ვერ დარჩება. თუ მეცამეტე ტურის ოქმებს გულდასმით ჩაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ ხუთიდან ოთხ მატჩში მიწურულსლა გავიდა გოლები, აქედან სამ შემთხვევაში კი ბოლო წუთებში გატანილმა შეცვალა მატჩების შედეგები. ხუთი მატჩიდან სამი ფრედ დასრულდა, ორში კი მასპინძლებმა იმარჯვეს.

ერთპიროვნულმა ლიდერმა „ცხინვალმა" ბორჯომულ „თორს" სძლია. მასპინძლებმა გონს მოსვლაც არ აცადეს სტუმრებს და მეცხრე წუთისთვის ორბურთიან უპირატესობას მიაღწიეს. მერეც ბევრს ეცადნენ ლიგის უპირველესი ბომბარდირი პაატა გვირჯიშვილი და მისი თანაგუნდელები, მაგრამ გამოფხიზლებულ სტუმრებს ვერაფერი დააკლეს, მეტიც, მეორე ნახევარში რევაზ გლუნჩაძემ საპასუხო გოლის გატანა შეძლო. ეს იყო და ეს. ორივე გუნდის მცდელობას დარჩენილ დროში გოლი აღარ მოჰყოლია.

„სამგურალმა" მოლოდინისამებრ „თბილისს" სძლია, თუმც გვარიანად ინერვიულა პირველ ნახევარში. მასპინძელთა საგრძნობ უპირატესობას მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და ტაიმიც უგოლოდ მიილია. შესვენების შემდეგ კი წყალტუბოელებმა ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს მეკარე ზვიად კუპატაძეს. თერთმეტმეტრიანით იმერელთა დამაწინაურებელ შოთა დარსაძეს ბოლოს მალხაზ ჯინჭარაძე და ზვიად ქუთათელაძე (ორჯერ) ამოუდგნენ გვერდში და მათმა გუნდმა ექვსეულში მოხვედრის შანსი საგრძნობლად გაიუმჯობესა.

ტურის დანარჩენი სამი მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 1:1 დასრულდა. ფრეების ოსტატი „ხობი" ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ „მილანმა" ბოლომდე იბრძოლა და 89-ე წუთზე ვლადიმერ ლუდუშაურმა პირველ ნახევარში კალისტრატე ხურცილავას გატანილი გაქვითა. ეს მატჩი, სხვათაგან განსხვავებით, ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო, რადგან ხობის „ცენტრალურზე", სასწრაფო დახმარების მანქანას შეაგვიანდა. 89-ე წუთი საკვანძო გამოდგა „ზუგდიდ" — „გურიას" მატჩშიც. მასპინძლები ჩხეტიას პირველ ტაიმში გატანილის წყალობით უსახელოდ მარცხდებოდნენ ათას ორასამდე გულშემატკივრის თვალწინ, მაგრამ ზუგდიდელებს შეცვლაზე შესულმა მანუჩარ კუტალიამ უშველა და ასეთ ვითარებაში მოპოვებული ფრე არ უნდა იყოს ურიგო შედეგი ვლადიმერ თუთბერიძის გუნდისთვის.

უფრო დაძაბულად წარიმართა „შუქურა" — „მეტალურგის" შეხვედრა. ქობულეთელებს ოთხმოცდაათი წუთიც არ ეყოთ ანგარიშის გასათანაბრებლად. სტუმრები პირველ ნახევარში დავით ბაქრაძემ დააწინაურა და მერეც „მეტალურგი" დიდხანს ინარჩუნებდა სათამაშო უპირატესობას. ზღვისპირელები ბოლოსღა მოეგნენ გონს და მეტოქის კარს გაავთრებით შეუტიეს. ზუგდიდელი სერგო კვარაცხელიას წამზომზე მეოთხე დამატებული წუთი იწურებოდა, როცა ჯუმბერ ბერიძემ სტუმრები დაამწუხრა.

ტურის ერთადერთი გადადებული მატჩი „ოკეანესა" და „ივერიას" შორის 14 ნოემბერს ჩატარდება. მომდევნო მეთოთხმეტე ტურში კი დიდ ინტერესს იწვევს წნორის „მილანისა" და „ცხინვალის" შეხვედრა. ეს მატჩი, სხვათა მსგავსად, პარასკევს, 10 ნოემბერს გაიმართება.

**ბაატა ქვანტალიანი**

**ხობი**
3 ნოემბერი
15.10 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 12 000)

**ხობი 1:1 მილანი**

1:0 ხურცილავა (42), 1:1 ლუდუშაური (89)
ხობი: შ. გოგია, ფიფია, ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, არ. ჯიქია, ხურცილავა (ჯამბურია 87), ვართაგავა, ქაშიბაძე (ზაზა აიანადი 88), მიქავა (აბაკელია 27), ქიქინაძე ჭეღია
სათადარიგონი: თოლორდავა; ხორავა, ხაჟალია, ბერაია
მილანი: გ. სოხიაშვილი, თელიაშვილი, კობაიძე, მელქაძე, ტარულაშვილი, სოსელია (გოძიაშვილი 81), ლუდუშაური, ქსონია, მეტონიძე, ინასარიძე (ზედოევი 50), ტოკლიკიშვილი (ვარამაშვილი 62)
სათადარიგონი: დ. კაპანაძე, შავშიშვილი, ჩიტაური, მ. სოხიაშვილი
გაფრთხილება: მეტონიძე (24), აბაკელია (63), ვართაგავა (75)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

**წყალტუბო**
3 ნოემბერი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 4:0 თბილისი**

1:0 დარსაძე (60პ), 2:0 ჯინჭარაძე (81), 3:0, 4:0 ქუთათელაძე (84, 89)
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ჭელიძე, თირქია, ქობულაძე (დ. ჯიქია 31), ჯინჭარაძე, დარსაძე, შ. ფუტკარაძე (კიკვიძე 41), ზვ. ფხაკაძე (გოლეთიანი 58), ბაბუნაშვილი, ქუთათელაძე
სათადარიგონი: გიორგაძე, ლეონჯილია, ბარაბაძე, ტეხოვი
თბილისი: კუპატაძე, გ. ჩალაძე, ნიკურაძე, მახარაძე, ლ. კაპანაძე (გუშარაშვილი 44), ბ. ფირცხალავა (გოგმაჩაძე 61), სტურუა, აბრამიშვილი, სახურია, ქუხილავა, მანჯგალაძე
სათადარიგო: კოდალაევი
გაფრთხილება: სტურუა (31), ბერაძე (52), სახურია (56), ნიკურაძე (73)
მსაჯები: ლ. მიქელაძე; კ. ბერაძე (ორივე სამტრედია), ა. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**ქობულეთი**
3 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 000)

**შუქურა 1:1 მეტალურგი**

0:1 ბაქრაძე (20), 1:1 ბერიძე (90)
შუქურა: გოგუა, კოროტკოვი (კვირკველია 46), ოქროპირიძე, ქუტიძე, ბერიძე, ჩელებაძე, ბ. ფუტკარაძე, კალანდაძე, ბაგუნაშვილი, კაკალაძე, ჩადუნელი (ვალიჩავა 55)
სათადარიგონი: პერმინოვი; ლომთათიძე, ჩახუნაშვილი, გორჯელაძე
მეტალურგი: ოდიკაძე, გოგაძე, ბ. ლურსმანაშვილი, გურეშიძე, ბაქრაძე, აბაზაძე, კაციაშვილი, აჭარაძე (მოდებაძე 70, მემარნიშვილი 85), ამაშუკელი, გვაზავა (ორმოცაძე 90), ფირცხალეიშვილი
სათადარიგონი: ნიქაბერიძე; ფანცხავა, მახათაძე, მერებაშვილი
გაფრთხილება: კოროტკოვი (30), გვაზავა (30), კაციაშვილი (40), კაკალაძე (70), ოქროპირიძე (85)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ვ. ელოევი (ცხინვალი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ზუგდიდი**
3 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 200 (ტევადობა 7 500)

**ზუგდიდი 1:1 გურია**

0:1 ჩხეტია (18), 1:1 კუტალია (89)
ზუგდიდი: ნაცოფია, ლურწკაია, ქითანავა, გეჟენიძე, ქურღულია (დიდიძე 80), დ. დანელია (კუტალია 46), ვოლბაია, გოგიტაძე, ლ. ბუკია, თორია, ან. ჯიქია
სათადარიგონი: კვარაცხელია; გამსახურდია, ჩიქობავა
გურია: მერკვილიშვილი, ვოსკანოვი, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ძნელაძე, მ. ჯღარკავა (მატარაია 86), სულაკაძე, განეევი, ჩხეტია (ფაცურია 60), ქედელაძე (მინაშვილი 89), ლორია
სათადარიგონი: შეყრილაძე; კირკიტაძე, სამხარაძე, შველიძე
გაფრთხილება: თორია (21), ვოსკანოვი (26), სულაკაძე (69), კუტალია (67), ნაცოფია (73), მერკვილიშვილი (76), ფაცურია (89)
მსაჯები: ბ. დოგრაშვილი; გ. კუკჩეიშვილი, რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)

**გორი**
3 ნოემბერი
15 საათი
ქართლი
300 (ტევადობა 2 000)

**ცხინვალი 2:1 თორი**

1:0 ბოქორაძე (2), 2:0 მარგიევი (9), 2:1 გლუნჩაძე (56)
ცხინვალი: ქესანაშვილი, მურადელი, ხაჭაპურიძე, ტეჟმალაძე, ვაჩლავაშვილი, ბოქორაძე, ზ. მაისურაძე (არუთინიანი 52), მარგიევი, მარღიშვილი, ნასუაშვილი, გვირჯიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; წიქარიძე, ჩაჩიბაია, კობაური
თორი: სულავა, მ. ლომიძე, ქობესაშვილი, ელისაშვილი (დ. ლეკიშვილი 46), სეფერთელაძე, გ. ლომიძე, გლუნჩაძე, ვარდიაშვილი (ზაქარეიშვილი 74), წიქარიშვილი (ხოსროშვილი 46), ვ. ფირცხალავა, თალაკვაძე
სათადარიგონი: ლაბაძე; ჯანაშია, ზარანდია
გაფრთხილება: გვირჯიშვილი (87)
მსაჯები: ა. მუშკოვი; მ. ურუშაძე, ზ. დოლიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

**ქუთაისი**
14 ნოემბერი
15 საათი
ოკეანე
(ტევადობა 1 000)

**ოკეანე — ივერია**

„ოკეანის" პრეზიდენტის მურმან ძნელაძის გარდაცვალების გამო 14 ნოემბერისთვის გადაიდო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 13 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| 11 - ქუთათელაძე | სამგურალი |
| 10 - ბოქორაძე | ცხინვალი |
| 9 - ბ. გვაზავა | მეტალურგი |

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 13 | 9 | 1 | 3 | 38:13 | 25 | 28 | 7 | 7 | 0 | 0 | 29:4 | 25 | 21 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 7 |
| 2 გურია | 13 | 7 | 4 | 2 | 18:16 | 2 | 25 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:4 | 8 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:12 | -6 | 9 |
| 3 მილანი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:10 | 8 | 24 | 6 | 6 | 0 | 0 | 14:2 | 12 | 18 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | -4 | 6 |
| 4 ზუგდიდი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:14 | 5 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 16:7 | 9 | 17 | 6 | 1 | 1 | 4 | 3:7 | -4 | 4 |
| 5 შუქურა | 13 | 6 | 3 | 4 | 17:11 | 6 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 12 | 17 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 |
| 6 სამგურალი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:11 | 11 | 21 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:4 | 15 | 19 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:7 | -4 | 2 |
| 7 თორი | 13 | 6 | 2 | 5 | 14:12 | 2 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | -3 | 7 |
| 8 მეტალურგი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:12 | 2 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 16 | 7 | 0 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 9 ხობი | 13 | 3 | 5 | 5 | 9:15 | -6 | 14 | 7 | 2 | 5 | 0 | 3:1 | 2 | 11 | 6 | 1 | 0 | 5 | 6:14 | -8 | 3 |
| 10 თბილისი | 13 | 2 | 1 | 10 | 4:24 | -20 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 3:6 | -3 | 6 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:18 | -17 | 1 |
| 11 ოკეანე | 12 | 1 | 3 | 8 | 8:25 | -17 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:17 | -12 | 1 |
| 12 ივერია | 12 | 1 | 3 | 8 | 5:23 | -18 | 6 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:17 | -16 | 0 |

# შვიდი, ერთი და არცერთი




REUTERS ფოტო

ლიდსი — ლივერპული 4:3. ეს ვინ იქნება, თუ არა მარკ ვიდუკა

## ინგლისი

### XII ტური

**ევერტონი 0:1 ასტონ ვილა**

0:1 მერსონი (90)
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი (ჯემილი 62), ვეირი, მავიერი, ანსუორთი (ტალი 74), გრაველსენი, გესქოინი (კადამარტერი 37), ს. ჰიუზი, პემბრიჯი, ნეისმიტი, ჯ. კუმბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ალფაი, საუთგეიტი, ბერი, სტოუნი (დილანი 59), ბოატენგი, ტეილორი, ა. რაიტი, მერსონი, დე ბილდე (ვასელი 75), ჯოუზიმი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: მავიერი, ნეისმიტი, ანსუორთი, ბოატენგი, ვასელი
27 670 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:0 ბრედფორდი**

1:0 იოჰანსონი (4), 2:0 სტიუარტი (16)
ჩარლტონი: კიელი, პაუელი, სტიუარტი, რუფუსი, კინსელა, რობინსონი, ბრაუნი, შილდსი, იენსენი (ტოდი 72), იოჰანსონი (სალაკო 85), სვენსონი (ლისბი 77)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, მაკკოლი, ვეზეროლი, უოლი, ლოურენსი, უორდი, ბიგრი (გრანტი 80), აზერტონი, სონდერსი (კარბონე 77), პეტრესკუ (უინდასი 63)
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
გაფრთხილება: მაკკოლი
გაძევება: მაკკოლი (90)
19 655 მაყურებელი

**ქოვენთრი 1:2 მანჩესტერი**

0:1 კოული (27), 0:2 ბექჰემი (37), 1:2 ზუნიგა (64)
ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, უილიამსი, შოუ, ტომპსონი (ტელფერი 57), ჩიპო, ჰაჯი, ბრინი, გერერო, ბ. ქუინი (ოსტიჩი 57), ბოტროიდი (ზუნიგა 46)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, ბრაუნი, ფ. ნევილი, კინი, ბექჰემი, სქოულზი (სოლსკიაერი 51), გიგზი, კოული, შერინგემი (იორკი 71)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ოსტიჩი, კინი
21 079 მაყურებელი

**ლიდსი 4:3 ლივერპული**

0:1 ჰიიპია (2), 0:2 ციგე (18), 1:2, 2:2 ვიდუკა (24, 47), 2:3 შმიცერი (61), 3:3, 4:3 ვიდუკა (73, 75)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ჰარტი, ვუდგეიტი (მეი 16), მატეო, ბოიერი, ბაკე, დაკური, ბარნსი, ა. სმიტი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ლივერპული: ვესტერფელდი, კარაგერი, ციგე, ბაბელი, ჰიიპია, შმიცერი, მერფი (ფაულერი 67), მაკალისტერი (ჯერარდი 68), ჰამანი, ბერგერი (ბარმბი 74), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბოიერი, ციგე, ბერგერი, ბაბელი, ჯერარდი
40 055 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 ლესტერი**

0:1 სევიჯი (56)
მანჩესტერ სიტი: ვიავერი, უიტლი, ჰაუი, პრიორი, რიჩი (კენედი 59), ჰაალანდი, ვიკენსი (ბიშოპი 59), შარვე, ვანჩოპე, დიკოვი, ტიატო
მწვრთნელი: ჯო როილი
ლესტერი: ფლაუერსი (როისი 46), როუეტი, დავიდსონი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, ტაგარტი, ლენონი, სევიჯი, იზეტი, ბენჯამინი (გუნლაუგსონი 82), აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: რიჩი, დავიდსონი, სინკლერი
34 279 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 არსენალი**

0:1 ანრი (25პ)
მიდლსბრო: კროსლი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი, დინი, ე. კემპბელი (ფესტა 74), რიკარდი (ბერესფორდი 24), სამერბელი, სტამპი, ველანი, კუპერი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
არსენალი: ლუკიჩი, დიქსონი, ვიეირა, კიოუნი, ადამსი, პარლოუ, სილვინიო, გრიმანდი ლიუნგბერგი, ბერხკამპი (ლორენი 86), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სამერბელი, კუპერი
გაძევება: კროსლი (23)
29 541 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 იფსვიჩი**

0:1 სტიუარტი (13), 1:1, 2:1 შირერი (22, 67პ)
ნიუკასლი: გივენი, დომი, გომა, ა. ჰიუზი, ლი, დაიერი, აკუნია (ბასედასი 88), სპიდი, სოლანო (კოლდუელი 44), კორდონე (ლუა ლუა 60), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი (როიზერი 73), მეჯილტონი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, ნეილორი (ჯონსონი 60), სტიუარტი (შოუკროფტი 60)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: აკუნია
50 922 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 3:2 ჩელსი**

1:0 ბიტი (3), 2:0 ტესემი (37), 2:1 უაიზი (69), 2:2 პოიეტი (78), 3:2 ბიტი (90)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ელ ხალეჯი, რიჩარდსი, მარსდენი, ტესემი, ოკლი (დევისი 61), ბრიჯი, ბიტი, პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ჩელსი: დე გუი, პანუჩი, ბაბაიარო, ტერი, ლებეფი, პოიეტი, დალა ბონა, უაიზი, ჰასელბაინკი, ფლო (გუდიონსონი 90), ძოლა (იოკანოვიჩი 90)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბიტი, პახარსი, მარსდენი, ელ ხალეჯი, უაიზი, ლებეფი
15 236 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 სანდერლენდი**

1:0 შერვუდი (43), 1:1 ჰატჩისონი (63), 2:1 არმსტრონგი (79)
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, პერი, ტეტჩერი, ვეგა, იანგი, კლემენსი, ანდერტონი, შერვუდი, ლ. ფერდინანდი, რებროვი (კ. არმსტრონგი 71)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, უილიამსი, კრადოკი, ვარგა, არკა (ოსტერი 77), ჰატჩისონი, რაე, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ტეტჩერი
გაძევება: ტეტჩერი (90)
36 016 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი — ვესტ ჰემი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**შვიდი** გოლების ის რაოდენობაა, რომელიც შაბათს დილით ლიდსის „ელანდ როუდზე“ გავიდა; ერთი გოლების ის რაოდენობაა, რომელიც ამ მატჩში მონაწილე გუნდების მხოლოდ თავდასხმის ხაზის დამსახურებაა და არა მცველთა შეცდომის შედეგი; არცერთი კი გოლების ის რაოდენობაა, რომელიც ამ ორი ინგლისური გუნდის შეხვედრაში ინგლისელებმა გაიტანეს.

ინტრიგა ბოლო წუთამდე შენარჩუნდა, დაძაბულობა უაღრესად დიდი იყო, ჯამში კი თვალწარმტაცი მატჩი გამოვიდა, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით ღარიბი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, მხოლოდ ერთი გოლი — ჩეხი შმიცერისა — გახლდათ შედეგი გამართული და მძლავრი, კომბინაციური შეტევისა, დანარჩენი ექვსი კი მცველთა არასწორ, ზოგან უსუსურ თამაშს უნდა მივაწეროთ.

მასპინძელთა დაცვის ხაზის ასეთი ქმედება მოსალოდნელიც იყო: „ლიდსს“ არ ჰყავდა ლუკას რადებე, მაიკლ დაბერი და დენი მილსი, მე-16 წუთიდან კი დაშავებულებს ჯონათან ვუდგეიტიც შეუერთდა — როგორც ამბობენ, ის ხვალ მილანშიც ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, „ლივერპულს“ არ ჰქონდა მსგავსი პრობლემა, თუმცა მისი მცველების დასაწყისში გაკეთებული საქმე (პირველი ორი გოლი სწორედ მათ ანგარიშზეა) ბოლოსკენ მთლად წყალში ჩაიყარა.

სტუმართა ფრანგმა თავკაცმა ეს დაღლილობით ახსნა — შუა კვირას ხომ მის გუნდს „ჩელსისთან“ 120 წუთიანი ბრძოლა გადახდა, თუმცა, ამ ლოგიკას თუ მივყვებით, იორკშირელებიც ამავ დღეში იყვნენ: ლიგის თასზე ორსაათიანი მატჩი „ტრანმერთან“ ბოლო წუთზე წააგეს, ხვალ კი საერთოდ სეზონის უმთავრესი შეხვედრა ელით „სან სიროზე“. მილანში „ლიდსი“ დასვენებული ნამდვილად ვერ ჩავა, თუმცა იტალიას კარგ ხასიათზე ეწვევა. რა სჯობს, ამას ხვალ ვნახავთ, აქ კი შაბათის მატჩზე ორიოდ სიტყვაც ვთქვათ.

ეს ორიოდ სიტყვა მარკ ვიდუკაა, წლეულს „სელტიკიდან“ 6 მილიონ გირვანქად ნაყიდი ფორვარდი, ვისაც ოლიმპიურ თამაშამდე გოლი ვერ გაეტანა, შაბათს კი მონაგარს ერთბაშად ოთხი დაუმატა. ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ზორბა ავსტრალიელმა საკუთარ თავსაც არგო, კლუბსაც და ქვეყანასაც (ინგლისს): გუნდის ისტორიაში ჩაეწერა (ბოლოს ერთ მატჩში ოთხი გოლი 1971 წელს ალან კლარკს გაეტანა „ბარნლისთან“), „ლიდს“ სამი ქულა და ჩინებული ხასიათი შესძინა, ინგლისელებს კი დაანახა, თუ როგორ უნდა ფინური (ჰიიპია) და გერმანული (ბაბელი, ციგე) დაცვის ბარიერების გადალახვა. და კიდევ, ცხრა გოლით ვიდუკა საუკეთესო მეგოლეთა სამეულში აღმოჩნდა.

ამდენივე აქვს გატანილი ფრანგ ტიერი ანრისაც, ოღონდ „არსენალის“ ფორვარდი გოლებს უფრო თანაბრად და საქმიანად ანაწილებს. ახლაც, მის მიერ რეალიზებული პენალტი მიდლსბროელთა სათადარიგო მეკარის კარში ერთადერთი და კვლავ სამქულიანი გამოდგა. შედეგად, „არსენალი“ კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ლიდერობს, ბრაიან რობსონის გუნდი კი გასავარდნთა ზონაში ჩაეშვა.

აბა, რა მოუვიდოდა — „მიდლსბრომ“ ხომ ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო. და თუ ამჯერად მის თავკაცს თავის გამართლება კიდევ შეეძლო (მეკარე მარკ კროსლი გაუძევეს 24-ე წუთზევე, როცა ამან პატრიკ ლიუნგბერგი თავის საჯარიმოში წააქცია), მთლიანად სეზონში ცუდი თამაშისთვის პასუხი სწორედ მას მოეთხოვება. ამიტომაც აგორდა ხმები „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ნაკრების ყოფილი კაპიტნის შესაძლო გადადგომის შესახებ, მაგრამ ჯერ თავად ბრაიან რობსონმა უარჰყო ამგვარი პერსპექტივა, მოგვიანებით კი კლუბის თავმჯდომარე სტივ გიბსონმაც: რობსონს კიდევ ორნახევარი წელი აქვს ჩვენთან კონტრაქტი და ვფიქრობ, ამ პერიოდში რაღაცას მოგვაგებინებსო. მოკლედ, „მიდლსბროში“ მწვრთნელისა სჯერათ.

ისე, „მიდლსბროს“ ეს უიღბლო სერია ალბათ ექვსმატჩიანიც გახდება, ვინაიდან მომავალ უქმეებზე ბრაიან რობსონი თავის ყოფილ გუნდს „ოლდ ტრეფორდზე“ უნდა ესტუმროს.

აი, მეორე რობსონს, უფრო გამოცდილ ბობის კი გასულ შაბათს ნოსტალგია მოეძალა — 18 წლიანი განშორების შემდეგ მის თვალწინ კვლავ „იფსვიჩი“ თამაშობდა, ოღონდ პირველად თავის სამწვრთნელო კარიერაში, ამ კლუბის დამარცხებას ნატრობდა.

„იფსვიჩ თაუნი“ და ბობი რობსონი: ეს ორი სახელი 13 წლის მანძილზე მუდამ ერთად მოიხსენიებოდა. პროვინციული აღმოსავლეთ ინგლისური გუნდი ბობიმ 1969 წლის იანვარში ჩაიბარა და 1982 წლამდე მანამდე არნახული ტიტულები შეჰმატა — ქვეყნის თასი 1978-ში, ვერცხლის მედლების ორი კომპლექტი (1981 და 82) და, რაც მთავარია, უეფას თასი, რომელიც ამ პატარა ქალაქს 1981 წლის 20 მაისს ესტუმრა.

მაგრამ ამჯერად რობსონი თავის „ნიუკასლთან“ ერთად სწორედ უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის და ცხადია, სენტიმენტალური განწყობა მსაჯის პირველივე ჩასტვენისთანავე გაქრა. „იფსვიჩი“ იგებდა, მაგრამ მხოლოდ 9 წუთის განმავლობაში, მერე კი ბოლო კვირას აბობოქრებულმა, ნაკრებისგან დასვენებულმა ალან შირერმა ორჯერ გაიტანა (ორიც ხომ ლიგის თასზე „ბრედფორდს“ შეუგდო) და თავისი გუნდი მეექვსე ადგილზე ალაზევა. „იფსვიჩი“ მეშვიდეზეა.

„ჩელსის“ კი ჯერჯერობით ესაც სანატრელი აქვს. საუთჰემპტონში გლენ ჰოდლმა თავის ყოფილ გუნდს უმასპინძლა და შინ ხელცარიელი გაუშვა.

„ბრედფორდმა“ კვლავ წააგო, ამჯერად ლონდონში „ჩარლტონთან“ და... პრემიერლიგა ამ სეზონში მეორე მწვრთნელსაც დაემშვიდობა: ვიალის გზას „ბრედფორდში“ ივნისში მისული კრის ჰაჩინგსი გაუყენეს.

**გიგა ქობახიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 33:9 | 24 | 27 | 6 | 5 | 1 | 0 | 22:3 | 19 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 11 |
| 2 | არსენალი | 12 | 8 | 3 | 1 | 23:10 | 13 | 27 | 6 | 6 | 0 | 0 | 16:4 | 12 | 18 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 |
| კომპოსტელა | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | 11 |
| ატლეტიკო | 11 | 2 | 4 | 5 | 10:13 | 10 |
| ფეროლი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:17 | 8 |
| ლეიდა | 11 | 1 | 4 | 6 | 8:16 | 7 |
| უნივერსიდადი | 11 | 1 | 3 | 7 | 6:16 | 6 |

## დღეს ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტური

# სამიც უნდა მოიცილონ!

**დღეს** გასამართი რვა მატჩიდან მხოლოდ სამში წყდება ლიგის შემდეგ ეტაპზე გამსვლელთა ბედი. A და B ჯგუფებში ყველაფერი გარკვეულია, C ჯგუფში „ლიონი" — „ოლიმპიაკოსია" საინტერესო, ხოლო D ჯგუფში სრული გაურკვევლობაა.

„ლიონს" ბერძნებთან 1:0, 2:1 და ორბურთიანი სხვაობით მოგება აძლევს ხელს, ყველა სხვა შემთხვევაში მეორე ეტაპზე პირეოსელები გადიან. „ეს ჩვენი ფინალია — ამბობს ფრანგთა ბელგიელი მცველი ერიკ დეფლანდრე — ფინალი კი ისეთი რამაა, მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქრო".

„ლიონს" დაუბრუნდა ბრაზილიელი თავდამსხმელი სონი ანდერსონი, ხოლო კრისტოფ დელმოტი ჯერაც ტრავმირებულია. ბოლომდე გარკვეული არაა მომჯობინებული ვიკაშ დორასოსა და ედმილსონის საკითხი. სავარაუდოდ, მწვრთნელი ჟაკ სანტისი ედმილსონს სასტარტო შემადგენლობაში ათამაშებს, დორასოს კი სათადარიგოდ იყოლიებს.

ერთი დაშავებული ფეხბურთელი ბერძნებსაც ჰყავთ — ჩვენებური ანდრეას ნინიადისი, თუმცა „ოლიმპიაკოსის" მთავარი პრობლემა ეს არაა. გუნდი ძალიან კარგად თამაშობს შინ და არაფერი გამოსდის გასვლაზე — პირეოსში სამი გამარჯვების მიუხედავად მან „ჰერენვენთანაც" კი დათმო მატჩი ჰოლანდიაში. ვნახოთ, ეგებ ბერძნებს სასტარტო შემადგენლობაში პარ ზეტერბერგისა და გრიგორიოს გეორგატოსის დაბრუნებამ უშველოს.

სტუმრად კიდევ უფრო ცუდად თამაშობს D ჯგუფის ლიდერი „შტურმი" — ორ გასვლით შეხვედრაში ავსტრიელებმა ათი გოლი გაუშვეს და ერთიც ვერ გაიტანეს. მისი ახლანდელი მეტოქე „გალათასარაი" კი იმით არის ცნობილი, რომ სტამბოლში არავის ინდობს. ამიტომ „შტურმისთვის" სასურველი ფრე ძნელად მისაღწევი უნდა იყოს.

მეტოქეებს თითო-თითო მოთამაშე ჰყავთ დისკვალიფიცირებული — სუათ კაია და რანკო პოპოვიჩი. კაიას მსგავსად თურქებს მეკარე კლაუდიო ტაფარელიც არ ეყოლებათ, რომელიც ტრავმირებულია. მისი შემცვლელი, 20 წლის ქერემ ინანი ამბობს: „წინა შეხვედრაში გამოუცდელობით რამდენიმე შეცდომა დავუშვი, მაგრამ ეს აღარ განმეორდება". ტრავმა მოიშუშა და სასტარტო განაცხადშია ემრე ბელოზოღლუ.

„შტურმის" მომჯობინებელთა სია უფრო სოლიდურად გამოიყურება: მეკარე კაზიმირჟ სიდორჩუკი, მცველი რამიზ მამედოვი და კაპიტანი ივიცა ვასტიჩი. მიუხედავად იმისა, რომ გრიპი აქვს, მწვრთნელი გიუნტერ ნოიკირხნერსაც უპირებს გაყვანას.



REUTERS

„ლაციოს" მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა პრაღაში ჩასვლისთანავე პრესკონფერენცია გამართა

„რეინჯერსის" მწვრთნელ დიკ ადვოკაატს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, თავდასხმაში მიხაელ მოლსი გაამწესოს თუ ბოლო ტურის გმირი კენი მილერი. მოლსს მუხლი მოურჩენია და შაბათს სქოთთა ჩემპიონატშიც ითამაშა, მაგრამ მწვრთნელი მაინც ჭოჭმანობს. გლაზგოელთა კიდევ ერთი ჰოლანდიელი ბერტ კონტერმანი დისკვალიფიცირებულია, ხოლო არტურ ნუმანს უეფამ ორი კვირის წინ „შტურმთან" მიღებული წითელი ბარათი „ჩამოუწერა". მოლსის და მილერის მსგავსად, ადვოკაატს ისიც ვერ გადაუწყვეტია, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი ამჯობინოს თუ თუგაი.

შოტლანდიელებს კიდევ არა უშავთ, შინ თამაშობენ და ფრეც ჰყოფნით, ამასთანავე „მონაკო" მის მოედანზეც დამარცხებული ჰყავთ. თეთრ-წითლები უფრო რთული ამოცანის წინაშე დგანან, რასაც მარკო სიმონეს სიტყვებიც მოწმობს: „წლეულს ეს ჩვენი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი მატჩი იქნება". ამას დავუმატოთ, რომ ფრანგებს ორი მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვთ — ფრანკ ჟურიეტი და მარტინ ჯეტუ დისკვალიფიცირებული არიან. ტრავმირებულია მექსიკელი რაფაელ მარკესიც.

და კიდევ: გუშინ დილით „მონაკო" გლაზგოში... ვერ გაფრინდა. მიზეზი ბრიტანეთში ავდარი გახლდათ. ამიტომაც „აიბროქსის" ნაცვლად ფრანგებმა საღამოს ისევ საკუთარ სტადიონზე ივარჯიშეს.

**გიორგი დარჯანია**

# ნაღმი — ეს მეტისმეტია

**გულშემატკივრებს** პროტესტის გამოხატვის მრავალი საშუალება აქვთ. მაგალითად, სტვენა, ანაც სტადიონის ტრიბუნაზე შესაბამისი შინაარსის ლოზუნგის გამოფენა. პროტესტის ნიშნად შეიძლება სტადიონზეც არ მივიდნენ. უფრო უხეში ფორმითაც გამოუხატავთ ქომაგებს თავიანთი უკმაყოფილება. ამის მაგალითი თუნდაც კლუბის პრეზიდენტის ოფისის მინების ჩამტვრევაა, რაც მრავალჯერ მომხდარა. აი, სერია A-ში წლეულს დაბრუნებული „ნაპოლის" ქომაგებს კი ნამდვილად ზედმეტი მოუვიდათ. კვირას „ნაპოლიმ" წლევანდელ სეზონში შინ ზედიზედ მესამედ წააგო, ამჯერად „ვიჩენცასთან" 1:2, შედეგად გუნდი ცხრილის ბოლო საფეხურზე დამკვიდრდა. ამით აღშფოთებულმა ნეაპოლელმა ტიფოზებმა სტადიონზევე ატეხეს ერთი ამბავი, ასეულობით პლასტმასის სკამი გატეხეს და დაწვეს, მერე „ნაპოლის" საწვრთნელ ბაზას მიადგნენ და საპროტესტო აქცია მოაწყვეს, ბოლოს კი კლუბის ერთ-ერთი მფლობელის, კორადო ფერლანოს სახლში... თვითნაკეთი ბომბი შეაგდეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, გაჩენილ ხანძარს კი იქ მყოფი სახლის მცველიც გაუმკლავდა. აფეთქებისას თავად ფერლანო და მისი მეუღლე პეტრიცია ბოლდონი თავიანთ ოთახში ყოფილან, თუმც პანიკას არ მისცემიან.

სამაგიეროდ, შორიახლოს მდგარი „რენოსა" და „ნისანის" მარკის ავტომანქანები აფეთქებამ ძალიან დააზიანა.

აღსანიშნავია, რომ წინა დღეებში ფერლანოს სახლში რამდენიმე ანონიმური სატელეფონო ზარი გაისმა. მას ემუქრებოდნენ, თუმც ცოლ-ქმარს სახლის მიტოვება აზრადაც არ მოსვლია.

ცნობისთვის: ფერლანო 25 წელია, „ნაპოლის" ერთ-ერთი თანამფლობელია. სწორედ მან გადმოიყვანა თავის დროზე „ნაპოლიში" მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, არგენტინელი დიეგო მარადონა, რომლის დახმარებითაც ნეაპოლურმა კლუბმა ბევრს მიაღწია. თუმც ქომაგებს ძველი, ეტყობა, აღარ ახსოვთ.

„ძალიან ნაწყენი ვარ — თქვა მომხდართან დაკავშირებით ფერლანომ — ეს სისხლის სამართლის დანაშაულია".

**განო ოქროპირიძე**

## რუსეთი

### XXIX ტური

**სპარტაკი 1:0 როსტსელმაში**

1:0 კალინიჩენკო (36)

**ლოკომოტივი 9:0 ურალანი**

1:0, 2:0 ლოსკოვი (9, 24), 3:0 ტერიოხინი (32), 4:0 ლოსკოვი (39), 5:0 მამინოვი (52), 6:0 ევსეევი (56), 7:0 ბულიკინი (59), 8:0 ჩერევჩენკო (69), 9:0 ბულიკინი (90)

**კრილია სოვეტოვი 1:0 ალანია**

1:0 ოსიპოვი (85)

**ფაკელი 0:0 ზენიტი**

**როტორი 0:1 ტორპედო**

0:1 შკაპენკო (69)

**ანჟი 2:1 ჩერნომორეცი**

1:0 ადიევი (36), 1:1 პერემენინი (57პ.კ.), 2:1 ადიევი (88)

**ნიჟნი ნოვგოროდი 0:0 სატურნი**

**დინამო 1:0 ცსკა**

1:0 გოგნიევი (23)

**ბოლო** ტურის წინ ერთი საკითხი დარჩა გასარკვევი: ვინ დაეუფლება ბრინჯაოს მედლებს. კანდიდატი სამია: მახაჩყალის „ანჟი", მოსკოვის „ტორპედო" და „დინამო". გასულ უქმეებზე სამივემ მოიგო.

მახაჩყალის სტადიონზე ტევა არ იყო. დაღესტნელები ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს" მასპინძლობდნენ. დაიწყო თუ არა თამაში, მეტოქეს ლამის მთელი შემადგენლობით შეუტიეს და ადიევის წყვილი გოლით გაიმარჯვეს კიდეც, თუმცა, მეორე ტაიმში გვარიანადაც ინერვიულეს — პერემენინმა საკუთარ კარში შეაგდო და მასპინძლებმა გამარჯვებისა დამთავრებამდე მხოლოდ ორი წუთით ადრე გაიტანეს.

„ტორპედომ" ვოლგოგრადში მოუგო „როტორს", ხოლო „დინამომ" ყოფილი ალანიელის, სპარტაკ გოგნიევის გოლით თანაქალაქელი არმიელები დაამარცხა.

აი, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა" კი რუსეთის ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა. უსახური და უკვე კარგა ხნის გავარდნილი ელისტის „ურალანი" 9:0 გაანადგურა. არადა, რკინიგზელებს თითქოს მოტივაცია აღარ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მოსკოველთა მწვრთნელის, იური სიომინის თქმით, ეს თამაში სლოვაკეთის „ინტერთან" უეფას თასის საპასუხო მატჩის წინ სასარგებლო რეპეტიცია გამოდგა: „ვფიქრობ, წარმატებული სეზონი გამოგვივიდა. ქვეყნის თასი და ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. „სპარტაკის" გადასწრებაც შეგვეძლო, მაგრამ „ალანიასთან" ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს და ამით ყველაფერი დამთავრდა" — განაცხადა სიომინმა.

საწყალ „ურალანს" კი აზრიკ ცვეიბა კაპიტნობდა...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 29 | 22 | 1 | 6 | 67:29 | 67 |
| ლოკომოტივი | 29 | 18 | 8 | 3 | 47:16 | 62 |
| ანჟი | 29 | 15 | 7 | 7 | 43:29 | 52 |
| ტორპედო | 29 | 15 | 7 | 7 | 40:28 | 52 |
| დინამო | 29 | 14 | 8 | 7 | 45:34 | 50 |
| ჩერნომორეცი | 29 | 12 | 10 | 7 | 45:28 | 46 |
| ზენიტი | 29 | 12 | 8 | 9 | 35:25 | 44 |
| ცსკა | 29 | 11 | 5 | 13 | 41:36 | 38 |
| ალანია | 29 | 10 | 8 | 11 | 33:34 | 38 |
| სატურნი | 29 | 9 | 10 | 10 | 25:29 | 37 |
| როტორი | 29 | 8 | 8 | 13 | 34:51 | 32 |
| როსტსელმაში | 29 | 6 | 13 | 10 | 23:26 | 31 |
| ფაკელი | 29 | 6 | 11 | 12 | 24:44 | 29 |
| კრილია | 29 | 7 | 5 | 17 | 24:45 | 26 |
| ნ. ნოვგოროდი | 29 | 3 | 9 | 17 | 16:45 | 18 |
| ურალანი | 29 | 2 | 6 | 21 | 17:60 | 12 |

## ჩეხეთი

მე-13 ტური: ჟიჟკოვი — სინოტი 3:1; იაბლონეცი — დრნოვიცე 0:0; პრჟიბრამი — ბოჰემიანსი 3:0; სიგმა — ლიბერეცი 1:1; ტეპლიცე — ბანიკი 4:0; ბრნო — ბლზენი 1:0; ბუდეიოვიცე — სლავია 3:2; სპარტა — ბლშანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 10 | 0 | 1 | 34:9 | 30 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 3 | 2 | 22:10 | 24 |
| ლიბერეცი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:14 | 24 |
| პრჟიბრამი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:13 | 21 |
| სიგმა | 11 | 5 | 4 | 2 | 20:11 | 19 |
| სინოტი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:15 | 19 |
| სლავია | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | 18 |
| ბოჰემიანსი | 13 | 3 | 7 | 3 | 17:17 | 16 |
| ჟიჟკოვი | 12 | 4 | 3 | 5 | 19:22 | 15 |
| ბლშანი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 13 |
| დრნოვიცე | 13 | 3 | 3 | 7 | 12:19 | 12 |
| იაბლონეცი | 13 | 2 | 6 | 5 | 11:20 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 2 | 5 | 5 | 13:23 | 11 |
| ბანიკი | 13 | 2 | 5 | 6 | 10:25 | 11 |
| ბრნო | 11 | 2 | 2 | 7 | 10:16 | 8 |
| პლზენი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:28 | 8 |

## შვეიცარია

### XVIII ტური

**ლუცერნი 0:2 ციურიხი**

0:1 ყაველაშვილი (12), 0:2 ჯამარაული (62)

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ფიშერი, დელ სინიორი, ანდრეოლი, ჯამარაული, პელინგა, ჯანინი, ყაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

**ლოზანა 1:3 არაუ**

0:1 დიდი (27), 0:2 პრევიტალი (47), 1:2 ტიავი (63), 1:3 ვიდერკერი (75)

არაუ: ბენიტო, ბადერი, ეგიმანი, პავლიჩევიჩი, ბაუდრი, პამჯიჩი, სკრჟიპჩაკი, პრევიტალი, ბალდასარი (სალვო 90), დიდი (ივანოვი 69), ვიდერკერი (სენი 90)

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

**ბაზელი 4:2 სერვეტი**

0:1 იპოლიტი (12), 1:1 კანტალუპი (17), 1:2 პეტროვი (35), 2:2, 3:2 მუფი (46, 47), 4:2 ტოლოტი (75)

**გრასჰოპერი 1:0 ივერდონი**

1:0 ბიელი (60)

**ქსამაქსი 1:0 ლუგანო**

1:0 კამარა (86)

**სიონი 2:1 სენტ გალენი**

1:0, 2:0 ტუმი (78, 87), 2:1 ნიქსონი (90)

**ამ** უქმეებზე გამართული ექვსი მატჩიდან ოთხი მასპინძლებმა მოიგეს და ორიც სტუმრებმა. სტუმართაგან ქართველთა გუნდებმა გამოიჩინეს თავი. ჯამარაულისა და ყაველაშვილის „ციურიხმა" სტუმრად „ლუცერნი" დაამარცხა, ლევან ხომერიკის „არაუმ" კი მოულოდნელად „ლოზანას" აჯობა.

ის, რომ „ციურიხმა" ლუცერნში მოიგო, მთლიანად ქართველთა დამსახურებაა. ამ მატჩში გატანილი ორი გოლიდან ერთი ყაველაშვილმა ჩაიწერა თავის ანგარიშზე, ერთიც ჯამარაულმა. ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მებრძოლ გუნდებს ამ შეხვედრაში სამი ქულა ჰაერივით ესაჭიროებოდა. „ლუცერნი" ამ მატჩამდე შინ ზედიზედ სამჯერ დამარცხებულიყო, „ციურიხს" კი წლეულს სტუმრად ერთხელაც ვერ მოეგო.

ჟილბერ გრესმა სტუმრებს კონტრშეტევებზე თამაში დაავალა და ამ ტაქტიკამ გაამართლა. უკვე მე-12 წუთზე ციურიხელებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს, რომელიც ყაველაშვილის გოლით დასრულდა — მისი დარტყმული მასპინძელთა მეკარე ფოლეტიმ საკუთარ კარში მოიგერია. შვეიცარიული სააგენტოების ნაწილმა გოლი ქართველ თავდამსხმელს ჩაუთვალა, ნაწილმაც ფოლეტის ავტოგოლი მიაწერა. თვით შვეიცარიის საფეხბურთო კავშირის პარტნიორმა სააგენტო — „ტოტომატმა" გოლის ავტორად ყაველაშვილი მიიჩნია.

მეორე გოლიც ყაველაშვილის აქტიურობის ნაყოფი იყო. 62-ე წუთზე მცველთა დასახმარებლად საჯარიმოში ჩამოსულმა ფორვარდმა მეტოქის შეტევა ჩაშალა და გრძელი პასით ჯამარაული მონახა. გოჩამ ბარტლეტთან გაითამაშა ბურთი, მერე მცველი ლამაზად ჩამოიშორა და ფოლეტის ცხრიანში გაუტანა. მანამდე და ამის შემდეგაც მცირე უპირატესობას მასპინძლები კი ფლობდნენ, მაგრამ...

„ლოზანა" — „არაუს" შეხვედრა ხომერიკმა ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა ქართველისა და კიდევ სამი ძირითადი ფეხბურთელის არყოფნა საერთოდ არ დასტყობიათ არაუელებს. 47-ე წუთისთვის სტუმრებმა ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს და მის შესანარჩუნებლად უხეშობასაც არ ერიდებოდნენ. ამიტომაც ყვითელი ბარათებით უხვად დაჯილდოვდნენ, მაგრამ ამოცანა მაინც წარმატებით გადაწყვიტეს. „არაუმ" 3:1 მოიგო და პირველ რვა გუნდში მოხვედრის კარგი შანსიც გაიჩინა, თუმცა ამ ამბავს შეიძლება მეორე ქართული გუნდი, „ციურიხი" შეეწიროს.

ამასობაში ლიდერი შეიცვალა. მეორე ციურიხულმა კლუბმა „გრასჰოპერმა" შინ ბიელის გოლით „ივერდონი" დაამარცხა და რადგან „სენტ გალენმა" „სიონთან" წააგო, „ლუგანომ" კი „ქსამაქსთან", „კალიებმა" პირველ ადგილზე აინაცვლეს.

განსაკუთრებით დრამატული აუტსაიდერ-ლიდერის მატჩი გამოდგა. ქსამაქსელებმა შინ ძალები არ დაზოგეს და კამარას გვიანი გოლით მოიგეს კიდეც. სტუმრებმა მატჩი ცხრა კაცით დაასრულეს — როსი და როტა მსაჯმა უხეშობისთვის დაითხოვა მინდვრიდან.

**განო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 18 | 10 | 2 | 6 | 40:19 | 32 |
| ლუგანო | 17 | 9 | 4 | 4 | 27:14 | 31 |
| ბაზელი | 17 | 9 | 4 | 4 | 36:24 | 31 |
| სენტ გალენი | 17 | 8 | 6 | 3 | 28:14 | 30 |
| ლოზანა | 17 | 8 | 2 | 7 | 29:27 | 26 |
| სიონი | 18 | 7 | 5 | 6 | 21:28 | 26 |
| სერვეტი | 18 | 6 | 6 | 6 | 27:24 | 24 |
| ციურიხი | 17 | 5 | 7 | 5 | 26:20 | 22 |
| არაუ | 18 | 5 | 5 | 8 | 23:32 | 20 |
| ივერდონი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:30 | 19 |
| ლუცერნი | 18 | 4 | 3 | 11 | 24:43 | 15 |
| ქსამაქსი | 17 | 4 | 2 | 11 | 17:46 | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელმა** ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა „ლაციოსთან" კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. „რომში თავს კარგად ვგრძნობ. ჩინებულ კლუბში ვთამაშობ. აქ დარჩენა და წარმატებისთვის ბრძოლა მსურს" — განაცხადა 25 წლის ფეხბურთელმა, რომელიც „ლაციოში" 1999 წელს „პარმადან" 32 მილიონ გირვანქად გადავიდა.

**თურქი ფორვარდი არიფ ერდემი მალე, ალბათ, „გალათასარაიში" დაბრუნდება. „რეალ სოსიედადის" განცხადებით, ეს უახლოეს მომავალში განხორციელდება. შეგახსენებთ, რომ „სოსიედადმა" არიფი სტამბოლური კლუბიდან 3,1 მილიონ დოლარად აგვისტოში შეიძინა, თუმცა ფეხბურთელი შემდეგ დაშავდა და შემადგენლობაში ვეღარ ხვდებოდა. აღსანიშნავია, რომ თურქი ბასკეთში „სოსიედადის" იმჟამინდელმა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ ჩაიყვანა, რომელიც ამას წინათ გაათავისუფლეს.**

**იტალიელმა** მარკო სიმონემ შესაძლოა „მონაკო" დატოვოს. „როცა კლუბში ჩავირიცხე, უმაღლეს დონეზე თამაში და ტიტულების მოგება მსურდა, აქ დასასვენებლად და დროის სატარებლად სულაც არ ჩამოვსულვარ. წლეულს რაიმე რეალურ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. „რეინჯერსთან" ჩემპიონთა ლიგის პრინციპული მატჩი გველის და გამარჯვების შემთხვევაში იქნებ რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოს. თუ არაფერი გამოსწორდა, არ გამოვრიცხავ, კლუბიდან წავიდე" — განაცხადა 31 წლის სიმონემ.

**პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი „სტრასბურში" სადებიუტო მატჩს, ალბათ, ორ კვირაში ჩაატარებს. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ფრანგულ მხარეს აცნობა, რომ გოლკიპერს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჯერ არ მოუხდია და კიდევ ორი შეხვედრა უნდა გამოტოვოს. ამას თურმე ფიფას წესები ითვალისწინებს. ჩილავერტმა ვერც „ტულუზთან" ითამაშა და ვერც 12 ნოემბერს გავა მინდორზე, როცა მისი ახალი კლუბი „ბორდოს" დაუპირისპირდება.**

**ჰოლანდიელ** ბუდევინ ზენდენს მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. „ბარსელონას" ნახევარმცველი, რომელმაც ახალ სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, დაახლოებით ორ თვეს ვერ ითამაშებს. ბუნებრივია, ზენდენი კლუბის გარდა ნაკრებსაც დააკლდება და თანამემამულეებს ესპანეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. ეს თამაში 15 ნოემბერს სევილიაში უნდა გაიმართოს.

**ესპანეთის მეორე დივიზიონში უხეიროდ მოთამაშე მადრიდის „ატლეტიკოს" ახალი სპორტული დირექტორი ჰყავს. ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული მიგელ ლუისის ადგილი პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა პაულუ ფუტრემ დაიკავა. იგი „ატლეტიკოში" 1987-დან 1993 წლამდე თამაშობდა.**

**ესტონეთის** ნაკრების მწვრთნელის მოვალეობას 11 ნოემბრიდან ჰოლანდიელი არნო პაიპერსი შეასრულებს, თუმც ჰოლანდიის 16-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი იმავდროულად „ფლორასაც" უხელმძღვანელებს. შარშან ნოემბერში ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტი ისლანდიელმა ტეიტურ ტორდარსონმა დატოვა და ნორვეგიულ „ბრანში" გადავიდა. მას შემდეგ გუნდს დროებით ტარმო რუუტლი ავარჯიშებდა.

# მარსელელები ტაპის ითხოვენ

## საფრანგეთი

XIV ტური

**მონაკო 0:2 ლიონი**
0:1 ლეგლი (5), 0:2 მარლე (81)

**ოსერი 1:0 პარი სენ ჟერმენი**
1:0 კაპო (61)

**მარსელი 0:1 რენი**
0:1 დელეი (35)

**ბორდო 1:0 ლილი**
1:0 ფეინდუნო (90)

**გენგამი 0:3 სედანი**
0:1, 0:2 ბრონო (41, 77), 0:3 ნდიეფი (88)

**ლანსი 4:0 ბასტია**
1:0 ფურტესი (74), 2:0 მორეირა (81), 3:0, 4:0 სახო (83, 90)

**ნანტი 2:0 მეცი**
1:0 არმანი (26), 2:0 ოლემბე (90)

**სენტ ეტიენი 4:1 ტრუა**
1:0 ალექსი (5), 2:0 უარი (55), 2:1 ბუტალი (57), 3:1, 4:1 ალექსი (58, 70)

**ტულუზი 0:0 სტრასბური**

**„დრეიფუს,** წადი! დრეიფუს, წადი!“ — გაჰყვიროდნენ მარსელის „ველოდრომზე“ შეკრებილი მაყურებლები, რომლებიც თავიანთი საყვარელი „ოლიმპიკის“ მეშვიდე მარცხის მოწმენი გახდნენ. ხალხი „ადიდასის“ მეპატრონისა და კლუბის მთავარი აქციონერის, რობერ-ლუი დრეიფუსის ნაცვლად ბერნარ ტაპის ითხოვდა, ტაპის, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული „მარსელის“ დიადი დღეები. მისი პრეზიდენტობის დროს ზღვისპირელები ზედიზედ ხუთჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები და 1993 წლის 26 მაისს ჩემპიონთა თასსაც დაეუფლნენ. თუმცა მერე ტაპის თამაშების ჩაწყობაში დასდეს ბრალი და ვირის აბანოში უკრეს თავი, საიდანაც ახლახან გამოვიდა. ქომაგებს მოსწყინდათ დრეიფუსის მუდმივი და ფუჭი დაპირებები დიდი გუნდის შექმნის თაობაზე. შვეიცარიაში დაბადებულ ფრანგს „მარსელისთვის“ ძალიან ცოტა დრო რჩება, მისი თანაშემწეები კი საქმეს ნამდვილად ვერ ართმევენ თავს. „რენთან“ შეხვედრის წინ დრეიფუსმა ბრაზილიელ მწვრთნელ აბელ ბრაგას კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა და ყველას გასაგონად თქვა, კვირაში ორ დღეს მარსელში გავატარებ, ახალ ფეხბურთელებსაც ვიყიდიო, მაგრამ დელეის გოლმა მარსელელი ქომაგების მოთმინების ფიალა აავსო. რა მოჰყვება ამას, უახლოეს დღეებში გავიგებთ, მანამდე კი ორიოდ სიტყვა დანარჩენ შეხვედრებზე ვთქვათ.

ამასობაში ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. ისტორიაში პირველი „გენგამი“ — „სედანი“ სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, რითაც „გენგამის“ რვამატჩიანი წაუგებელი სერია გაწყდა, „სედანი“ კი 35 წლის შემდეგ პირველად ჩაუდგა სათავეში პირველი დივიზიონის ცხრილს. რა თქმა უნდა, აქ არ ვთვლით შარშან მეცხრე ტურის ნაადრევი მატჩის შემდეგ სედანელთა პირველობას, რადგან მეორე დღეს, ტურის დანარჩენი შეხვედრების მერე, მათ რამდენიმე გუნდმა გაუსწრო. 1965 წლის 28 აგვისტოს კი „სედანი“ ბოლოჯერ იყო ნამდვილად პირველი. ისე, მაშინდელ გუნდში საფრანგეთის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი როჟე ლემერიც გამოდიოდა.

„სედანის“ გაპირველებაში ოსერელი ოლივიე კაპოს თავიც ურევია. სწორედ კაპოს თავურს მოჰყვა ბურგუნდიელთა ერთადერთი გოლი და დედაქალაქურმა „პარი სენ ჟერმენმა“ ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. „ერთობ სუსტად გამოვიყურებოდით და დამსახურებულადაც წავაგეთ, თუმცა ამით ქვეყანა არ დაქცეულა. თუ გვინდა, ჩემპიონატის ბოლოს ცხრილის სათავეში ვიყოთ, ასე ცუდად აღარ უნდა ვითამაშოთ“ — თქვა პარიზელთა მცველმა ერიკ რაბესანდრატანამ.

„სენტ ეტიენს“ ახალმა თავკაცმა, ეტყობა არგო. უელსელი ჯონ ტოშაკის ხელმძღვანელობით „მწვანეები“ ადრინდელზე გაცილებით უკეთ თამაშობენ და ეს შედეგებსაც დაატყვეს. „ლანსმა“ კი ძველი მწვრთნელით გაილაღა „ბასტიასთან“ და ორთვიანი შესვენების შემდეგ გამარჯვებით დატკბა. „ბორდომ“ მსაჯის მიერ წამატებულ დროში მოახერხა სამი ქულის აღება და სამეულშიც შევიდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 14 | 7 | 4 | 3 | 21:14 | 25 |
| პსჟ | 14 | 7 | 3 | 4 | 27:19 | 24 |
| ბორდო | 14 | 6 | 5 | 3 | 20:14 | 23 |
| ლილი | 14 | 6 | 4 | 4 | 15:10 | 22 |
| ნანტი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:19 | 21 |
| გენგამი | 14 | 6 | 3 | 5 | 17:18 | 21 |
| ბასტია | 14 | 6 | 3 | 5 | 15:16 | 21 |
| ლანსი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:14 | 20 |
| ტრუა | 14 | 5 | 5 | 4 | 19:19 | 20 |
| ლიონი | 13 | 4 | 7 | 2 | 16:12 | 19 |
| მონაკო | 14 | 5 | 4 | 5 | 19:18 | 19 |
| რენი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:13 | 18 |
| ოსერი | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 |
| მეცი | 14 | 5 | 3 | 6 | 12:16 | 18 |
| სენტ ეტიენი | 14 | 4 | 5 | 5 | 23:23 | 17 |
| მარსელი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:17 | 15 |
| სტრასბური | 14 | 3 | 3 | 8 | 12:30 | 12 |
| ტულუზი | 13 | 1 | 4 | 8 | 10:18 | 7 |

## მეორე დივიზიონი

მე-18 ტური: ლავალი — ლე ავრი 1:0; აიაჩო — შატორუ 0:2; ბოვე — კანი 3:1; კაენი — ლე მანი 0:2; კრეტეი — მონპელიე 1:1; ნანსი — გენიონი 4:0; ნიცა — სოშო 2:2; ნიმი — ანჟერი 3:0; ნიორი — მარტიგი 6:1; ვასკეალი — ლორიანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 18 | 10 | 5 | 3 | 33:14 | 35 |
| ნიორი | 18 | 10 | 5 | 3 | 30:15 | 35 |
| მონპელიე | 18 | 9 | 7 | 2 | 26:16 | 34 |
| ლორიანი | 18 | 9 | 7 | 2 | 25:15 | 34 |
| ლავალი | 18 | 10 | 4 | 4 | 22:13 | 34 |
| შატორუ | 18 | 7 | 7 | 4 | 24:18 | 28 |
| ნანსი | 18 | 7 | 5 | 6 | 22:14 | 26 |
| ნიმი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:23 | 26 |
| ლე ავრი | 18 | 6 | 7 | 5 | 22:18 | 25 |
| კრეტეი | 18 | 6 | 6 | 6 | 18:18 | 24 |
| ლე მანი | 18 | 4 | 9 | 5 | 18:18 | 21 |
| კაენი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:27 | 21 |
| ნიცა | 18 | 6 | 3 | 9 | 19:26 | 21 |
| ვასკეალი | 18 | 4 | 7 | 7 | 16:18 | 19 |
| ბოვე | 18 | 3 | 9 | 6 | 16:21 | 18 |
| მარტიგი | 18 | 3 | 9 | 6 | 14:23 | 18 |
| გენიონი | 18 | 3 | 7 | 8 | 13:25 | 16 |
| კანი | 18 | 3 | 5 | 10 | 22:33 | 14 |
| აიაჩო | 17 | 3 | 4 | 10 | 9:23 | 13 |
| ანჟერი | 18 | 2 | 7 | 9 | 16:31 | 13 |



კილმარნოკი — სელტიკი 0:1. გლაზგოელი იოჰან მიალბი (№

# თვალს გავახელ...

## შოტლანდია

XIV ტური

**დანდი 1:2 ჰიბერნიანი**
0:1 ონილი (17), 1:1 ტვიდი (33), 1:2 ზიტელი (62)
დანდი: როკატი, სმიტი, დე მარკი, ტვიდი, მაროკო, არტერო (სარა 66), რაე, ბილიო, ნემსაძე, კანიჯა, ფალკონერი
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
6 604 მაყურებელი

**კილმარნოკი 0:1 სელტიკი**
0:1 ტომპსონი (60)

**ჰარტსი 3:0 აბერდინი**
1:0 კამერონი (24), 2:0 სევერინი (63), 3:0 კირკი (87)

**მოზერუელი 2:1 დანდი იუნ.**
1:0 ბრანანი (44პ), 2:0 ელიოტი (50), 2:1 ნავედა (55)

**რეინჯერსი 7:1 სენტ მირენი**
1:0, 2:0, 3:0, 4:0 მილერი (2, 23, 25, 31), 4:1 ქილიე (44), 5:1 დოდსი (57), 6:1 მილერი (77), 7:1 მაკკანი (90)

**სტ. ჯონსტონი 0:2 დანფერმლაინი**
0:1 დეირი (70), 0:2 ნიკოლსონი (76)

**კენი მილერი** მხოლოდ 2 მილიონი ღირს. „ჰიბერნიანიდან“ წლეულს ნაყიდი 20 წლის ფორვარდი მხოლოდ მესამე მატჩს ატარებდა „რეინჯერსის“ შემადგენლობაში, თუმცა მხოლოდ წუთნახევარი დასჭირდა პირველი გოლის გასატანად. ოციოდ წუთში მეორედაც გაიხარა, 25 წუთში უკვე ჰეთ-თრიქი ჰქონდა შესრულებული, ნახევარ საათში კარეც გაახერხა, 77-ეზე კი სქოთური პრემიერლიგის ისტორიაში შევიდა: აქამდე მხოლოდ ორ მოთამაშეს მიეღწია ამგვარისთვის — 1982 წელს „დანდი იუნაიტედის“ პოლ სტაროკმა „მორტონი“ ამოავსო, სამი წლის წინ კი რეინჯერსელმა იტალიელმა მარკო ნევრიმ — თავად „დანდი იუნაიტედი“.

ლიდსელი ვიდუკასი არ იყოს, მილერმაც თავის გუნდს ჩემპიონთა ლიგისთვის გამოუკეთა ხასიათი. თორემ შვიდი კი არა, 27 გოლიც რომ შეეგდო „რეინჯერსს“, ცხრილში მაინც ვერაფერს შეცვლიდა — მეორე დღეს ანუ კვირას „სელტიკმა“ ერთი გოლიც იკმარა, რათა თანაქალაქელებთან ცამეტქულიანი სხვაობა შეენარჩუნებინა.

კილმარნოკში ლიდერს წინა ტურში „რეინჯერსის“ გამნადგურებელი ელოდა, თანაც მეტოქის კარს ექს-სელტიკელი გორდონ მარშალი იცავდა. ამან ერთი საათის განმავლობაში ყველაფერი მოიგერია, მაგრამ შეცვლაზე შესული დიდიე აგატის პასსა და ამას მოყოლილ ალან ტომპსონის დარტყმულს ველარაფერი მოუხერხა. „მეტად მძიმე მატჩი იყო. „კილმარნოკი“ დიდებულ ფორმაშია, თუმცა ჩვენზეც იგივე ითქმის“— თქვა გლაზგოელთა ირლანდიელმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა და დასძინა — ჰენრიკ ლარსონმა რამდენიმე ისეთი შანსი გააფუჭა, ჩვეულებრივ თვალდახუჭულიც რომ გაიტანდაო.

სამაგიეროდ, თვალის დახამხამებაც კი არავის აცადა ედინბურგელმა ფრანგმა დავიდ ზიტელიმ, ვინც რასელ ლატაპის კუთხურს მაკრატელა შეაგება და, ბევრის აზრით, მიმდინარე სეზონის ჯერჯერობით ულამაზესი გოლი შეაგდო. ასე დამარცხდა გიორგი ნემსაძის „დანდი“, ალექს მაკლიშის „ჰიბერნიანმა“ კი წაუგებელი სერია გააგრძელა.

არადა, ჩვენებურს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია. თავის გუნდში მიღებულ ყველაზე მაღალ შეფასებას (8) რომ თავი დავანებოთ, გიორგიმ ჯერ 25-ე წუთზე შექმნა ხიფათი მეტოქის კართან, მერე კი, 33-ეზე, საჯარიმოდან ბურთი სტივ ტვიდს ზედ თავზე დაასვა. აქ ანგარიში გათანაბრდა, თუმცა მერე ზიტელი გამოხტა და...

**გიგა კობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 14 | 12 | 2 | 0 | 32:12 | 38 |
| ჰიბერნიანი | 14 | 11 | 2 | 1 | 29:8 | 35 |
| კილმარნოკი | 14 | 8 | 2 | 4 | 19:13 | 26 |
| რეინჯერსი | 13 | 8 | 1 | 4 | 29:19 | 25 |
| ჰარტსი | 14 | 5 | 4 | 5 | 22:20 | 19 |
| სტ. ჯონსტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:20 | 17 |
| დანდი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:15 | 16 |
| დანფერმლაინი | 14 | 4 | 4 | 6 | 11:17 | 16 |
| მოზერუელი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:20 | 15 |
| აბერდინი | 13 | 2 | 6 | 5 | 11:18 | 12 |
| სენტ მირენი | 14 | 3 | 1 | 10 | 10:25 | 10 |
| დანდი იუნ. | 14 | 0 | 2 | 12 | 8:30 | 2 |

## ჰოლანდია

X ტური

**ტილბურგი 0:1 აიაქსი**
0:1 ვამბერტო (11)
აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო, პასანენი, დე კლერი, იკედია (ვან დერ გუნი 64), ვინტერი, ვან დერ ვაარტი, გალაშეკი, მახლასი (ვან დერ მეიდე 79), ვამბერტო, სიერი
მწვრთნელი: კო ადრიანსე
14 500 მაყურებელი

**ტვენტე 0:2 პსვ ეინდჰოვენი**
0:1 რამზი (10), 0:2 კოლკა (67)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ჰოფლანდი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი (ვან დერ დულენი 78), რომედალი, რამზი, კოლკა, დე იონგი (ლუსიუსი 80)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
13 200 მაყურებელი

**ფეიენოორდი 4:2 როდა**
1:0, 2:0 ბოსველტი (31პ, 33), 2:1 ტინინიო (35ს.კ.), 3:1 ბოსველტი (40), 4:1 კალუ (86), 4:2 სოტერსი (90)

**გრონინგენი 1:2 ალკმარი**
0:1 დიბი (6), 1:1 დრენტი (42), 1:2 კლომპამპი (53)

**როზენდალი 3:1 სიტარდი**
0:1 კული (1), 1:1, 2:1 ბლინკერი (25, 74), 3:1 ვოსი (45)

**გრააფსხაპი 1:2 ვიტესი**
0:1, 0:2 პეეტერსი (30, 45), 1:2 მეერდინკი (54)

**უტრეხტი 1:1 სპარტა**
1:0 გლუშკევიჩი (59), 1:1 ელხატაბი (81)

**ბრედა 2:2 ნაიმეგენი**
0:1 დე გიერი (9), 1:1 სტიუარტი (12), 2:1 კრისტიანო (43), 2:2 შულცი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 9 | 8 | 1 | 0 | 26:9 | 25 |
| ვიტესი | 11 | 8 | 1 | 2 | 25:15 | 25 |
| პსვ ეინდჰოვენი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:7 | 21 |
| ნაიმეგენი | 11 | 4 | 7 | 0 | 20:12 | 19 |
| აიაქსი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:15 | 18 |
| ვალვაიკი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:10 | 18 |
| ბრედა | 10 | 5 | 2 | 3 | 19:12 | 17 |
| როდა | 10 | 4 | 3 | 3 | 19:17 | 15 |
| ალკმარი | 10 | 5 | 0 | 5 | 20:19 | 15 |
| ტილბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 16:15 | 13 |
| ჰერენვენი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:11 | 13 |
| ტვენტე | 11 | 3 | 4 | 4 | 16:21 | 13 |
| უტრეხტი | 11 | 3 | 3 | 5 | 19:24 | 12 |
| გრონინგენი | 12 | 3 | 2 | 7 | 16:23 | 11 |
| გრააფსხაპი | 12 | 3 | 1 | 8 | 17:23 | 10 |
| სპარტა | 11 | 2 | 3 | 6 | 17:25 | 9 |
| როზენდალი | 11 | 2 | 0 | 9 | 18:32 | 6 |
| სიტარდი | 10 | 0 | 2 | 8 | 5:26 | 2 |

## შვედეთი

26-ე ტური: აიკ — ელფსბორგი 1:1; გიოტებორგი — ჰაკენი 6:2; ფრიოლუნდა — გაის 2:0; ჰელსინგბორგი — იორგრიტე 4:1; ნორჩიოპინგი — იორებრო 2:1; ჰალმსტადი — ტრელებორგი 1:2; სუნდსვალი — ჰამარბი 0:2

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 26 | 16 | 4 | 6 | 47:24 | 52 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 14 | 4 | 8 | 51:30 | 46 |
| აიკ | 26 | 13 | 6 | 7 | 38:30 | 45 |
| გიოტებორგი | 26 | 12 | 8 | 6 | 46:33 | 44 |
| ელფსბორგი | 26 | 13 | 4 | 9 | 43:37 | 43 |
| ტრელებორგი | 26 | 10 | 8 | 8 | 30:28 | 38 |
| იორგრიტე | 26 | 11 | 4 | 11 | 32:32 | 37 |
| ჰამარბი | 26 | 10 | 6 | 10 | 34:38 | 36 |
| ნორჩიოპინგი | 26 | 8 | 11 | 7 | 40:31 | 35 |
| იორებრო | 26 | 9 | 6 | 11 | 44:40 | 33 |
| სუნდსვალი | 26 | 7 | 8 | 11 | 34:42 | 29 |
| *ჰაკენი* | *26* | *4* | *13* | *9* | *40:52* | *25* |
| გაის | 26 | 4 | 8 | 14 | 26:43 | 20 |
| ფრიოლუნდა | 26 | 3 | 6 | 17 | 17:62 | 15 |

## ავსტრია

მე-18 ტურის მატჩები: ბრეგენცი — ადმირა 1:2; ლინცერი — აუსტრია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 19 | 10 | 4 | 5 | 35:19 | 34 |
| ტიროლი | 17 | 10 | 3 | 4 | 30:13 | 33 |
| რაპიდი | 17 | 9 | 4 | 4 | 31:19 | 31 |
| გრაცერი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:22 | 30 |
| ზალცბურგი | 17 | 8 | 3 | 6 | 24:23 | 27 |
| შტურმი | 17 | 7 | 2 | 8 | 31:26 | 23 |
| რიდი | 17 | 6 | 5 | 6 | 28:24 | 23 |
| ბრეგენცი | 19 | 5 | 4 | 10 | 25:35 | 19 |
| ლინცერი | 18 | 3 | 4 | 11 | 17:40 | 13 |
| ადმირა | 18 | 3 | 4 | 11 | 15:42 | 13 |

## ბელგია

თასის მეთექვსმეტედფინალი

მელდერტი — დენდერმუტენი 2:1; აალსტი — ლომელი 0:2; ანტვერპენი — სხოტენი 1:0; ჰასსელტი — გენტი 1:3დდ. (1:1); სერკლ ბრიუგე — კორტრაიკი 1:0დდ.; ლიერსე — ინგელმუნსტერი 1:2; ლუვენი — ბრიუგე 2:1; მეხელენი — ბევერენი 1:3; გენკი — მუსკრონი 2:1; სენტ ტრუიდენი — შარლერუა 3:0; ანდერლეხტი — ჰარელბეკე 2:1; ლოკერენი — მონსი 2:1; სტანდარდი — ტურნე 3:2; ვესტერლო — ბილზენი 1:0; ვესტერლო — დენდერლოო 1:0; ლიერსი — გეელი 0:2

## თურქეთი

მე-11 ტური: ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ 5:1; ადანა — გაზიანთეფი 0:1; იოზგათი — ერზურუმი 4:0; იეთფა — სამსუნი 1:2; ბეშიქთაში — ბურსა 2:1; დენიზლი — ისთანბული 0:4; გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი 0:0; რიზე — ტრაბზონი 2:1; გალათასარაი — ანთალია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 11 | 8 | 1 | 2 | 27:13 | 25 |
| ბეშიქთაში | 11 | 8 | 1 | 2 | 26:13 | 25 |
| გაზიანთეფი | 11 | 7 | 3 | 1 | 25:12 | 24 |
| ტრაბზონი | 11 | 7 | 2 | 2 | 22:8 | 23 |
| გალათასარაი | 10 | 7 | 1 | 2 | 28:9 | 22 |
| გენჩლერბირ. | 11 | 6 | 2 | 3 | 14:12 | 20 |
| ისთანბული | 11 | 4 | 4 | 3 | 14:14 | 16 |
| სამსუნი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:15 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 4 | 3 | 4 | 15:19 | 15 |
| დენიზლი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:22 | 14 |
| ანთალია | 10 | 3 | 4 | 3 | 13:14 | 13 |
| იოზგათი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:15 | 12 |
| რიზე | 11 | 2 | 4 | 5 | 9:12 | 10 |
| ადანა | 11 | 2 | 4 | 5 | 15:19 | 10 |
| ბურსა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:24 | 9 |
| ერზურუმი | 11 | 2 | 2 | 7 | 13:26 | 8 |
| ქოჯაელი | 11 | 1 | 3 | 7 | 6:17 | 6 |
| იეთფა | 11 | 0 | 3 | 8 | 14:30 | 3 |

## საბერძნეთი

მე-5 ტური: პაოკ — ოფი 4:1; კალამატა — ეთნიკოსი 2:2; იანინა — ათინაიკოსი 3:1; პანათინაიკოსი — პანილიაკოსი 2:0; ქსანტი — არისი 1:0; პანიონიოსი — ირაკლისი 1:1; ოლიმპიაკოსი — აეკ 4:1; პანაჰაიკი — იონიკოსი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 18:5 | 13 |
| პანათინაიკოსი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| არისი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| აეკ | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ქსანტი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| პაოკ | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ეთნიკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:11 | 8 |
| იონიკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| იანინა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| პანაჰაიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| პანიონიოსი | 5 | 0 | 4 | 1 | 3:5 | 4 |
| კალამატა | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| ათინაიკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |
| ოფი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |
| პანილიაკოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

სიგარეტის გადაგდება, ნიკოტინიზმისგან განკურნება

ეფექტური მეთოდი;
საუკეთესო შედეგი; ხელმისაწვდომი ფასები;
განკურნების შემდგომი ზედამხედველობა და რეაბილიტაცია.

☎ 95 58 26; 96 85 67 ყოველდღე, 10-დან 19 საათამდე,
შაბათ-კვირას 10-დან 13 საათამდე

დავით აღმაშენებლის გამზირი 60

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს, 9 ნოემბერს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

**ინგლისი. I დივიზიონი**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.45 | 002 | შეფილდი-ფულემი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 23.45 | 003 | უოტფორდი-უენსდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 004 | უოტფორდი-უენსდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ბარნსლი-ბლექბერნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 006 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 007 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ინგლისი. II დივიზიონი**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 008 | ნორთჰემპტონი-სტოკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 009 | სუინდონი-რექსჰემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 010 | უიგანი-მილუოლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**
**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 011 | ვასკეალი-კანი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

**- ჰოლანდია. თასი**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 012 | ეინდჰოვენი-დენ ბოსხი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**პოლონეთი. ლიგის თასი**
**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 013 | პოლონია-ზაგლებე | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**დანია. თასის 1/8 ფინალი**
**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 014 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 015 | ვაილე-აკადემისკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

9 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 016 | ოლბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ჩემპიონთა ლიგა. მე-6 ტური**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 501 | სპარტაკი-რეალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 502 | შახტარი-არსენალი | 2,4 | 3,4 | 2,4 |
| 23.45 | 503 | სპარტა-ლაციო | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 23.45 | 504 | სპორტინგი-ლევერკუზენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 505 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 506 | ვალენსია-ჰერენვენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 507 | რეინჯერსი-მონაკო | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 508 | გალათასარაი-შტურმი | 1,4 | 3,6 | 7,5 |

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 509 | პანათინაიკოსი-იუვენტუსი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 23.45 | 510 | ჰამბურგი-დეპორტივო | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.45 | 511 | რუსენბორგი-ბაიერნი | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 23.45 | 512 | ჰელსინგბორგი-პარი სენ ჟერმენი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 513 | მანჩესტერი-დინამო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 514 | პსვ ეინდჰოვენი-ანდერლეხტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 515 | მილანი-ლიდსი | 1,9 | 1,9 | 5,0 |
| 23.45 | 516 | ბარსელონა-ბეშიქთაში | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**უეფას თასი. საპასუხო მატჩები**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 517 | ამიცა-ჰერტა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 21.00 | 518 | ჰერფიოლგე-აეკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 519 | მიუნხენ 1860-ჰალმსტადი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 520 | რაპიდი-ოსიეკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 521 | გენკი-ვერდერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 522 | სლავია-ოფი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 21.00 | 523 | ინტერი (ბრატისლავა)-ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 524 | შტუტგარტი-ტიროლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 525 | მტკ-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 526 | პაოკ-უდინეზე | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 21.15 | 527 | რომა-ბოავიშტა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 528 | დინამო (ზაგრები)-პარმა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 529 | ვიბორგი-რაიო ვალეკანო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 530 | ფეიენოორდი-ბაზელი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 531 | ლიბერეცი-ლივერპული | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 23.15 | 532 | სენტ გალენი-ბრიუგე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.15 | 533 | კაიზესლაუტერნი-ირაკლისი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.15 | 534 | ალავესი-ლილესტრიომი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 535 | სელტიკი-ბორდო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 536 | ვიტესი-ინტერი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 23.45 | 537 | აიაქსი-ლოზანა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 538 | გრაცერი-ესპანიოლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 00.30 | 539 | სელტა-ცრვენა ზვეზდა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 540 | პორტუ-ვისლა | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 701 | ამიცა | -10,0 | ჰერტა | -1,02 |
| 21.00 | 702 | ჰერფიოლგე | -25,0 | აეკ | —— |
| 21.00 | 703 | მიუნხენ 1860 | -1,3 | ჰალმსტადი | -2,5 |
| 21.00 | 704 | რაპიდი | -1,4 | ოსიეკი | -2,3 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 705 | გენკი | -10,0 | ვერდერი | -1,02 |
| 19.30 | 706 | სლავია | -1,2 | ოფი | -3,1 |
| 21.00 | 707 | ინტერი (ბრატისლავა) | -3,1 | ლოკომოტივი | -1,2 |
| 21.00 | 708 | შტუტგარტი | -1,3 | ტიროლი | -2,0 |
| 21.00 | 709 | მტკ | -4,0 | ნანტი | -1,15 |
| 21.00 | 710 | პაოკ | -4,0 | უდინეზე | -1,1 |
| 21.15 | 711 | რომა | -1,01 | ბოავიშტა | -15,0 |
| 22.00 | 712 | დინამო (ზაგრები) | -10,0 | პარმა | -1,02 |
| 22.30 | 713 | ვიბორგი | -4,0 | რაიო ვალეკანო | -1,15 |
| 23.00 | 714 | ფეიენოორდი | -1,05 | ბაზელი | -7,5 |
| 23.00 | 715 | ლიბერეცი | -5,0 | ლივერპული | -1,1 |
| 23.15 | 716 | სენტ გალენი | -2,3 | ბრიუგე | -1,4 |
| 23.15 | 717 | კაიზესლაუტენი | —— | ირაკლისი | -25,0 |
| 23.15 | 718 | ალავესი | —— | ლილესტრიომი | -25,0 |
| 23.45 | 719 | სელტიკი | -1,35 | ბორდო | -2,3 |
| 23.45 | 720 | ვიტესი | -2,5 | ინტერი | -1,25 |
| 23.45 | 721 | აიაქსი | -1,25 | ლოზანა | -2,8 |
| 23.45 | 722 | გრაცერი | -15,0 | ესპანიოლი | -1,01 |
| 00.30 | 723 | სელტა | -1,3 | ცრვენა ზვეზდა | -2,5 |
| 01.30 | 724 | პორტუ | -1,1 | ვისლა | -4,0 |

**კალათბურთი. სუპერლიგა**
**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | ირაკლისი-პლანია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 802 | ალბა-რაანანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 803 | ულქერი-ვილერბანი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 804 | პარტიზანი-სკავოლინი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 22.00 | 805 | ლიეტუვოს რიტასი-ცსკა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 23.00 | 806 | მაკაბი-ეფესი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 807 | სპლიტი-ცეპტერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 808 | კრკა-ბაიერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 809 | სიენა-პანათინაიკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 810 | პო ორტეზი-ოსტენდე | 1,1 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 811 | აეკ-ციბონა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 812 | პეტერბურგი-ტაუ | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 22.30 | 813 | შარლერუა-კინდერი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 23.00 | 814 | სკაილაინერსი-მიულერი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 815 | რეალი-ბენეტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 816 | ბუდუჩნოსტი-პაოკ | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 24.00 | 817 | ლონდონი-ბარსელონა | 3,1 | 12,0 | 1,2 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 818 | ჰაპოელი-ოლიმპია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.15 | 819 | ლუგანო-ჟალგირისი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 820 | ფორტიტუდო-ესტუდიანტესი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 821 | ზადარი-პერისტერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 00.00 | 822 | ოვარენსე-ოლიმპიაკოსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |

**კალათბურთი**
**7 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 823 | ტორონტო-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 824 | მილუოკი-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 825 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 24.00 | 826 | ჰიუსტონი-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 24.00 | 827 | ფინიქსი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 828 | პორტლენდი-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 829 | ინდიანა-მილუოკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 830 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 24.00 | 831 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 24.00 | 832 | მაიამი-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 833 | ნიუ იორკი-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 834 | ორლანდო-შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 835 | დალასი-ვანკუვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 836 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 837 | დენვერი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 838 | კლიპერსი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 24.00 | 839 | საკრამენტო-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 840 | შარლოტი-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 841 | ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 842 | მინესოტა-ფილადელფია | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 24.00 | 843 | ჩიკაგო-ორლანდო | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 24.00 | 844 | ჰიუსტონი-ვანკუვერი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 845 | ფინიქსი-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 24.00 | 846 | პორტლენდი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

ჰოკეი
7 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 901 | აილენდერსი-ნეშვილი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 902 | რეინჯერსი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 903 | კოლორადო-მინესოტა | 1,25 | 4,0 | 5,6 |
| 24.00 | 904 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 905 | პიტსბურგი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 906 | ტორონტო-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 907 | ნიუ ჯერსი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 908 | ფლორიდა-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 909 | მინესოტა-კალგარი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 910 | ჩიკაგო-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 911 | ფინიქსი-დეტროიტი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 912 | ანაჰაიმი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 913 | ბოსტონი-ოტავა | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 914 | ბუფალო-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 915 | ფილადელფია-ედმონტონი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 916 | ვაშინგტონი-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 917 | კოლუმბუსი-სან ხოსე | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 918 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 919 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**ქუთაისში**
**ამუშავდა «კროკოს» ანახლებული ბიურო ძველ მისამართზე**
პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

**ბათუმში**
**კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**
მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 10 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი. V ტური

# კაპიტულაცია

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**შევარდენი 75:73 მაკაბი**

24:25, 11:13, 19:22, 21:13

შევარდენი: ნ. ნოზაძე (8), კაზანჯიანი (3), გ. ჩხეიძე (20), სუხიშვილი (10), ქევხიშვილი (13); ფრანგიშვილი (2), გიგაური (12), მაჭავარიანი (5), გოგუა (2)

მაკაბი: წოწელია (7), ანდღულაძე, ი. შანიძე (15), ტუჯანი (29), დაჩუმი (14); აკოლაშვილი, სარიშვილი (8), მანველიშვილი

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით მაჭავარიანი

კომისარი: როლანდ გელოვანი

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**აზოტი 65:89 ბასკო**

10:12, 20:24, 14:25, 21:28

აზოტი: ა. ჟღენტი (15), გაბისონია, კოკოლიშვილი (7), ბაბიაშვილი (18), ბერუაშვილი (9); აბზიანიძე (2), წიკლაური (2), დანელიანი, ტურაშვილი (4), ჩაჩუა (3), ჯიმშელეიშვილი (5)

ბასკო: როჯერსი (21), მ. მარკოიშვილი (6), ნიკოლაძე (2), ვ. ნაცვლიშვილი (11), ვ. კილაძე (4); ბეჟანიშვილი (9), საყვარელიძე, გ. ნაცვლიშვილი (12), ჭუმელაძე, ათუაშვილი, ქარაბაკი (20), ორმოცაძე (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**სტუ 109:71 სსუ**

19:23, 22:19, 31:14, 37:15

სტუ: სულაძე (10), ხოშტარია (7), ლოსაბერიძე (16), მინაშვილი (21), კორძაძე; ტულუში (13), ლაფანაშვილი (1), ოთიურიძე (3), დავითულიანი (19), მიქაძე (8), ჩუბინიძე (11)

სსუ: ბ. ბერიშვილი (24), ბერია (19), ერქვანია, ვ. ქვილითაია (8), ბ. ქვილითაია (17); ლაცუზბაია (2), გ. ჟღენტი, არჩვაძე (1)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**ვითა 90:84 დინამო**

28:17, 18:19, 14:16, 30:32

ვითა: მარხვაშვილი (30), ჩიხლაძე (2), ბარბაქაძე (12), ჭირაქაძე (4), მდივანი (16); ტ. ვაშაკიძე (11), ერგემლიძე, ბურკაძე (1), ნ. შანიძე (14)

დინამო: თორთლაძე (29), პაპასკირი, ქუიდია (7), ჩაველეიშვილი, შენგელია (17); ნინოშვილი (15), ლ. აბულაძე (8), კონჯარია, არაქელიანი (8)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**მეათე ეროვნულის** პირველი წრის უმთავრესი მატჩი, „აზოტი“ — „ბასკო“, უხეირო სანახავი გამოდგა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ქვეყნის ამჟამინდელი ჩემპიონი „ბასკო“ იოლად გაუსწორდა რამაზ გოგობერიშვილის გარეშე დარჩენილ ვიცე-ჩემპიონ „აზოტს“. „შევარდენმა“, რომელიც „მაკაბისთან“ მთელი შეხვედრის განმავლობაში აგებდა, მაინც იმარჯვა. მატჩის ბედი ნიკოლოზ ნოზაძის უკანასკნელ წამებზე ჩაგდებულმა გადაწყვიტა. სსუ მაგრად დაუდგა სტუ-ს და აკი მოუგო კიდეც პირველი ტაიმი, მაგრამ შემდეგ ტექნიკოსთა ერთიორად მაღალმა კლასმა მაინც თავისი გააკეთა. პირტიტველა კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა „ვითამ“ კი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ლევან მოსეშვილის „დინამოსთან“ — აი, შაბათს ვერის ბალში გამართული მეხუთე ტურის „მოკლე შინაარსი“.

დიდი ჟაჟგურისა და ვნებათაღელვის მომლოდინე გულშემატკივარი იმედგაცრუებული დარჩა. უგოგობერიშვილოდ უმწეო იყო „აზოტი“ და ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „ბასკოს“, რომელსაც უდიერიყორო რუსთავულ გუნდთან ძალთა მაქსიმალური მობილიზება არც დასჭირვებია.

მატჩის დებიუტი მეტოქეთა მღელვარებამ გააუფერულა. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ კალათბურთელები ზედმეტად ნერვიულობდნენ, რის შედეგადაც ორივე მხარე ბევრს სცოდავდა, ხშირი იყო ტექნიკური წუნი და უამრავი ფუჭი შეტევის მომსწრენიც გავხდით. თითქოს შეულოცესო, ბურთი ჯიქურ არ ჩადიოდა კალათში. ანგარიში კარგა ხნის შემდეგ რუსთაველმა ნუგზარ კოკოლიშვილმა გახსნა და ისიც საჯარიმოებით. „ბასკოს“ ამერიკელმა ლეგიონერმა ჯეფ როჯერსმა საჯარიმოებითვე უპასუხა „აზოტს“, ამის უფლება კი მან მსაჯებისგან მოიპოვა. არბიტრმა ზაზა მაჩალაძემ ტექნიკურით დასაჯა რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე, როცა მან მსაჯთა გადაწყვეტილება მაჩალაძისთვის მიუღებლად გააპროტესტა. თამაშიდან პირველმა ვალერი კილაძემ მოათავსა ბურთი კალათში შეხვედრის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ და პირველად დააწინაურა „ბასკო“ — 4:3. ოთარ ხმელიძემ მამუკა ტურაშვილი ჩართო თამაშში, მაგრამ სურათი არც მისი გამოჩენის შემდეგ შეცვლილა — გუნდები კვლავაც საჯარიმოს ხაზიდან აგროვებდნენ ქულებს. ბათუმელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი, ვახტანგ ნაცვლიშვილი საიმედოდ ჰყავდათ ამოკეტილი მიხეილ ბერუაშვილსა და ზვიად ბაბიაშვილს, მაგრამ შეტევაში ვერა და ვერ გამოასწორა საქმე „აზოტმა“ და ყოვლად უსახური პირველი მეოთხედიც მდევრის როლში დაასრულა — 10:12.

შემდეგ „ბასკოს“ შემადგენლობაში ლევან ქარაბაკი გამოჩნდა, რომლის მოედანზე შეყვანაზეც კარგა ხანს იჭოჭმანეს მწვრთნელებმა, რადგან ლევანს ნატკენი ფეხი ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა. თუმც ყოველივე მის თამაშს ოდნავადაც არ დასტყობია, ქარაბაკი ბრძოლაში ჩაება, ჯეფ როჯერსთან ერთად გუნდის ლიდერობა გასწია და უდავოდ გაუმართლა მწვრთნელებს. მეორე მეოთხედი ახალდაწყებული იყო, როცა რუსთაველთა გამთამაშებელმა არჩილ ჟღენტმა კიდევ ერთხელ და, როგორც გაირკვა, უკანასკნელად დააწინაურა „აზოტი“ — 15:14. ამის შემდეგ მთელი ძალით ამოქმედდა როჯერსი — ქარაბაკის ტანდემი, რაც ნელ-ნელა ანგარიშზეც აისახა.

„აზოტი“კიდევ უფრო მოშალა სამდივნოს შეცდომამ. უმრავლესობის, მათ შორის ჩემი აზრითაც, „ბასკოს“ დაუმსახურებლად წაუმატეს 2 ქულა. ყოველივე, ცხადია, არც რუსთაველებს გამოეპარათ და სამდივნოს შეცდომის გამოსწორებისკენ მიუთითეს, მაგრამ ამაოდ, ანგარიში — 27:21 „ბასკოს“ სასარგებლოდ — ძალაში დარჩა. სულ მალე კვლავაც ქარაბაკის ძალისხმევით ბათუმელები 10 ქულით გავიდნენ წინ, მაგრამ ტაიმის მიწურულს მიხეილ ბერუაშვილმა ჩამორჩენა ექვსამდე შეამცირა.

შესვენებისას, ჩანს, ზურაბ ტომარაძემ ზუსტად შეაფასა მოვლენები და მესამე მეოთხედში „აზოტს“ ოპტიმალური ხუთეული შეაგება. მოედანზე ქარაბაკის, კილაძისა და ვახტანგ ნაცვლიშვილის ერთდროულად დასაქმებამ ფარქვეშ „ბასკოს“ საგრძნობი უპირატესობა მოუტანა. ზღვისპირელთა მაღლების გასაუვნებლებლად „აზოტმა“ ერთხანს ზონური დაცვა მოიშველია, თუმც ამ ტაქტიკამ აშკარად არ გაუმართლა. „ბასკომ“ კიდევ უფრო გაილაღა და სწრაფ პირველ შეტევებს მიეძალა, რამაც „აზოტი“ წელში გაწყვიტა და ბოლოსწინა მეოთხედის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე 20 ქულით, 39:59 ჩამორჩა ჩემპიონს. ნუგზარ კოკოლიშვილის შორეულმა სამიანმა უმნიშვნელოდ მოფხანა გული რუსთაველი კლუბის ქომაგთ.

უკანასკნელ მეოთხედში კი „ბასკომ“ სულ მთლად მოუთავა ხელი მოწინააღმდეგეს. ერთმანეთის მიყოლებით ჩატენეს ძმებმა, ვახტანგ და გიგი ნაცვლიშვილებმა, რის შემდეგაც 31 ქულით ჩამორჩენილმა „აზოტმა“ კაპიტულაცია გამოაცხადა.

დღის პირველი შეხვედრა, „შევარდენი“ — „მაკაბი“ ერთიორად საინტერესოდ წარიმართა. მატჩი ბოლომდე ინარჩუნებდა ინტრიგას და საბოლოოდ ყველაფერი უკანასკნელ წამებზეღა გაირკვა.

თავიდან „შევარდენი“ მეტად მარჯვობდა, სერგო იმხნელის გუნდი ყოველმხრივ მობილიზებული იყო და უფრო კომბინაციურადაც თამაშობდა. ლადო სუხიშვილი და ლევან ქევხიშვილი ფარქვეშ არაფერს უთმობდნენ „მაკაბის“ კამერუნელებს — ტუჯანისა და დაჩუმის. ორივე მხრიდან კი ყველაზე გამორჩეული გიორგი ჩხეიძე იყო, რომელიც მოედნის თითოეულ მტკაველზე ლომივით იბრძოდა. მეშვიდე წუთზე კაზანჯიანის სამქულიანს ნოზაძემ სწრაფი გარღვევა დაურთო და „შევარდენი“ 9 ქულით, 22:13 დაწინაურდა. ამან გამოაფხიზლა „მაკაბი“, რომელმაც მცირე ეპიზოდი სწორედ 9 ქულით მოიგო და ანგარიში გაათანაბრა — 22:22. მოვლენების ეპიცენტრში ირაკლი შანიძე მოექცა, მან ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე საშუალო მანძილიდან ივარგა, პირველი მეოთხედის უკანასკნელ წამზე კი შორიდან ლამის წაქცეულმა დალაშქრა მეტოქის კალათი და თავისი გუნდი წინ პირველად გაიყვანა — 25:24.

განახლდა მატჩი და ფარქვეშ მაკაბელთა უპირატესობა გამოიკვეთა, „შევარდენს“ ტუჯან-დაჩუმის გამკლავება უფრო და უფრო გაუჭირდა, თუმც „მაკაბი“ სოლიდურად დაწინაურებას ვერ ახერხებდა, რადგან უგამთამაშებლო გუნდი მეტოქეს თავისათვის სასურველ თამაშს თავს ბოლომდე ვერ ახვევდა. მიუხედავად ამისა, ირაკლი შანიძემ კვლავ ჩააგდო და ტაიმი „მაკაბიმ“ მოიგო.

მესამე მეოთხედის მიმდინარეობა მთლიანად მაკაბელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. მთლად შეუჩერებელი გახლდათ ტუჯანი, რომლის ძალისხმევითაც მალე 10-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა „მაკაბის“ სასარგებლოდ, მაგრამ ნომინალური გამთამაშების არყოლა ამ გუნდს უკან ხევდა, რადგან თამაშის რიტმს სრულად მაინც ვერ აკონტროლებდა.

ძირითადი მოვლენები შეხვედრის უკანასკნელ წუთზე განვითარდა. ნიკოლოზ ნოზაძემ დამთავრებამდე ოცდაათიოდე წამით ადრე ერთი შეხედვით უწყინარ სიტუაციაში მყოფ დაჩუმს ხელიდან გამოსტაცა ბურთი და უმალ მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა. მას ტუჯანი ეუხეშა და მსაჯებმაც უყოყმანოდ განზრახ ჯარიმაში დაადანაშაულეს კამერუნელი. ნოზაძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა — 73:73. ბურთი კი კვლავაც „შევარდენს“ დარჩა. საავიაციო ქარხნელებმა ხანგრძლივად ათამაშეს ბურთი, დამაგვირგვინებელი სროლის შესრულება კი კვლავ ნოზაძემ ითავა და მიზანსაც მიაღწია. დარჩენილ ოთხ წამში „მაკაბიმ“ ველარაფერი შეცვალა...

მეათე ჩემპიონატის, ალბათ ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი „ვითა“ შეიქნა. გელა წულაძის ბიჭებმა, რომ იტყვიან, თავი გადადეს და მატჩში ფავორიტად მიჩნეულ „დინამოს“ სულ კუდით ქვა ასროლინეს. „ვითას“ გამარჯვება შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი მთელი შეხვედრის განმავლობაში ლიდერობდა და მატჩიც სასურველი შედეგით დაასრულა. ქებას უკლებლივ ყველა ვითელი იმსახურებს, გამორჩევით — გიორგი მარხვაშვილი და მისი სეხნია მდივანი. ამ უკანასკნელმა რევაზ ჭირაქაძესა და ნოე შანიძესთან ერთად საიმედოდ შებოჭა დინამოელი გიგანტი კახაბერ შენგელია. მარხვაშვილმა კი ტოლი არაფერში დაუდო თავისზე გაცილებით ნაცად დავით თორთლაძეს. „დინამოს“ ერთადერთხელ, შეხვედრის დამთავრებამდე სამიოდ წუთით ადრე შეეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა, ლევან მოსეშვილის გუნდმა ამ დროისათვის ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მერე „დინამოს“ არაქათი გამოელია და როცა ხუთი პერსონალურის გამო მოედანს თორთლაძეც გამოეთხოვა, „ვითას“ გამარჯვება სარწმუნო გახდა. ამ მოგებით „ვითას“ მთავარმა მწვრთნელმა გელა წულაძემ გარკვეულწილად რევანში აუღო ლევან მოსეშვილს. წინა ჩემპიონატში ხომ სწორედ მოსეშვილის გაწვრთნილმა სდასუ-მ გადაუღობა „ვითას“ ოთხეულში შემავალი გზა.

სტუ-სსუ-ს დაპირისპირებასაც კარგა ხანს უდიოდა სენსაციის სუნი. სოხუმელი სტუდენტები დიახაც ჯაბნიდნენ ტექნიკოს კოლეგებს, მაგრამ შესვენების შემდეგ სტუ-ჯეოსელს მეორე სუნთქვა გაეხსნა და სსუ-ს იმედებიც წარბის შეუხრელად „შთანთქა“.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 8 | 8 | 0 | 823:539 | 16 |
| აზოტი | 5 | 4 | 1 | 395:341 | 9 |
| სტუ-ჯეოსელი | 5 | 3 | 2 | 470:456 | 8 |
| თსუ | 4 | 3 | 1 | 408:376 | 7 |
| ვითა-სტუ 2 | 6 | 1 | 5 | 452:599 | 7 |
| შევარდენი | 5 | 2 | 3 | 376:429 | 6 |
| მაკაბი | 4 | 1 | 3 | 352:351 | 5 |
| სსუ | 4 | 0 | 4 | 292:414 | 4 |
| დინამო | 3 | 0 | 3 | 231:294 | 3 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა



აზოტი — ბასკო. ზვიად ბაბიაშვილი (№5) ბასკოელი ვალერი კილაძის წინააღმდეგ



შევარდენი — მაკაბი. ჩაჭრა, ჩააგდო, მოიგო... შევარდენელი ნიკოლოზ ნოზაძე (№5) მატჩის გმირი გახდა

## საქართველოს ჩემპიონატი. VI ტური

# შესვენებაზე შევარდენი გაფრინდა

**როლანდ ლაბუჩიძე**

**ვერის ბაღში** შეკრებილი გულშემატკივრები ამაოდ ელოდნენ შესვენების შემდეგ გასახდელში გაუჩინარებულ „შევარდენის" კალათბურთელებს. ყველასთვის მოულოდნელად, გუნდმა თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ჩემპიონატის ორგანიზატორებს ისღა დარჩენოდათ, ვადამდელი გამარჯვება ჩაეთვალათ „აზოტისთვის", რომელიც პირველი ტაიმის შემდეგ 9 ქულით უგებდა მეტოქეს. „შევარდენს" კი წაგებასთან ერთად ნული ქულა დაუწერეს.

არადა, რა კარგად დაიწყო მატჩი „შევარდენმა", რომელმაც წინა ტურში გამერუნელებით გაძლიერებული „მაკაბის" დამარცხება შეძლო. მეორე წუთის ბოლოს საავიაციო ქარხნის გუნდი 4:0 უგებდა „აზოტს". არც შემდეგ დაუთმია უპირატესობა „შევარდენს", ხოლო ვიცე-ჩემპიონმა მთელი პირველი მეოთხედი მდევრის როლში გაატარა. 20:12 — ამ ანგარიშით წავიდნენ გუნდები პირველ მიკროშესვენებაზე.

არც მეორე მეოთხედის დასაწყისი იყო ურიგო „შევარდენისათვის". პირველივე წუთზე თამაზ გიგაურმა სამქულიანით 10 ქულამდე გაზარდა თავისიანთა უპირატესობა — 24:14. ამის შემდეგ „შევარდენის" ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი გიორგი ჩხეიძე და გუნდის მთავარი მწვრთნელი სერგო იმხნელი შელაპარაკდნენ და თამაშიც აირია. „შევარდენი" 24 ქულაზე გაიყინა, ხოლო „აზოტმა" დრო იხელთა, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი წინ გასვლაც მოახერხა. ეს მოხდა მეორე მეოთხედის მეხუთე წუთის ბოლოს, როდესაც აზოტელმა მამუკა ტურაშვილმა ორი საჯარიმო გამოიყენა: 26:25 — წინ „აზოტია". პირველი ტაიმის დარჩენილ დროში „აზოტის" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. შესვენების შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კალათბურთელები გასახდელში გასულ გიორგი ჩხეიძეს გაჰყვნენ და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს.

იმის გასარკვევად, თუ არ მოხდა, „შევარდენის" მთავარ მწვრთნელ სერგო იმხნელს მივმართეთ.

**— რატომ შეწყვიტა „შევარდენმა" თამაში?**

*— დღემდე გუნდში ყველაფერი კარგად იყო, ეს გუშინ, ჩვენს ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „მაკაბისთან" შეხვედრაშიც დავამტკიცეთ. დღეს რა მოხდა, ვერაფრით გამიგია. თუ კალათბურთელის შეცვლის უფლება არ მაქვს, რა აზრი აქვს ჩემს გუნდში მუშაობას?*

**— რომელ კალათბურთელზეა საუბარი?**

*— გიორგი ჩხეიძეზე. იგი წინადღით თავს შეუძლოდ გრძნობდა, ამიტომ გადავწყვიტე, ძალიან არ დამეტვირთა და ცოტა დამესვენებინა. მან კი უარი განაცხადა და კალათბურთელებმაც მხარი აუბეს. ჩემი ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებას ვაპირებდი და მან აქეთ დამიწყო ჭკუის სწავლება. თანაც საჯაროდ, ყველას თანდასწრებით.*

**— ფაქტია, ისინი თქვენ აგომედრდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ რომ კალათბურთელების მხარე დაიკავოს...**

*— ეს უკვე ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ისე, თუ ჩემით უკმაყოფილონი იყვნენ, რა საჭირო იყო ამის საჯაროდ გამომზეურება. ეთქვათ ჩემთვის, რა, ვერ მოვრიგდებოდით? მომხდარით იმდენად გაოგნებული ვარ, რომ ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით. ამ დღეებში გუნდის კრება შედგება და უფრო დაწვრილებით ყველაფერი იქ გაირკვევა.*

იმედია, ამჯერად სხვა ფორმით გაარკვევენ ურთიერთობას „შევარდენის" მწვრთნელები და კალათბურთელები. ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მწვრთნელზე განაწყენებულ კალათბურთელებს თამაში ჯერ არ ჩაუშლიათ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, აკაკი მეგრელაძის თქმით, გუნდი, რომლის მიზეზითაც შეწყდება შეხვედრა, 800 ლარით ჯარიმდება. დანარჩენ სანქციებზე კი ფედერაცია დამატებით იმსჯელებს. ასე რომ, გამორიცხული არაა, „აზოტთან" ჩაშლილი შეხვედრა „შევარდენს" რვაას ლარზე ძვირიც კი დაუჯდეს.

ახლა კი მიმოვიხილოთ ტურის ის მატჩები, რომლებიც წესების სრული დაცვით ჩატარდა და რაც მთავარია, ჩაუშლელად.

ცენტრალურად მიჩნეულმა თსუ — სტუ-მ გულშემატკივართა პროგნოზები ნამდვილად გაამართლა. იგი მეტად დაძაბული და, რაც მთავარია, სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. გუნდებმა აქცენტი შეტევაზე გააკეთეს, თუმცა არც დაცვაში გამოიყურებოდნენ ურიგოდ. კალათბურთელებს შორიდან სროლებიც წაუვიდათ და სამქულიანები სულ პანტაპუნტით ეშვებოდა კალათაში. სულ შორიდან 18 ბურთი ჩავარდა, ოთხ-ოთხჯერ გამოიჩინეს თავი თსუ-ს წევრებმა ირაკლი მაისურაძემ და დავით ბერიშვილმა.

პირველი მეოთხედი სტუ-ს უპირატესობით წარიმართა, ხოლო ძირითადად მდევრის როლში მყოფი თსუ მხოლოდ ათანაბრებდა და წინ გასვლას ვერა და ვერ აზერხებდა. პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 39 წამი რჩებოდა, ანგარიში 19:17 იყო სტუ-ს სასარგებლოდ, ბურთს თსუ ფლობდა და მიკროშესვენებაზე ფრით წასვლის შანსს ინარჩუნებდა. აქ თანაგუნდელები დაალალატა შიო ხეცურიანმა, რომელიც ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ ტექნიკური ჯარიმით დასაჯეს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის კი ბოლოს მოედნიდანაც მიაბრძანეს. სტუ-მ ერთბაშად 5 საჯარიმო სროლის უფლება მოიპოვა, მაგრამ ლოსაბერიძემ მხოლოდ სამის გამოყენება შეძლო.

მიმდინარეობდა მეორე მეოთხედის მეორე წუთი, როდესაც მთელი შეხვედრის განმავლობაში დიდებულად მოთამაშე მაისურაძემ მორიგი სამქულიანით თსუ პირველად დააწინაურა — 26:24. ხოშტარიას საპასუხო სამქულიანით კვლავ სტუ-მ გაუსწრო მეტოქეს. თსუ ამჯერად ახალკაცმა გაიყვანა წინ. მაისურაძის სამქულიანით სხვაობა ოთხი ქულა გახდა — 31:27. ოდნავ მოადუნა თუ არა ყურადღება თსუ-მ, კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდა. ამჯერად სამქულიანების სამიზნე კოტე ტულუშმა გაისწორა, რომელიც ხშირად რჩებოდა მარტო, რადგან მეტოქეს მთელი ყურადღება ირაკლი ხოშტარიაზე ჰქონდა გადატანილი.

მესამე მეოთხედის მეექვსე წუთზე მეოთხე ჯარიმა მიიღო თსუ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მაისურაძემ. ზაზა ზამთარაძე იძულებული გახდა იგი მოედნიდან გაეყვანა, მაგრამ მაისურაძის გარდა თსუ-ს ჰყავს დავით ბერიშვილი, გიორგი მარკოიშვილი და გულივერ ახალკაცი, რომლებმაც ლომის წილი დაიდეს თანაგუნდელთა წარმატებაში. ამ კალათბურელებს ერთი ჯარიმა რაა, ისიც კი არ აუცილებიათ, ბერიშვილი და მარკოიშვილი კარგად შესრულებულ სამქულიანებთან ერთად გარღვევაზეც ოსტატურად შედიოდნენ, ახალკაცი კი ფარზე გაბატონდა და თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ძირითადად ზემოხსენებულ მოთამაშეთა დამსახურება იყო, რომ მესამე მეოთხედის შემდეგ თსუ ერთი ქულით — 67:66 უგებდა მეტოქეს.

მეოთხე მეოთხედის პირველივე წუთზე დავითულიანის გასვლით, რომელმაც მე-5 ჯარიმა მიიღო, დიდი დანაკლისი განიცადა სტუ-მ, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. ახლა უკვე თსუ ფლობდა მატჩის სადავეებს, სტუ კი მდევრის როლში მოგვევლინა, რომელმაც მხოლოდ ერთხელ შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

ეტყობა, „ვითამ" დიდი ენერგია შეალია წინა ტურში თბილისის „დინამოს" დამარცხებას, რადგან „მაკაბისთან" შეხვედრაში ოდნავ გადაღლილი გამოიყურებოდა. მარხვაშვილი-მდივანის დუეტი „მაკაბისაც" ბევრ პრობლემას უქმნიდა, მაგრამ ფარზე ყურადღებით თამაშობდნენ ლეგიონერები — ტუჯანი და დაჩუმი, შეტევაში კი ოსტატურად ირჯებოდა ირაკლი შანიძე, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

5 ნოემბერი. ვერის ბაღი

**შევარდენი 29:38 აზოტი**

20:12, 9:26

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (6), გ. ჩხეიძე (7), გიგაური (6), სუხიშვილი (7), გოგუა (2); ფრანგიშვილი, კაზანჯიანი, ქევხიშვილი (2)

**აზოტი:** ა. ფლენტი (2), გაბისონია (6), ტურაშვილი (7), ბაბიაშვილი (4), ბერუაშვილი (6); ლ. ჩაჩუა, კოკოლიშვილი (9), ჯიმშელეიშვილი (6)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

*„შევარდენმა" პირველი ტაიმის შემდეგ თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, ამიტომ ჩაეთვალა წაგება და დაეწერა ნული ქულა. პირველი ტაიმის ანგარიში ძალაში დარჩა, რადგან წინ „აზოტი" იყო.*

5 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ 94:85 სტუ**

18:22, 27:29, 22:15, 27:19

**თსუ:** ვეფხვაძე (4), ხეცურიანი (2), მარკოიშვილი (26), მაჭარაძე (2), ახალკაცი (20); არსიაშვილი (7), მაისურაძე (12), დ. ბერიშვილი (21)

**სტუ:** სულაძე, ხოშტარია (23), დავითულიანი (14), ოთიურიძე (8), მინაშვილი (13); ტულუში (11), ლოსაბერიძე (10), მიქაძე (2), ჩუბინიძე (4)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

5 ნოემბერი. ვერის ბაღი

**ვითა 77:107 მაკაბი**

22:25, 15:29, 19:25, 21:28

**ვითა:** ტ. ვაშაკიძე (15), მარხვაშვილი (8), ბარბაქაძე (8), ქირაქაძე (9), მდივანი (24); ერგემლიძე (2), ბურკაძე (1), ჩიხლაძე (2), ნ. შანიძე (8)

**მაკაბი:** წოწელია (14), ტუჯანი (12), ი. შანიძე (29), სარიშვილი (13), დაჩუმი (16); ანდღულაძე (2), აკოლაშვილი (7), კრიხელი (4), ქოქოსაძე (4), მჭედლიშვილი (3), მანველიშვილი (2), ფიცხელაური (2)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე



ვუგარ ფოლადაშვილის ფოტო

შევარდენი — აზოტი. თამაზ გიგაურმა (№6) და მისმა „შევარდენმა" მატჩი კარგად დაიწყეს, მაგრამ... აღარ დაამთავრეს

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ყოფილ გუნდებს ერჩიან

3 ნოემბერი

**ვაშინგტონი 76:80 ნიუ იორკი**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (18)
ნიუ იორკი: კემბი (20), ჰიუსტონი (18)

**ბოსტონი 93:91 ტორონტო**

ბოსტონი: პირსი (30), უოლკერი (20)
ტორონტო: კარტერი (33)

**შარლოტი 83:79 მაიამი**

შარლოტი: მაშბურნი (30), დევისი (21), კემბელი (17 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)
მაიამი: გრანტი (33 ქულა, 16 მოხსნა)

**ორლანდო 80:87 ფილადელფია**

ორლანდო: არმსტრონგი (17)
ფილადელფია: აივერსონი (29), რეთლიფი (14 ქულა, 17 მოხსნა)

**დეტროიტი 93:100 საკრამენტო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (22), ეტკინსი (18)
საკრამენტო: ვებერი (31 ქულა, 12 მოხსნა)

**ჩიკაგო 82:92 ნიუ ჯერსი**

ჩიკაგო: ბრენდი (20 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: მარბერი (33), გილი (18)

ახალ სეზონში „ოლანდო მეჯიქმა" სერიოზული მიზნებით შემოაბიჯა. ფლორიდელთა საბრძოლო გეგმა ატლანტიკის დივიზიონის დაპყრობას ითვალისწინებს, მაგრამ ჯერჯერობით, მათი თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ამას არ იმსახურებენ.

„ორლანდოს" ძირითადად ორი ახალწვეულის — გრანტ ჰილისა და ტრეისი მაკგრეიდის იმედი აქვს, ამ დუეტს კი პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია. ჰილი ტრავმას იშუშებს და მწვრთნელ დოკ რივერსის სათამაშო ტაქტიკას ვერ ერგება. აი, მაკგრეიდი კი... 3 ნოემბერს „ორლანდომ" შინ „ფილადელფიასთან" რომ წააგო, ამაში მთავარი დამნაშავე სწორედ მაკგრეიდი გახლავთ. ბოლო მეოთხედში იგი და ფილადელფიელი სნოუ შელაპარაკდნენ. 206-სანტიმეტრიანმა მაკგრეიდმ 20 სანტიმეტრით დაბალ სნოუს სახეში უთავაზა და ატყდა ერთი ამბავი. მართალია, მოჩხუბრები თანაგუნდელებმა გააშველეს, მაგრამ მერე ერთმანეთში დაიწყეს საქმის გარჩევა. თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა, სანამ მსაჯებმა განსაკუთრებით აქტიურებს კალათბურთის ყვითელი ბარათი, ანუ ტექნიკური არ მისცეს. ამგვარად ერთბაშად ხუთი კალათბურთელი დაისაჯა, სნოუ და მაკგრეიდი კი გააძევეს. ამით „ორლანდომ" უფრო იზარალა, მაკგრეიდის (16 ქულა) გარეშე დარჩენილმა მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და დამარცხდა.

„ტორონტო" ბოსტონში ამ სეზონში ჯერაც გაუხარელი ჩავიდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, შინ გამარჯვებით დაბრუნებულიყო. სტუმრებმა ვინს კარტერის წინამძღოლობით პირველივე მეოთხედში აიკლეს „სელტიქსის" კალათი და თორმეტწუთეულის შემდეგ 20 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ვერ გაიმარჯვეს და ამაში მთავარი დამნაშავე ბოსტონელი პოლ პირსია. პირსს თვენახევრის წინ ერთ-ერთ ბარში თავზე ბოთლი გადაამსხვრიეს და რამდენჯერმე ზურგში დანაც ჩასცეს, თუმცა ახლა იგი სრულიად ჯანმრთელია და ეს ამ შეხვედრამაც დაადასტურა.

„შარლოტისა" და „მაიამის" პრინციპულ შეხვედრაში ცოტა ხნის წინ „შარლოტში" „მაიამიდან" გადასულმა ჯამალ მაშბურნმა ყოფილ გუნდს 30 ქულა ჩაუგდო, ორჯერ მეტი, ვიდრე ექსშარლოტელებმა, აწ კი მაიამელებმა — ედი ჯონსმა და ენტონი მეისონმა ერთად აღებულმა.

4 ნოემბერი

**ვანკუვერი 89:98 ლეიკერსი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24), ბიბი (23)
ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (22), გრანტი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ინდიანა 94:81 ჩიკაგო**

ინდიანა: ბესტი (25), მილერი (20)
ჩიკაგო: ბრენდი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ტორონტო 103:96 ვაშინგტონი**

ტორონტო: კარტერი (34), ვილიამსი (22)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (22), ჰოვარდი (21), სტრიკლენდი (16 ქულა, 12 პასი)

**ატლანტა 104:107 ორლანდო**

ატლანტა: მაკლოდი (24), კროუფორდი (22), ჰენდერსონი (19 ქულა, 15 მოხსნა)
ორლანდო: არმსტრონგი (22), მილერი (19), გარიტი (19)

**კლივლენდი 91:89 ბოსტონი**

კლივლენდი: გეტლინგი (16)
ბოსტონი: უოლკერი (25)

**მაიამი 82:84 ფილადელფია**

მაიამი: ჯონსი (26), ჰარდევეი (23 ქულა, 11 პასი)
ფილადელფია: აივერსონი (23)

**დალასი 106:112 იუტა**

დალასი: ნეში (24 ქულა, 12 პასი), ნოვიცკი (20), ფინლი (20)
იუტა: მელოუნი (34 ქულა, 10 მოხსნა)

**მინესოტა 99:91 საკრამენტო**

მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 12 მოხსნა)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (22), დივაცი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 87:98 შარლოტი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (33)
შარლოტი: ვესლი (30) დევისი (20)

**მილუოკი 97:88 დეტროიტი**

მილუოკი: კასელი (20)
დეტროიტი: კლივზი (19)

**დენვერი 99:102 ფინიქსი**

დენვერი: ვან ექსელი (14), ლაფრენცი (14)
ფინიქსი: კიდი (22 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), მარიონი (21)

**სიეტლი 90:97 პორტლენდი**

სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 11 პასი, 6 ჩაჭრა), ბეიკერი (19), იუინგი (17), ლუისი (17)
პორტლენდი: სტუდემაიერი (21), კემპი (18 ქულა, 14 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

**გოლდენ სტეიტი 105:117 სან ანტონიო**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (32)
სან ანტონიო: როუზი (26 ქულა, 11 მოხსნა), ელიოტი (18)

**კლიპერსი 77:74 ჰიუსტონი**

კლიპერსი: ოდომი (13)
ჰიუსტონი: ფრენსისი (21), ანდერსონი (19)

ერთი კვირაც არაა, რაც რეგულარული სეზონი დაიწყო და ლიგას მხოლოდ ოთხი დაუმარცხებელი გუნდი შემორჩა. მათ შორისაა „ფილადელფია სიქსერზიც". ოთხი შეხვედრიდან ალენ აივერსონს არც ერთში მოუგროვებია 30 ქულაზე მეტი, მისი გუნდი კი თამაშს თამაშზე იგებს. „ჩვენ ახლა უფრო შეკრული გუნდი ვართ, ვიდრე სხვა დროს. მოთამაშეები ერთმანეთს მხარში ვუდგავართ და ეს მოგებას გვიიოლებს". — ამბობს ფილადელფლიელი ჯორჯ ლინჩი. და ეს მაშინ, როდესაც, მრავალთა აზრით, გუნდში ქაოსი უნდა მეფობდეს. სეზონის დაწყებამდე მწვრთნელი ლარი ბრაუნი ლიდერ ალენ აივერსონს ზარმაცობისთვის შემოსწყრა და სხვაგან გაშვებაც კი დაუპირა. „ფილადელფიამ" აიყვანა „გიჟ მაქსად" წოდებული ცნობილი ამრევი და შფოთისთავი ვერნონ მაქსველი, მაგრამ თუ ლინჩს ვერწმუნებით, გუნდში მხოლოდ მეგობრობა სუფევს.

უმურინინგოდ დარჩენილი „მაიამი" დიდი თავგამოდებით შეებრძოლა „ფილადელფიას" და ედი ჯონსს შეეძლო, მეტოქის ძლევამოსილი სვლა შეეწყვიტა. მან მეტოქეს ექვსი სამქულიანიც ჩაუგდო, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე ცხრა წამით ადრე, როცა მასპინძლები ორი ქულით აგებდნენ, რვა მეტრიდან სამიანი ააცილა.

38 წლის პატრიკ იუინგი თანდათან ეჩვევა „სიეტლს". „პორტლენდთან" მან 17 ქულა მოინაგრა, ანუ უფრო მეტი, ვიდრე წინა ორ შეხვედრაში, მაგრამ „სიეტლს" ვერც მან და ვერც პეიტონმა ვერ უშველეს.

პორტლენდელ შონ კემპს „სიეტლში" რვა სეზონი უთამაშია და „სონიქსის" ლიდერიც გახლდათ. ახლა „პორტლენდში" სათადარიგოდ ქცევამ მას ხელი ვერ შეუშალა, ყოფილი გუნდი ლამის მარტოს დაემარცხებინა.

5 ნოემბერი

**ლეიკერსი 108:103 კლიპერსი**

ლეიკერსი: ონილი (39 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება), ბრაიანტი (21)
კლიპერსი: ოდომი (19 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), მაკინისი (19)

**ფინიქსი 104:99 ჰიუსტონი**

ფინიქსი: რობინსონი (30), კიდი (18), როჯერსი (18)
ჰიუსტონი: მობლი (27), ფრენსისი (24)

5 ნოემბერს ლოსანჯელესურ დერბიში უსახური „კლიპერსი" ღირსეულად ეპაექრა ჩემპიონ „ლეიკერსს", მაგრამ „ლეიკერსს" შაკილ ონილი ჰყავს, ეს კი ხშირად გამარჯვების საწინდარია.

**ირაკლი ფირაშვილი**



უეინ ფერერა



კიმ კლაისტერსი

# რამდენიმე ზედმეტი დოლარისთვის

**მასტერსის სერია — შტუტგარტი. გერმანია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 4:6, 6:1, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (8, ავსტრალია) — გრეგ რუზედსკი (ინგლისი) 6:4, 6:4; სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:5, 1:6, 6:2; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:0, 7:5**

**ნახევარფინალი: ჰიუიტი — კაფელნიკოვი 6:4, 6:7 (5:7), 6:3; ფერერა — გროსჟანი 6:4, 6:2**

**ფინალი: ფერერა — ჰიუიტი 7:6 (8:6), 3:6, 6:7 (5:7), 7:6 (7:2), 6:2**

უეინ ფერერა შტუტგარტის მასტერსის სერიის ტურნირზე ყოველგვარი ამბიციის გარეშე ჩავიდა. მას უბრალოდ სურდა, არცთუ წარუმატებელი სეზონი ჩაემთავრებინა და ჩოგბურთელთა საზამთრო არდადეგებისთვის სახარჯოდ რამდენიმე ზედმეტი დოლარი მოეპოვებინა.

გიგანტური ჭორფლებითა და მკვლელი ფორჰენდით გამორჩეულ წითურ სამხრეთაფრიკელს ტიტული უკანასკნელად შორეულ 1996-ში (ტორონტოს მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირზე) მოეგო, ამ ხნის განმავლობაში ფინალშიც კი ერთადერთხელ გასულა და ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელს სპორტიდან წასვლაზეც სერიოზულად უფიქრია.

„ბოლო სამი წელი ძალიან მძიმე იყო. ისე ვერ ვთამაშობდი, როგორც შემეძლო და კლასიფიკაციაშიც ის ადგილი ვერ მეჭირა, რომელიც უნდა მქონოდა. სტიმული თითქმის სრულიად დავკარგე, ცალკე ტრავმებმაც გამაწამა. იქნებ ერთი მხრივ ეს წლეულს დამეხმარა კიდეც. საკუთარ თავს აღარ ვთრგუნავ, აღარ ველი, რომ ყოველკვირეულად უნდა გავიმარჯვო და წაგებასაც ისე მტკივნეულად აღარ განვიცდი".

შტუტგარტში ფერერასთვის ყველაფერი მეტად იღბლიანად წარიმართა: მეორე წრეში ზედიზედ მეხუთედ, საკმაოდ იოლად დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი ტომას ენკვისტი (5), მერვედფინალში კისერგაშეშებული მარკ ფილიპუსი მას პირველივე გეიმის შემდეგ დანებდა და უეინმაც ტურნირის გადამწყვეტი მატჩებისთვის ესოდენ საჭირო ენერგია შეინარჩუნა.

„გასულ კვირას თანახმა ვიყავი, არდადეგებზე წავსულიყავი, ახლა კი მზად ვარ, მუდმივად ვითამაშო" — განაცხადა ფერერამ ფინალის წინ, თუმცა ალბათ თავადაც არ ელოდა, თუ ამ სიტყვებს რამხელა გამოცდა ელოდა მეორე დღესვე.

ლეიტონ ჰიუიტთან სამხრეთაფრიკელის მატჩი ხუთ სეტად გაიწელა, ოთხ საათსა და 15 წუთს გაგრძელდა და ბოლოს ცხადი გახდა — მოიგებდა ის, ვინც მეტხანს გაძლებდა. 19 წლის ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე ავსტრალიელს თავისზე 10 წლით უფროსი ვეტერანი ამ მხრივ მაინც აშკარად უნდა დაეჩაგრა, მაგრამ: „ფიზიკურად თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო, მით უმეტეს, რომ ტრავმების შემდეგ სრული დატვირთვით ახლაც ვერ ვვარჯიშობ. უბრალოდ ფსიქოლოგიურად არ გავტყდი, დანებება, წაგება არ მინდოდა, ამისთვის ზედმეტად გრძელი გზა გავიარე".

და მაინც, მატჩის შუაში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ფერერას კარგი არაფერი ელოდა. ჰიუიტი დაუღლელად დარბოდა, ყველა დარტყმას უკან აბრუნებდა და მეტოქეს აშკარად სჯობდა. მეორე სეტის მოგების შემდეგ ავსტრალიელი მესამეშიც 5:1 დაწინაურდა, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა ვერაფრით მოახერხა. სამხრეთაფრიკელმა 6 სეტ-პოინტი გადაარჩინა, მას სამჯერ მოწოდება აართვა და თავად დაწინაურდა — 6:5.

მართალია, ტაი-ბრეიკზე მაინც ჰიუიტმა იმარჯვა, მაგრამ ამას იმდენი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალა დაახარჯა, მატჩის დარჩენილი ნაწილისთვის გასალები აღარაფერი დარჩა. მეხუთე სეტისთვის ფერერას უპირატესობა უკვე აშკარა იყო.

„კარიერის მიწურულს, თანაც ასეთი დიდი ტურნირის ამხელა პაუზის შემდეგ მოგება საოცარია, ეს ჩემს საუკეთესო კვირად უნდა მივიჩნიო. ვიცი, რომ ჩოგბურთში დიდი დრო აღარ მაქვს დარჩენილი, ამიტომ მინდა, ისე წავიდე, გული არ დამწყდეს. მე კიდევ ბევრის მიღწევა შემიძლია" — აღნიშნა სამხრეთაფრიკელმა, რომელსაც მთავარ პრიზთან ერთად 434 ათასი დოლარიც ერგო. ჰიუიტის მონაგარი 228 ათასია.

**ლაიფციგი. გერმანია. „სპარკასენის თასი". დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 535 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ნატალი ტოზია (1, საფრანგეთი) — ბარბარა შეტი (6, ავსტრია) 4:6, 6:0, 7:6 (7:2); ანა კურნიკოვა (3, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (5, ბულგარეთი) 6:4, 7:5; ელენა ლიხოვცევა (7, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:3, 6:0; კიმ კლაისტერსი (ბელგია) — ელენა დოკიჩი (8, ავსტრალია) 4:6, 6:2, 7:6 (7:4)**

**ნახევარფინალი: ლიხოვცევა — ტოზია 6:2, 6:4; კლაისტერსი — კურნიკოვა 6:2, 6:3**

**ფინალი: კლაისტერსი — ლიხოვცევა 7:6 (8:6), 4:6, 6:4**

ის, რაც შტუტგარტში ლეიტონ ჰიუიტმა ვერ მოახერხა, ლაიფციგში მისმა გელფრენდმა შეძლო: 17 წლის კიმ კლაისტერსმა დაძაბულ ბრძოლაში კარიერის მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული მოიგო.

ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელის, ლეო კლაისტერსის ნიჭიერი ქალიშვილი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს წინ. უახლოეს მომავალში ჰინგის-დევენპორტ-უილიამსებს ახალი სერიოზული კონკურენტი გაუჩნდებათ — კიმს ნამდვილი ჩემპიონის მებრძოლი ხასიათი, სისწრაფე და თანამედროვე ჩოგბურთისთვის ასე საჭირო ჯანი საკმარისზე მეტიც აქვს.

კლასიფიკაციის საუკეთესოთა ასეულის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელმა მეოთხედფინალში ტოლსწორ ელენა დოკიჩთან მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მომდევნო წრეში ანა კურნიკოვას უბრალოდ გადაუარა და უდროო დროს შემოკლებულების დარტყმისკენ მიდრეკილებას თუ არ ჩავთვლით, ფინალშიც დამაჯერებლად გაიმარჯვა.

„დაღლილი ვარ, ჩემი ფეხები ამ კვირის გრძელი მატჩების სიმძიმეს დღეს აშკარად გრძნობდნენ, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლე. თავადაც არ ვიცი, როგორ მოვიგე" — გაიკვირვა ბელგიელმა დაჯილდოების ცერემონიალზე, ცოტა ცრემლებიც გადმოყარა და გულის მურაზისთვის მობილურ ტელეფონზე შეტყობინების გასაგზავნად გაიქცა.

**კვებეკი. კანადა. BELL CHALLENGE. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 180 ათასი $**

**ნახევარფინალი: ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — ემი ფრეზერი (4, აშშ) 3:6, 7:5, 7:5; ჩანდა რუბინი (2, აშშ) — მეილენ ტიუ (აშშ) 7:5, 6:1**

**ფინალი: რუბინი — კაპრიატი 6:4, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



# მადამ ველო

**კაცების** პელოტონში დიადი ედი მერქსი იყო გამორჩეული და ყველაფერს იგებდა, მას „კანიბალი" შერქვეს. ქალთა პელოტონშიც არის მერქსის დარი მრბოლი და მასაც უწოდეს „კანიბალი", ოღონდ, რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერი იგულისხმება. იგი ჟანი ლონგოა — 42 წლის ფრანგი მანდილოსანი, რომელმაც 5 ნოემბერს მეხიკოში საათიანი რბოლის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

ბოლო ოცი წლის მანძილზე ლონგომ ველოსპორტს ძალიან ბევრი რამ შემატა და არა მხოლოდ თავისი გამარჯვებებით, პიროვნებითაც, რომელიც მუდამ რაღაცით უკმაყოფილოა და სულ უკეთესობისკენ ისწრაფვის. ქალთა ველოსპორტის ოლიმპიადების პროგრამაში ჩართვიდან (1984) მოყოლებული ლონგოს ერთი ოლიმპიადაც არ გამოუტოვებია, თუმცა თავიდან დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია.

1979 წელს, როცა მას უფრო როგორც იმედისმომცემ სამთომოთხილამურედ იცნობდნენ, ვიდრე მრბოლად, „ჟანი დარკი" პირველად გახდა თავისი ქვეყნის ჩემპიონი გზატკეცილზე ჯგუფურ რბოლაში. მომდევნო წლებში მან ყველანაირი დისციპლინა მოათვინიერა და მთებშიც და ინდივიდუალურ რბოლებშიც მშვენიერ შედეგებს უჩვენებდა.

1958 წლის 31 ოქტომბერს სენ ჟერვეში დაბადებულმა ლონგომ უამრავი მედალი მოიხვეჭა მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ჯგუფურ რბოლაში ის 5-ჯერ (1985, 86, 87, 89, 95) იყო პირველი და 2-ჯერ (1981, 93) მეორე. ინდივიდუალურ რბოლებში 3-ჯერ (1995, 96, 97) ოქროსა და თითოჯერ ვერცხლის (2000) და ბრინჯაოს (1994) მედლები მოიგო. ტრეკზეც დიდ წარმატებებს მოაღწია. გამოდევნებით რბოლაში სამ-სამჯერ მოიხვეჭა ოქრო (1986, 88, 89), ვერცხლი (1984, 85, 87) და ბრინჯაო (1981, 82, 83), ქულებზე რბოლაში კი 1989 წელს ჩემპიონი გახდა. „ტურ დე ფრანსზეც" ბრწინვალე მოღწევები აქვს — სამჯერ ზედიზედ (1987, 88, 89) იყო პირველი საერთო ჩათვლაში.

აი, ოლიმპიადებზე წარმატებებს კი კარგა ხანს ელოდა და პოდიუმზე მხოლოდ 1992 წელს, ბარსელონაში ავიდა, როცა ჯგუფურ რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა. ატლანტაში ლონგომ იმავე დისციპლინაში ოქროს მედალი მოიპოვა, ინდივიდუალურ რბოლაში კი — ვერცხლი, ახლახან სიდნეიში ინდივიდუალურში იგი მესამე იყო.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლონგო აქტიურად იბრძვის ქალთა უფლებების დასაცავად. არა, საფრანგეთში ქალები მუსულმანური ქვეყნებისაგან, თვით საქართველოსგან განსხვავებით გაცილებით მეტად არიან გათანაბრებული კაცებთან, მაგრამ პატარა სხვაობა მაინც ყოფილა. კერძოდ, „ჟანი დარკი" თურმე პრესას უკიჟინებდა (ახლაც არ ასვენებს), კაცთა ველოსპორტს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობთ, ვიდრე ქალებსო და ამის გამოსწორებას ცდილობდა. თავისუფალ დროს ლონგო თავის მეუღლე და მწვრთნელ პატრის სიპრელისთან ერთად მშვიდად ატარებს გრენობლის მახლობლად და თავს ვეგეტარიანული კერძების მზადებითა და პიანინოს დაკვრით იქცევს.

ახლა, როცა ჟანი ლონგო საკმაოდ წარმოგიდგინეთ, ალბათ დროა, მის ახალ, რიგით მეხუთე რეკორდსაც დავუბრუნდეთ. კვირას მეხიკოს მოცემენტებულ ველოდრომზე ფრანგის სარეკორდო მცდელობა ადგილობრივი დროით 11 საათსა და 23 წუთზე დაიწყო. ერთი საათის შემდეგ კი ლონგომ ავსტრალიელი ანა უილსონის 18 ოქტომბრის შედეგი (43,5კმ.) კილომეტრზე მეტით გააუმჯობესა — 44,767კმ. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ახალი წესების შესაბამისად, მან კლასიკური ველო გამოიყენა, რომელსაც ტოლი დიამეტრის ბორბლები ჰქონდა. „ძალიან ბედნიერი ვარ — ისე განაცხადა ლონგომ რბოლის დასრულების შემდეგ, თითქოს სხვანაირადაც შეიძლებოდა ყოფილიყო — საწყისი 20 წუთი მშვენივრად მივდიოდი. მერე ქარმა გამიჭირა საქმე და ერთი პირობა რბოლის შეწყვეტაც დავაპირე". ამინდი მართლაც საზიზღარი იყო, რამაც რბოლის დაწყება თითქმის ორსაათნახევრით გადადო. ვსკ-ს წარმომადგენელი, მექსიკელი ნოე რამირესი ყოველი ხუთი კილომეტრის შემდეგ აცხადებდა ლონგოს დროს და მალე აშკარა გახდა, რომ „კანიბალი" იმარჯვებდა. საწყის ხუთ კილომეტრზე მისი საშუალო სიჩქარე 44,895 კმ/სთ იყო. პირველ ნახევარ საათში კი ფრანგს უკვე თითქმის 23 კილომეტრი გაევლო. საბოლოოდ, როგორც გითხარით, მან ავსტრალიელის რეკორდს მთელი 1267 მეტრი დაამატა.

„ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ" — მადაზე მოვიდა „კანიბალი", რომელსაც თავისივე მიღწევის გაუმჯობესება ერთ კვირაში გადაუწყვეტია, რადგან მეხიკოს ველოდრომი 12 ნოემბრამდე დაუქირავებია და ამ დროის უქმად დაკარგვა არ სურს. ვნახოთ, აჯობებს კი საკუთარ თავსა და დროს კიდევ ერთხელ 42 წლის მრბოლი.

**გაიოზ თალაკვაძე**




მიდი ჟანი: ცოლიც ასეთი უნდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ნუ ბუტბუტებ, თამაზ!

მეტისმეტი სიმჭიდროვე და „ჰაერის უკმარისობა“ იგრძნობოდა ქალთა გუნდების სატურნირო ცხრილში შეჯიბრების პირველი ექვსტურიანი მონაკვეთის შემდეგ. თავად განსაჯეთ — პირველსა და 34-ე ადგილს მხოლოდ 3,5 ქულა ჰყოფდა. ისიც შეიმჩნეოდა, რომ ჯერჯერობით ქალთა ტურნირი უფრო ექვემდებარებოდა კანონზომიერებას, თუ საფუძვლად ამერიკელი პროფესორის, ელოს რეიტინგულ სისტემას ავიღებთ. ოთხი ნოემბრისთვის ლიდერთა პირველ ათეულში შვიდი ის გუნდი გახლდათ, რომლებსაც რეიტინგითაც ათეულში უკავიათ ადგილი.

თუ შედარებითობის პრინციპს არ დავარღვევთ, აღმოჩნდება, რომ ვაჟთა გუნდებს შორის ქულათა სხვაობა პირველსა და 35-ე ადგილს შორის უკვე 4,5-ია, ხოლო პირველ ათეულში მხოლოდ ხუთი გუნდია, რომელთა რეიტინგიც ათეულში შედის.

ჰოლანდიელებთან დღევანდელი მატჩი შვიდ დაფაზე (ქალებიც და ვაჟებიც ხომ მათ ხვდებიან) მეტად მნიშვნელოვანი იქნება. ქალებმა უნდა დაიწყონ ქულათა მარაგის დაგროვება — „სარეზერვო ბანკის“ შექმნა და შეეცადონ თუნდაც ერთი კორპუსით წინ გაჭრა. თუმცა ამ ტურში ამის გაკეთება ძნელია — ჩინელებიც იგივეს შეეცდებიან მოლდოველებთან. ვაჟებს ტურნირის ამ ეტაპზე მკვეთრად რაიმეს შეცვლა გაუჭირდებათ — ერთის მხრივ, მეტოქეთა იმ ორბიტაში, დღეს რომ ისინი ტრიალებენ, 4:0 მოგება, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ჩვენი მოჭადრაკეების რეალური ძალის გათვალისწინებით, მათი დიდი ანგარიშით წაგება უნდა გამოვრიცხოთ. სტატუსკვოს შენარჩუნება უნდა მოხერხდეს და ლიდერებთან ქულათა დიდი სხვაობა არ დავუშვათ — დაახლოებით ასეთი აზრები მოეძალებოდა ჩვენი გუნდის გულშემატკივარს „ერთა ტურნირზე“ პირველი დასვენების დღის შემდეგ დაგეგმილი რიგით მე-7 ტურის წინ. ვაჟთა გუნდის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პირველ ექვს ტურში მათ მეტოქეობას არ უწევდა არც ერთი იმ გუნდთაგანი, რომლებიც დღეს პირველ ოცეულში დამკვიდრებულან. ამ მხრივ ქალებს გაცილებით უკეთ ჰქონდათ საქმე.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გასაგებია, რომ ჰოლანდიელებთან სათამაშოდ ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით გავიდა.

თუმცა სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილს ვერ ეთამაშა, სრულიად ობიექტური მიზეზით — 3 ნოემბერს გახსნილი ფიდეს 71-ე კონგრესზე, სწორედ ჰოლანდიელებთან მატჩის დროს, მას რამდენიმე სერიოზული თათბირის მონაწილენი და ფიდეს მაღალჩინოსანნი ელოდნენ.

— ჰოლანდიელებთან მატჩი მეტად მნიშვნელოვანია. გუნდის ინტერესები მოითხოვს, რომ ვითამაშო. შევეცდები, არც კონგრესის მუშაობისაგან ვიყო შორს — ამბობდა გუნდის ლიდერი.

ჰოლანდიელთა გუნდის განაცხადში, ვან ველს რომ თავი დავანებოთ (მან აქტიურ და სერიოზულ ჭადრაკს თავი დაანება), არ არის ტიმანიც, რომელმაც თამაშზე უარი განაცხადა იმის გამო, რომ მხოლოდ მესამე დაფა შესთავაზეს. გუნდს უკვე სტამბოლში, პირველი ორი ტურის შემდეგ გამოაკლდა სერგეი ტივიაკოვიც — იგი საავადმყოფოში მოათავსეს.

სპორტულმა ფორტუნამ იმ დღეს აშკარად ზურგი აქცია ჩვენს ვაჟთა ნაკრებს და მათ მეტად მტკივნეული მარცხი — 0,5:3,5 იწვნიეს. შავებით აზმაიფარაშვილმა უკვე დებიუტშივე მიილო მძიმე პოზიცია, დაჰკარგა ორი პაიკი, შემდეგ შეუპოვრად კი იბრძოლა, მაგრამ ვან ველიმ პარტია მოგებამდე მიიყვანა. გია გიორგაძემ აშკარად უკეთესი პოზიცია „გააფუჭა“ იმდენად, რომ პიკეტს მოგების შანსი მისცა. ჰოლანდიელმა საჩუქარი სიამოვნებით მიიღო. სტურუამ მესამე დაფაზე ყაიმით ითამაშა, ხოლო გიგა ყაჭეიშვილს თითქოსდა მძლავრი შეტევა ჰქონდა, რასაც შამათი ან მუდმივი ქიში უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითი აღმოჩნდა. როცა მეტოქემ პაიკი მეორე ლაზიერად აქცია და შეტევის დენთი გამოილია, ქართველი მოჭადრაკე დანებდა.

ჩვენს დელეგაციაში აზრი ორად გაიყო იმის თაობაზე, დააყენებდნენ თუ არა ჰოლანდიელები თეა ლანჩავას. ათამაშეს და წააგო კიდეც — ნინო ხურციძემ თავისი მორიგი ერთი ქულა მოუტანა გუნდს. „ნინოს საჭადრაკო კლასი უფრო მაღალია, ვიდრე ლანჩავასი. თანაც ხურციძეს სტამბოლში თამაში შესანიშნავად გამოსდის. ასე რომ, მოგება ლოგიკურია“ — ამბობს ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ერთი ხანობა ლანჩავას წვრთნიდა.

მეორე დაფაზე ნანა იოსელიანმა ერთი ამოსუნთქვით, ლაღად მოუგო თავის მეტოქეს, წარმოშობით უნგრელ სზივას.

ჩინელთა მხრიდან „ქვეყნის მოლალატედ“ შერაცხული ჰოლანდიელი ჩინელი პენგი რომ კარგი მოჭადრაკეა, მტკიცება არ სჭირდება — შავებით მაია ჩიბურდანიძემ დებიუტში საწადელს ვერ მიაღწია, პენგმა თეთრებისთვის კუთვნილი უპირატესობა მიილო. შემდეგ მაიამ კონცენტრირებული და მობილიზებული თამაშით მდგომარეობა ისე გაათანაბრა, რომ დავით გურგენიძის თქმით, შეეძლო ყაიმი მაშინ გაეკეთებინა, როცა მოინდომებდა. მხოლოდ შეთავაზება იყო საჭირო. ასეც იგეგმებოდა — 2,5 ქულის აღება ჰოლანდიელებთან. და აი, აქ მაიამ გაითამაშა კომბინაცია, რომლის ბოლომდე გათვლაშიც რაღაც შეეშალა. ისეთი კლასის მოჭადრაკემ, როგორიც პენგია, შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მოკლედ, ჰოლანდია — საქართველოს ეგრეთ წოდებული „გაერთიანებული მატჩი“ წავაგეთ — 2,2:4,5. იმდენი შეცდომა, რაც ამ ტურში ჩვენებმა დაუშვეს, ალბათ ზოგიერთი ტურნირის მთლიან „ლიმიტად“ იკმარებდა და თავს მხოლოდ ტარაშის სიტყვებით თუ დავიმშვიდებთ: „შეცდომები, უბედურებათა მსგავსად, სამწუხაროდ, მარტონი არ მოდიან“.

ამასობაში ჩინელებმა დაგეგმილი „პლუს სამი“ მიიღეს მოლდაველებთან და ჩვენები იძულებულნი გახდნენ, კვალში ჩადგომოდნენ წინა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონებს.

სულაც არ იყო მოულოდნელი, ... მარიჩთან და პენვთან, ალბათ, თავისთვისაც ძნელად ასახსნელი წაგების შემდეგ, მე-8 ტურში მაია ჩიბურდანიძემ დასვენება რომ არჩია. არადა, მანამდე რა შესანიშნავად თამაშობდა!

ბევრი ჩვენგანი იმედოვნებდა, რომ ვიეტნამელები ჩინელებთან მატჩს მთლად იოლად არ დათმობდნენ — ჯანსაღი საჭადრაკო ამბიციაც ხომ თავისას, ცხადია, შედეგის სახით, მოითხოვს. თანაც ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე ისინი აშკარად უმატებენ.

საოცარია, სპორტული ფორტუნაც კი ლიდერის მხარესაა — უკვე ზედიზედ მეორედ ჩინელები თეთრებით თამაშობენ — მატჩში ორ დაფაზე პირველი სვლის უპირატესობს ფლობენ. ვიეტნამელებმა, ფაქტობრივად, უბრძოლველად გამოფინეს თეთრი ბაირაღი თამაშის მესამე საათის მიწურულს. „ჩინელები თამაშობენ ძალიან თავისუფლად, სწრაფად და აგრესიულად. კლასი მათ არ აკლიათ და წარმატების საიდუმლოც ესაა“ — ასე ხსნის ჩინელთა შედეგს დიდოსტატი იური იაკოვიჩი, რუსეთის ქალთა ნაკრების კაპიტანი. მართლაც, ნებისმიერ სიტუაციაში ჩინელები თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ბრწყინვალე ფორმაშია სიუ ჟუნი — მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი. მათ გუნდში ხომ მსოფლიო თასის ამჟამინდელი მფლობელი, ქსი იუჰუაც თამაშობს.

საქმე მხოლოდ ისაა, სანამდე გაგრძელდება ასეთი მძლავრი ნაბიჯებით ამსვლა. „თუ ჩინელებმა ყველა მატჩი ასე მშრალი ანგარიშით მოიგეს, ჩვენ როგორ უნდა დავეწიოთ, განა არსებობს ამის თეორიული შესაძლებლობაც კი?“ — ამბობს ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წევრი.

საქართველოს ნაკრებმა ჩეხებთან კარგად ითამაშა და დამაჯერებლად 2,5:0,5 მოიგო. ანგარიში მართლაც კარგია, მაგრამ ჩინელებთან სხვაობა ნახევარი ქულით მაინც გაიზარდა და 1,5-ს მიაღწია. სწორედ ამდენი იყო მანილაშიც, 1992 წელს XV საჭადრაკო ოლიმპიადის დროს, მხოლოდ ფინიშამდე სამი ტურით ადრე, საქართველოს ნაკრები მაშინ ჩემპიონი გახდა.

სტამბოლში კი წინ კიდევ მთელი ხუთი ტურია.

როგორც ჩანს, ჩვენმა ვაჟებმა ძალა მოიკრიბეს და სწრაფად გამოვიდნენ იმ ერთგვარი შოკიდან, რომელიც წინა ტურში ჰოლანდიელებისგან მიიღეს. გულის მოსაოხებლად, მოდით, აქვე ვთქვათ — ჩვენთან გალაღებულმა ჰოლანდიელებმა გერმანელებთან მტკივნეული მარცხი — 1:3 იწვნიეს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი და ზურაბ სტურუა თეთრი ფიგურებით სწრაფად და იოლად გაუსწორდნენ თავიანთ აზერბაიჯანელ კოლეგებს. გია გიორგაძეს ეს პროცესი ოდნავ გაუგრძელდა, მაგრამ შედეგი იგივე იყო. თამაზ გელაშვილი კი დამარცხდა — მისი ორი ეტლი და თეთრუჯრედოვანი კუ ვერაფერს გახდა მოწინააღმდეგის ლაზიერის, შავუჯრედოვანი კუსა და სამი პაიკის წინააღმდეგ. ერთ მომენტში მეტოქის სოლიდური კონტრთამაშის შესაძლებლობა შეიქმნა, მაგრამ აზერბაიჯანელმა ზუსტი თამაშით შანსი არ დაუტოვა ჩვენს მოჭადრაკეს.

— რა მემართება, არ ვიცი, რაღაც ხდება ჩემს თავს. დღეს მამაჩემის დაბადების დღეა და რა კარგი საჩუქარი გავუკეთე — [illegible]ისთვის ბუტბუტებდა თამაზ გელაშვილი.

ერთი კი ფაქტია — ვაჟთა გუნდში ჯერჯერობით მეოთხე დაფის პრობლემა აშკარაა.

საჭადრაკო ოლიმპიადის ეკვატორი გადალახულია, გუნდები ფინიშის აღმართს შეუდგნენ. 8 ტურის შემდეგ ჩვენი ქალთა გუნდი 1,5 ქულით ჩამორჩება ჩინელებს, ხოლო თავად ერთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს — რუსებს. ვაჟები ოცეულში არიან და ლიდერებზე, გერმანელებზე 4,5 ქულით ნაკლები აქვთ.

ისევ გავიხსენოთ ელისტა, 1998 წელი.

ტურნირის ამ ეტაპზე ქალები დღევანდელი მაჩვენებლით 2 ქულით წინ არიან — 16 ელისტაში, 18 სტამბოლში. ჩინელების შედეგი არ გაუმჯობესებულა, მათ იმდენივე, 19,5 ქულა აქვთ, რაც ამ ორი წლის ყალმუხეთის დედაქალაქში. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმაც ზუსტად იმდენივე, 19 ქულა დააგროვა, რამდენიც ორი წლის წინ ელისტის მარაგში ჰქონდა.

**სატურნირო ვითარება**

**კაცები**

**1. გერმანია 23,5; 2. რუსეთი 22,5; 3. უკრაინა 22; 4-5. ბულგარეთი, სომხეთი 21,5**

**ქალები**

**1. ჩინეთი 19,5; 2. საქართველო 18; 3. რუსეთი 17; 4. სომხეთი 16,5; 5. ბულგარეთი 16**

**შაბათი**

მეშვიდე ტური

**კაცები: ჰოლანდია — საქართველო 3,5:0,5**
**ქალები: საქართველო — ჰოლანდია 2:1**

**კვირა**

მერვე ტური

**კაცები: საქართველო — აზერბაიჯანი 3:1**
**ქალები: საქართველო — ჩეხეთი 2,5:0,5**

**გუშინ**

მეცხრე ტური

**კაცები: საქართველო — ჩინეთი 1,5:2,5**
**ქალები: საქართველო — სომხეთი 2,5:0,5**

მძლეოსნობა

# პეტროვამ საქმე აიწყო
## ქმარი სამზარეულოში გამოკეტა

**ნოემბრის** ცივსა და ქარიან კვირადღეს ნიუ იორკში მარათონი გაიმართა. საკმაოდ პოპულარული ამ გარბენის სტარტზე, ტრადიციულად, კენიელთა შავი ჯგრო გამოირჩეოდა, აგრესიული და უმაღლესი მიზნებით მომართული, თუმცა იმ მიზნებს ასრულება არ ეწერათ. თითქმის თავიდანვე, 9 მილის (14,5 კმ) შემდეგ, მაროკოელი აბდელკადერ ელ მუაზიზი და სამხრეთაფრიკელი ჯოზია თუგვანე დაწინაურდნენ, მეთერთმეტე მილზე ელ მუაზიზი წინ გაიჭრა და მეთხუთმეტეზე თუგვანეს უკვე 42 წამს უგებდა. ასე ენერგიულად დაფარა მან მთელი გზის 90 პროცენტამდე და უცებ მოეშვა, სამი მილი მეტად უხეიროდ ირბინა, ხოლო ფინიშის ხაზზე მთვრალი კაცის ბანცალით გადავიდა. მაინც პირველი იყო: დროის იმხელა მარაგი შექმნა, უახლოესი მდევარი თითქმის ორნახევარი წუთით დაჯაბნა. ეს მდევარი კენიელი იყო, მომდევნო ორიც, მაგრამ კენიელთათვის ხომ სამარათონე წარმატებად მხოლოდ პირველი ადგილი ითვლება.

„თავიდანვე წინგავარდნის ტაქტიკით მოქმედება ჩავიფიქრე — განაცხადა გასავათებულმა და ბედნიერმა ელ მუაზიზმა — სიდნეის ოლიმპიადაზეც იგივე უნდა გამეკეთებინა. სხვანაირი ტაქტიკა რომ ვარჩიე, იმიტომაც დავისაჯე“. მაშინ არაბი პორტუგალიელ ანტონიო პინტუს თვალს არ აშორებდა და კენიელისა და ორი ეთიოპის დაწინაურება გამოეპარა. ფინიშთან მეშვიდე მივიდა. გაბრაზებული ელ მუაზიზი სამშობლოში დაბრუნდა და ვარჯიშს შეუდგა, რისი შედეგიც ნიუ იორკში გამოჩნდა. მეორე-მეოთხე ადგილოსნებზე ვთქვით და მეხუთე ნახსენები თუგვანე იყო, ხოლო იმ მარათონს კარგად ნაჩვევი (ორი და სამი წლის წინ მოიგო) კიდევ ერთი კენიელი ჯონ კაგუი ამჯერად ათეულის ბოლოს დაბეჯერდა.

ქალებშიც ყველაზე მეტი პრეტენზია კენიელებს ჰქონდათ. მათ კავშირს განთქმული ტეგლა ლორუპე ხელმძღვანელობდა, მაგრამ ვერ ივარგა. რუსმა ლუდმილა პეტროვამ და იტალიელმა ფრანკა ფიაკონიმ გზის მეორე ნახევარში შავებს გაუსწრეს და ფინიშთანაც პირველნი მიიჭრნენ. ორთაგან 18 წამით უფრო ცქვიტი რუსი გამოდგა, რომელმაც თავისი გამარჯვების მთავარ ფაქტორად ქმარი (სერგეი) დაასახელა, თორემ კარგად ნავარჯიშევი როდი ვიყავიო. „საოჯახო საქმეთა სახით სერგეიმ დიდი ტვირთი ჩამომხსნა — თქვა პეტროვამ — საჭმელს აკეთებს, ალაგებს... მამასახლისია ნამდვილი!“

რბენის შემდეგ ფულების დარიგება დაიწყეს. მარათონში ქალთა უფლებები სრულად არის დაცული და ორივე გამარჯვებულმა თანაბარი თანხა (65 ათასი დოლარი) მიიღო, პრემიების ამბავში კი სულაც დიაცმა აჯობა — 25 ათასი 10 ათასთან.

**დავით გულუა**



REUTERS ნიუ იორკიდან

ელ მუაზიზი: ნიუ იორკი ჩემია!



როგორი საათია? ლუდმილა პეტროვასთვის გამარჯვების საათია

ჰოკეი

3 ნოემბერი
**ბუფალო — მონრეალი 5:4**
3:0 0:2 2:2
**დეტროიტი — ჩიკაგო 1:6**
0:1 0:3 1:2
**ტამპა — აილენდერსი 4:3**
1:1 1:2 1:0 1:0
**კოლორადო — კაროლინა 5:3**
2:2 2:0 1:1
**ედმონტონი — მინესოტა 3:0**
0:0 0:0 3:0
**ვანკუვერი — პიტსბურგი 2:4**
0:1 1:2 1:1
**ფინიქსი — დალასი 2:2**
0:1 1:1 1:0 0:0
4 ნოემბერი
**სან ხოსე — კაროლინა 4:1**
1:1 2:0 1:0
**კალგარი — პიტსბურგი 1:1**
1:1 0:0 0:0 0:0
**ნეშვილი — ანაჰაიმი 3:3**
1:0 1:2 1:1 0:0
**ფლორიდა — ვაშინგტონი 2:3**
0:1 0:1 2:1
**სენტ ლუისი — ტორონტო 0:0**
**ბოსტონი — ატლანტა 3:8**
1:2 2:4 0:2
**მონრეალი — რეინჯერსი 2:5**
0:3 0:1 2:1
**ნიუ ჯერსი — ლოს ანჯელესი 1:2**
0:1 0:1 1:0
**ფილადელფია — ბუფალო 3:0**
0:0 2:0 1:0
**ოტავა — კოლუმბუსი 2:2**
0:0 1:2 1:0 0:0
5 ნოემბერი
**აილენდერსი — ლოს ანჯელესი 1:4**
1:1 0:2 0:1
**ჩიკაგო — ანაჰაიმი 1:2**
1:1 1:1 2:0
**ტამპა — ვაშინგტონი 5:2**
3:0 0:2 2:0
**ვანკუვერი — სან ხოსე 2:2**
0:0 2:2 0:0 0:0
**კალგარი — მინესოტა 2:3**
1:1 0:1 1:0 0:1
**კოლუმბუსი — ედმონტონი 2:4**
1:1 0:2 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ალბომიდან

# წყლის სამყარო

სამხრეთ ჰემისფეროში, რომელიც ავსტრალიაშია, არის ასეთი ოთხვარსკვლავიანი და ოთხდღიანი ღონისძიება: ადელაიდის საერთაშორისო ცხენ-ვაჭრობა. ღონისძიებას 50 ათასი მაყურებელი დაესწრო, რომელთა ერთმა ნაწილმა საკუთარი თვალით იხილა, როგორ ჩაცვივდნენ წყალში ახალზელანდიელი გილიან მეჩამი და მსოფლიო მოქალაქე „ჰინდს პაიპ მალბერი უოქი“. ერთი მათგანი ცხენია.



# დილემა

ამას ისევ ჩვენებურად ჯობია, არაფერი რომ არ ხდება, თორემ წარმოიდგინეთ იმ მაიამელთა მდგომარეობა, კალათბურთიც რომ უყვართ და იქაური ფეხბურთიც, მათი გუნდი კი ორივე სახეობაში ერთ დღეს მასპინძლობს მოწინააღმდეგეს.

ისე, „მაიამი ჰითზის“ კალათბურთელის, ალონზო მურნინგის ამბავი ნათელია — კალათბურთი ყელში ამოუვიდა და შვილი, ტრეი მაიამის უნივერსიტეტისა და „ვირჯინია ტექის“ ფეხბურთზე წაიყვანა. მომღერალ-მსახიობებს, პაფ დედის და ჯენიფერ ლოპესს კი ეტყობა, კალათბურთი უფრო უყვართ.

# შსაფრთხოება

ინდოეთში რომ გაიგეს, კრიკეტში გარიგებები ხდებაო, გადაირივნენ. აგერ ინდოელთა ერთი ჯგუფი ყველა ღონეს ხმარობს ცნობილი მოკრიკეტის აჯეი იადეჯას პრესკონფერენციის ჩასაშლელად. იადეჯა, გუნდის კაპიტანი მოჰამად აზარუდინი და კიდევ სამი დიდ მექრთამეობაში ამხილეს. ცნობისთვის: საქართველოში გადარევისგან დაცულნი ვართ.



REUTERS ალბომიდან



# პატივი მიაგეს

წესი წესია: რაგბის ახალზელანდიელი ვარსკვლავი ჯონა ლომუ ავტოგრაფებს უნდა არიგებდეს, „სარბიელის“ მეთექვსმეტე გვერდზე კი ამ ამბის ამსახველი ფოტო უნდა იბეჭდებოდეს. ამჯერად ლომუ ფრანგ გულშემატკივარს ახარებს: დღეს ახალი ზელანდიის ნაკრები ანუ „ოლ ბლექსი“ ლიონში „ფრანგ ბარბაროსებს“ ხვდება, მანამდე კი დედამიწის ბოლოელებმა ყვავილებით შეამკეს პირველ მსოფლიო ომში საფრანგეთისთვის დაღუპულ თანამემამულეთა პატივსაცემად აგებული მონუმენტი.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge